# არსენალი

13/12

№ 7 (24). ივლისი. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება...

საბჭოთა კონტრდაზვერვის ყველაზე დიდი შეცდომები

1425 /2
2006

ქართული არმიის პირველი ავტომობილები

საზღვარი...

ვინ გვემუქრება С-300-ებით



„ღამის ჩემი ასაკის პისტოლეტით ვისვრი"

10



გერმანიის შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილები

34



„საზღვარზე არავის გადმოვუშვებთ"

6

კაცი-ლეგენდა ჯონ მოზეს ბრაუნინგი

30







ქართული არმიის პირველი ავტომობილები

43



კანე-კორსო ძველი რომის კიდევ ერთი დანატოვარი

22

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**

4 უცხოეთის ამბები

**საზღვარი**

6 „საზღვარზე არავის გადმოვუშვებთ"...

**კალეიდოსკოპი**

8 მოკლე ინფორმაციები

**გზა ალიანსისკენ**

9 სწორება **NATO**-ს სტანდარტებზე?!.

**ჩუბინი**

10 ნინო სალუქვაძე: ლამის ჩემი ასაკის პისტოლეტით ვისვრი...

**სპეცოპერაცია**

12 ოპერაცია „მალბორო"

**სპეცსამსახურები**

15 საბჭოთა კონტრდაზვერვის ყველაზე დიდი შეცდომები

**ასეც ხდება**

19 რა სარგებლობა მოაქვს „ჩინუკს"

**კონსულტაცია**

20 კვალიფიციური რჩევები ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ტარების უფლების შესახებ

**კინოლაფსუსი**

21 ავტომატური ჯერით და ფუჭი ვაზნებით

**კომპანიონი**

22 კანე-კორსო – ძველი რომის კიდევ ერთი დანატოვარი

**იარაღი**

25 ვინ გვემუქრება C-300-ებით

**მეიარაღე**

30 კაცი-ლეგენდა – ჯონ მოზეს ბრაუნინგი

**პროფესიონალები**

34 გერმანიის შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილები

**ფლოტი**

38 უცნაური საზღვაო ტრადიციები

**სამხრეებიანი პრეზიდენტები**

40 ხუან დომინგო პერონი (არგენტინა)

**საქართველოს ისტორია**

43 ქართული არმიის პირველი ავტომობილები

**კროსვორდი**

47 არსენალვორდი

**ისტორიული ექსკურსი**

48 „არსენალის" თვის კალენდარი

**სუპერმობილი**

50 ტრადიციული **Mitsubishi Pajero Sport**

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 СВД ლეგენდა სნაიპერებისათვის

## რედაქტორის სვეტი

26 მაისის სამხედრო აღლუმის შემდეგ ქართული არმიის თითქმის ნახევარი ორფოლოს პოლიგონზე გავიდა.

საბრძოლო მომზადება ჯარების ცხოვრების მუდმივი ატრიბუტია და კარგია, რომ ქართულმა არმიამ რუსთაველის ასფალტიდან ორფოლოს პოლიგონის მინდვრებზე გადაინაცვლა.

„არსენალის" ინფორმაციით პოლიგონზე ტაქტიკურ მეცადინეობებს ოთხივე ქვეითი ბრიგადის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი გადის. თავის ოსტატობას ხვეწენ ტანკისტები, არტილერისტები და მფრინავებიც.

იმედს ვიტოვებთ, რომ წლევანდელი ფართომასშტაბიანი სწავლებები „კავკასიონი-2006" ყველაფრით აჯობებს გასული წლის „ჯავშანი-2005"-ს და ამასთან ქართველი სამხედროები რეალურად უფრო მეტ გამოცდილებას შეიძენენ, რომელიც მათ რეალურ ბრძოლებში ძალიან გამოადგებათ.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

**ყურადღება!**
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 38-37-47
**email: arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალები ფრთოსან ტორპედოს მიიღებს


P-3C ORION-ი წყალქვეშა ნავზე თავდასხმისას

Lockheed Martin-ი დიდი სიმაღლიდან გასაშვები ნავსაწინააღმდეგო ტორპედოების ხელახლა გამართვას დაიწყებს, – განაცხადა კომპანიის პრესსამსახურმა.

პროექტი High Altitude Anti-Submarine Warfare Weapons Concept (HAAWC)-ი მსუბუქი ნავსაწინააღმდეგო ტორპედო MK-54-ების დაახლოებით 6000 მეტრის სიმაღლიდან სროლას ითვალისწინებს. ტორპედოს მაღლივი სროლა თვითმფრინავმზიდს საშუალებას მისცემს წყალქვეშა ნავის მოქმედების ზონაში შეუსვლელად იმოქმედოს და აღკვეთოს გადატვირთვა, რომელიც თვითმფრინავის მკვეთრი დაშვებისას წარმოიქმნება.

ტორპედოები აღიჭურვება Long Shot Wing Adapter Kit-ის კომპლექტით, რომელიც ასევე კომპანია Lockheed Martin-ის შემუშავებულია. კომპლექტი სავსებით ავტონომიურია, იმართება კომპიუტერით, GPS ნავიგაციური სისტემის მიმღების დახმარებით და არ მოითხოვს თვითმფრინავმზიდის რადიოელექტრონულ მოწყობილობასთან მიერთებას.



აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავებს P-3C ORION-ებს იარაღის გამოყენება მხოლოდ დაბალ სიმაღლეებზე შეუძლიათ და ამიტომ მუდმივად ექმნებათ წყალქვეშა ნავზე განლაგებული ჰაერსაწინააღმდეგო იარაღით განადგურების საფრთხე. საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდება წყალქვეშა მდგომარეობიდან საზენიტო რაკეტების გაშვების შემთხვევაში.

# პენტაგონმა დაკითხვის ტექნიკა გაამჟღავნა

ამერიკული არმიის მეთაურობამ კონგრესის ზეწოლის შედეგად უარი თქვა სამხედრო წესდების მონაკვეთში, სახელწოდებით „საიდუმლოდ“, შეეტანა დაკითხვათა მეთოდების აღწერილობა.

როგორც მეთაურობის ორმა წარმომადგენელმა განაცხადა, საველე წესდების ახალი რედაქციიდან სრულიად გაქრა მონაკვეთი გრიფით „საიდუმლოდ“, ხოლო დაკითხვის მეთოდების აღწერილობა, რომლის შეტანა სწორედ ამ მონაკვეთში იყო განზრახული, ან საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა, ან სრულიად ამოღებულია.

თავდაცვის სამინისტროში ადრე ფიქრობდნენ, რომ დაკითხვების ცალკეული მეთოდის აღწერა საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, რათა მომავალი პატიმრებისათვის ცხოვრება არ შეემსუბუქებინათ და მათ არ ებებნათ დაკითხვის ცნობილი მეთოდებისაგან თავდაღწევის საშუალება. მიუხედავად ამისა, გასულ თვეში კონგრესმენებმა სთხოვეს პენტაგონს, ეს არ გაეკეთებინა. მისი წარმომადგენლების აზრით, წესდების საიდუმლო განყოფილების შექმნა უკმაყოფილებას გამოიწვევდა როგორც აშშ-ში, ასევე უცხოეთშიც, რადგან სამხედრო პირებს ბრალს დასდებდნენ წამების მეთოდების დაფარვაში, რომელთა გამოყენება პატიმრების დაკითხვის დროს აკრძალულია.



# ინდოეთმა წარმატებით გამოსცადა რაკეტა „პრიტჰვი“

ინდოეთმა „დედამიწა-დედამიწა“ ტიპის საშუალო სიშორის რაკეტა „პრიტჰვი“ გამოსცადა. მობილური დანადგარიდან რაკეტა შტატ ორისის ჩანდიპურის პოლიგონიდან გაუშვეს.

2004 წელს ინდოეთმა გამოსცადა რაკეტა „პრიტჰვის“ მესამე მოდიფიკაცია, რომელიც განკუთვნილია საზღვაო სტარტებისათვის და ბირთვული ჭურვის ტარება შეუძლია. მისი ფრენის სიშორე 250-300 კილომეტრია. 1988 წლიდან ინდოეთში რაკეტა „პრიტჰვის“ სხვადასხვა მოდიფიკაციის დაახლოებით ორი ასეული გაშვება განახორციელეს.

# ფრანგული ავიაჯგუფი ტაჯიკეთში კიდევ ორი გამანადგურებლით გაძლიერდა



„ფრანგული ავიაჯგუფი, რომელიც დუშანბეს აეროპორტშია დისლოცირებული, კიდევ ორი „მირაჟით“ გაძლიერდა“, — განაცხადა ტაჯიკეთში საფრანგეთის საელჩოს სამხედრო ატაშემ ჟოზეფ მალარდმა. ამჟამად დუშანბეს აეროდრომზე ბაზირებულია ორი ახალი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, რომლებიც უზრუნველყოფენ ავღანეთში მყოფი ფრანგული სამხედრო კონტინგენტის მხარდაჭერას, და ხუთი გამანადგურებელი „მირაჟი“. „საბრძოლო თვითმფრინავების დუშანბეში გადასროლა მიზნად ისახავს ავღანეთში ისაფ-ის მხარდაჭერას“, — განაცხადა სამხედო ატაშემ. დუშანბეს აეროპორტში თვითმფრინავების მომსახურებისათვის 250 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეზღუდული კონტინგენტი დუშანბეში 2001 წლის დეკემბერში განთავსდა ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარების მხარდაჭერის ფარგლებში.

# უკრაინაში მასშტაბური სწავლებები ჩატარდა

სწავლებების მიზანი იყო ჰაერსაწინაალმდეგო მორიგე ნაწილების ტერორისტული აქტებისა და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციების პირობებში დასახული ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნის შემოწმება.დამუშავდა ტერორისტული აქტის მოწყობის მიზნით საფრენი აპარატის გატაცების შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებები, აგრეთვე იმ თვითმფრინავებისგან თავდასაცავი ღონისძიებები, რომლებიც არ უპასუხებენ რადიოსიგნალებს ან დაზვერვის მიზნით ქვეყნის საჰაერო სივრცეში შედიან; ასევე ავარიული სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავებისთვის დახმარების გაწევა და სამაშველო-საძიებო ოპერაციების ჩატარება.

# რუსეთის არმიაში სამსახურის ვადა შემცირდა

რუსეთის დუმამ კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მესამე წაკითხვით მიიღო ცვლილებები, რომლებიც სამხედრო სამსახურში კონტრაქტით მომსახურე მოქალაქეების შესვლას ეხება. კანონპროექტის თანახმად, 2007 წლიდან სამხედრო სამსახურის ვადა წლინახევრით, 2008 წლიდან კი წლამდე შემცირდება. ანალოგიურად შემცირდება ალტერნატიული სამსახურის ვადა.

გარდა ამისა, კანონის მიხედვით შემცირებულია სამხედრო ვალდებულების მოხდის გადავადება. ეს შეეხება სოფლის ექიმებს, მასწავლებლებს, წვევამდელი ასაკის მოქალაქეებს, სახელმწიფო სამსახურებში მუდმივად მომუშავეებს, ასევე იმ წვევამდელებს, რომელთაც რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლება.

# რუსეთმა უგო ჩავესს „ვენა“ წარუდგინა



ვენესუელაში გახსნილ გამოფენაზე „Expo Ejercito 2006“ რუსეთმა თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С31 „ვენა“ წარადგინა.

თვითმავალი იარაღი „ვენა“ მოტოვილიხინის ქარხნის შემუშავებული იგივე 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნი „ნონაა“, რომელიც ქვეითთა საბრძოლო ჯავშანმანქანა БМП-3-ის მოძრავ კოშკშია დაყენებული.

დანადგარს აქვს ცეცხლის მართვის ავტომატიზებული, ნავიგაციისა და ორიენტირების, ასევე ოპტიკურ-ელექტრონული დაზვერვის სისტემები, კლიმატური პირობების მიუხედავად და დროის ნებისმიერ მონაკვეთში მაღალწერტილოვანი სროლის უზრუნველსაყოფი სამიზნე.

საარტილერიო დანადგარს შეუძლია ცეცხლის გახსნა როგორც ნაღმსატყორცნი ნაღმებით, ასევე სხვადასხვა დანიშნულების საარტილერიო ჭურვებით. საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შედის მართვადი და უმართავი მსხვრევადფუგასური, კუმულაციური, საკვამლე ჭურვები და ნაღმები, ასევე მოცულობითი აფეთქების (თერმობარული) საბრძოლო მასალები. „ვენის“ სროლის სიშორე ჭურვების სროლისას 13 კმ-ს შეადგენს, ხოლო ნაღმების — 7,2 კმ-ს.

ქვეითთა საბრძოლო მანქანის შასი საარტილერიო დანადგარს საშუალებას აძლევს, ცურვით დასძლიოს წყლის დაბრკოლება, სისტემის მასა კი, რომელიც 19,5 ტონას შეადგენს, „ვენის“ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებითა და საპარაშუტო დესანტირებით გადატანის საშუალებას იძლევა. ახალი თვითმავალი იარაღი განკუთვნილია სახმელეთო ჯარებისათვის და საზღვაო ქვეითთათვის. ამჟამად მიმდინარეობს რუსეთის შეიარაღებული ძალებისათვის თვითმავლის სერიული წარმოება.

ვენესუელაში, კარაკასში, გამოფენაზე რუსეთმა ასევე წარადგინა 150-ზე მეტი დასახელების იარაღი, სამხედრო და დამხმარე ტექნიკა სახმელეთო ჯარებისათვის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# "საზღვარზე არავის გადმოვუშვებთ"...





სახელმწიფო საზღვარზე ქართული დროშა ფრიალებს



შვეულმფრენი ხშირად ერთადერთი საშუალებაა მესაზღვრეების მთებში გადასაყვანად



შვეულმფრენიდან საველე ბანაკის მოწყობილობების ჩამოტვირთვას არც სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე თაკილობს

ყოველი ზაფხული ქართველი მესაზღვრეებისთვის ახალი პრობლემების წამოჭრას ნიშნავს. ეს ბოლო ათი წელია გრძელდება, მას შემდეგ, რაც ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო.

მოსკოვი მუდმივად ბრალს გვდებს, საქართველო-რუსეთის საზღვრის გავლით ათასი ჯურის საერთაშორისო ტერორისტი შედის ჩრდილო კავკასიაში. ასეთი ბრალდებებით კრემლი ცდილობს სახელი გაუტეხოს საქართველოს, როგორც ტერორისტების შემფარებელ ქვეყანას.

ეს კი საქართველოს საერთაშორისო ინტერესებს ძალზე ვნებს. ამიტომაც ქართველმა მესაზღვრეებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რომ სალაპარაკო არ მისცენ რუსეთის სპეცსამსახურებს.

ზაფხულის დადგომისთანავე საუღელტეხილო გადასასვლელებზე თოვლი დნება და იხსნება ათობით ბილიკი, რომელსაც მწყემსებისა და მონადირეების გარდა შესაძლოა ის შეიარაღებული პირებიც გამოჰყვნენ, ვინც ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ფედერალურ ძალებს ებრძვიან.

თვით აშშ-ის ხელისუფლებას უჭირს მექსიკასთან საზღვრის ჩაკეტვა და კედლის აგებასაც კი აპირებს და მაშინ რაღა უნდა ქნან ქართველმა მესაზღვრეებმა, რომლებსაც მთაგორიან რელიეფზე გამავალი ურთულესი საზღვრის გაკონტროლება და დაცვა ევალებათ...

ზაფხულის დაწყებისთანავე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი სპეცოპერაცია „საფარი-2006“-ის ჩატარებას შეუდგა. სპეცოპერაციის მიზანია თოვლის გადნობის შემდეგ გათავისუფლებულ საუღელტეხილო ბილიკებზე ახალი საგუშაგოების გახსნა და მათზე სრული კონტროლის დაწესება.

ივნისის თვეში მესაზღვრეებმა 10-ზე მეტი საზაფხულო, დროებითი სასაზღვრო სექტორი და საგუშაგო გახსნეს. მათ შორის ჯუთა, გველეთი, ხდე, არხოტისთავი (ყაზბეგის მიმართულებით), ხონე, ჰურო, ტანიე, ზეთუკა, ჭიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და (ხევსურეთის მიმართულებით), ტებულო, ჭერო (მთათუშეთის მიმართულებით), ასევე მარუხის საგუშაგო კოდორის ხეობაში და მამისონი კავკასიონზე.

ბევრ ამ ახალ საგუშაგოზე მანქანით კი არა, ფეხით ასვლაც ჭირს და რომ არა შვეულმფრენები, მესაზღვრეები მთაგორიანი საზღვრების დაცვას ვერ შეძლებდნენ.

სასაზღვრო დეპარტამენტის სპეცდანიშნულების ავიაციის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ შამილ ქორთოშიძეს თითქმის ყოველდღე უწევდა ფრენა Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენით ახალი საგუშაგოების გასახსნელად.

„არსენალი" მესაზღვრეებს ყველაზე მაღალმთიანი სასაზღვრო საგუშაგო ტებულოს გასახსნელად დაემგზავრა. საგუშაგო ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეზე გაიხსნა, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის მესაზღვრეებს.

კარგია, რომ ამჯერად საგუშაგოზე არა პირტიტველა ჯარისკაცები, არამედ მესაზღვრეთა სწრაფი რეაგირების რაზმის (ყოფილი „მოტომანის") მებრძოლები დადგნენ. ეს გამართლებულია, რადგან იქვე, მთის მწვერვალზე სახელმწიფო საზღვარი გადის, რომელსაც რამდენიმე საცალფეხო ბილიკიც კვეთს.

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე კი მესაზღვრეებმა საჰაერო რეკოგნოსცირების შემდეგ ლაფანყურის საგუშაგო ათიოდე კმ-ით მაღლა მთაში, უშუალოდ საზღვრის ახლოს გადაიტანეს.

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ კობა ბოჭორიშვილის განმარტებით, დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც დამრღვევს უშუალოდ საზღვრის გადმოკვეთისას აკავებენ. საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში დამრღვევის აღმოჩენა ძალიან რთულია.

საზაფხულო საგუშაგოები დაახლოებით 4-5 თვეს თუ იმუშავებენ, მაგრამ ეს იქნება ყველაზე რთული პერიოდი ქართველი მესაზღვრეებისთვის, რადგან რუსი სამხედროები წლეულს გადამწყვეტ შეტევას გეგმავენ ჩრდილო კავკასიაში (ძირითადად, ჩეჩნეთში, დაღესტანსა და ინგუშეთში) მოქმედ შეიარაღებულ ჯგუფებზე. ასე რომ, მოსალოდნელია ეს შეიარაღებული ხალხი მოსკოვმა მართლაც საქართველოს საზღვრისკენ გამორეკოს...

„საზღვარზე არავის გადმოვუშვებთ..." — აცხადებენ ქართველი მესაზღვრეები.

***ირაკლი ალადაშვილი***

**თბილისი-ხევსურეთი-მთა-თუშეთი-თბილისი**





ყველაზე მაღალმთიან სასაზღვრო საგუშაგო „ტებულოზე" მესაზღვრეებმა კარავი 15 წუთში დადგეს



„არსენალი" სასაზღვრო საგუშაგოზე გაორმაგებული ინტერესით იკითხება...



„ტებულოზე" ნამსახურები მესაზღვრეები თავის გვარებს ქვებზე ამოტვიფრულს ტოვებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსაკრებლის შესახებ" კანონპროექტი მეორე მოსმენით განიხილეს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა კანონპროექტი „სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსაკრებლის შესახებ", რომელიც სამხედრო-სავალდებულო სამსახურის 18 თვით გადავადებისათვის 200-ლარიანი ბეგარის 2000 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

კანონპროექტის თანახმად, წვევამდელს სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება მხოლოდ ორჯერ აქვს, არა უმეტეს 25 წლის ასაკისა.

საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი, პოლკოვნიკი გიორგი თავდგირიძე სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის 200 ლარიდან 2000 ლარამდე გაზრდას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და აცხადებს, რომ გადასახადის ათჯერ მომატება კორუფციის წყარო გახდება. როგორც თავდგირიძემ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ნატოში" გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კანონპროექტი ხელისუფლების დეკლარირებულ კურსს არ შეესაბამება და შეიარაღებულ ძალებს საბჭოთა კორუფციული სისტემისკენ აბრუნებს. თავდგირიძის თქმით, მოსაკრებლის გაზრდა სოციალურ უსამართლობას გამოიწვევს და ისედაც მძიმე სოციალურ ფონს კიდევ უფრო დაამძიმებს.

თავდგირიძის დაანგარიშებით, 2000-ლარიანი ბეგარის არსებობის შემთხვევაში, თავდაცვის სისტემაში ყოველწლიურად 10 მილიონი დოლარის ოდენობის შავი ფული იტრიალებს. გარდა ამისა, 2010 წლისთვის ჯარი საკონტრაქტო სამსახურზე გადადის და რა საჭიროა წვევამდელთა კონტინგენტის ამგვარი გაზრდა. თავდგირიძეს მიზანშეწონილად მიაჩნია, მომდევნო სამი წლის განმავლობაში მოსაკრებლის ოდენობა არ შეიცვალოს ან საერთოდ გაუქმდეს, ხოლო ახალწვეულებს შორის გასაწვევი კონტინგენტის შერჩევა NATO-ს ქვეყნების გამოცდილების მიხედვით მოხდეს.

კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე გამოეხმაურა გიორგი თავდგირიძის განცხადებას. მისი თქმით, თუ გამწვევი პუნქტების წარმომადგენლები წვევამდელებთან კორუფციულ გარიგებაში შესვლას შეეცდებიან, კანონის შესაბამისად დაისჯებიან.

კანონპროექტს საქართველოს პარლამენტის სესიაზე სავარაუდოდ, მიმდინარე კვირაში დაამტკიცებენ, კანონი კი ძალაში გამოქვეყნებიდან 15 დღის შემდეგ შევა. ■

## BTRP-ის განხორციელების გეგმა დოკუმენტად გაფორმდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" ერთობლივი პროგრამის განხორციელების 2006 წლის გეგმას მოაწერეს ხელი.

ერთობლივი ამოცანების გაერთიანებული ჯგუფის შეხვედრას თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების, ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ პოლიტიკის საკითხებში ამერიკის თავდაცვის მდივნის თანაშემწე ენდრიუ ვებერი, შესყიდვების საკითხში აშშ-ის თავდაცვის მდივნის თანაშემწე პოლ ბორენი და „ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" პროგრამის დირექტორი შიუნ ქალი.

დოკუმენტს ხელი სასტუმრო „თბილისი მარიოტში" საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ მამუკა კუდავამ და პროგრამის დირექტორმა ჯონ ბერდმა მოაწერეს.

„ბიოლოგიური საფრთხის შემცირების" პროგრამა ალექსეევკაში ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის მშენებლობას, საფრთხის გამოწვევათა აღმოჩენასა და რეაგირების ქსელის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ■

## საქართველო მზად არის, გახსნას ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი

„ცენტრის შექმნა გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანის შესახებ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების ფარგლებში. საქართველო მზად არის, რუსეთთან ერთად ბათუმში გახსნას ანტიტერორისტული ცენტრი, როგორც კი განისაზღვრება მისი ძირითადი მიზნები და ამოცანები", – განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ. ამასთან დასძინა, რომ საქართველო მზად არის, ითანამშრომლოს რუს კოლეგებთან ისეთი გლობალური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიც ტერორიზმია, „ეს მთელი მსოფლიოს გამოწვევაა და რა თქმა უნდა, ჩვენი რეგიონი გამონაკლისი არ არის".

ნიკა რურუამ არ გამორიცხა ასეთი ცენტრის საერთაშორისო ცენტრად ტრანსფორმაციის შესაძლებლობაც: „კარგი იქნებოდა, საქართველოში ამთავითვე შექმნილიყო საერთაშორისო ცენტრი, რომელშიც წარმოდგენილნი იქნებოდნენ არა მარტო საქართველო და რუსეთი, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნები, ევროკავშირი და აშშ". ■

## საქართველო მზად არ არის ხელშეკრულების რატიფიცირებისათვის

„მიგვაჩნია, რომ რატიფიცირების დრო ჯერ არ დამდგარა, რადგან რუსეთს არ შეუსრულებია სრულად ნაკისრი ვალდებულებები. გუდაუთის ბაზა დღემდე არსებობს. იქ არ უშვებენ საერთაშორისო დამკვირვებლებს, რომლებიც დაადასტურებდნენ რუსეთის მტკიცებას, ბაზა დახურულიაო. ბაზა შეიძლება დახურულად მივიჩნიოთ, თუკი გაუქმდება ასაფრენ-დასაჯდომი ზოლი, რომელსაც დღემდე შეუძლია თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მიღება. ახლა ბაზა უბრალოდ კონსერვირებულია, მაგრამ მისი ამოქმედება ყოველ წუთს შეიძლება", – განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ.

რურუა არ ეთანხმება გავრცელებულ აზრს, რომ საქართველოსა და უკრაინის NATO-სთან მიერთების შემდეგ დაირღვევა ბალანსი ევროპაში. „ჩვენ გვაქვს მოქმედებათა გეგმა როგორც ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებებზე ადაპტირებული ხელშეკრულების, ასევე NATO-ს ჩარჩოებში და ამ მიმართულებით ვილით".

რურუას აზრით, რუსეთის, ისევე როგორც მთელი ევროპის ინტერესებშია გვერდით ისეთი სახელმწიფო ჰყავდეს, რომელსაც მოგვარებული აქვს პოლიტიკური საკითხები და ეკონომიკაც განვითარებული. ■

# სწორება NATO-ს სტანდარტებზე?!.

საქართველო NATO-თან ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადასვლას ელოდება. გადავალთ თუ არა ინტენსიური დიალოგზე? ამ კითხვას პასუხი მალე რიგის სამიტმა უნდა გასცეს.

საქართველოსათვის ჩრდილოატლანტიკურ კავშირში გაწევრების პროცესი კარგა ხნის დაწყებულია, როცა ქვეყანა ჯერ „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამას შეუერთდა, მას სხვებიც და ბოლოს 2004 წლიდან „ინდივიდუალური პარტნიორობის" პროგრამა მოჰყვა. ამის შესაბამისად გატარდა ან მიმდინარეობს აუცილებელი საკანონმდებლო, პოლიტიკური თუ სამხედრო სახის რეფორმები, რომლის შედეგებზე რიგის სამიტის გადაწყვეტილება ბევრად იქნება დამოკიდებული.



ამჟამად ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებთან, თავდაცვის რეფორმებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩრდილოატლანტიკური კავშირის ზოგიერთ წევრს შენიშვნები აქვს. თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად კი აუცილებელია NATO-ს წევრი 26 ქვეყნის თანხმობა. ალიანსი გადაწყვეტილებას მხოლოდ სრული თანხმობის შემთხვევაში იღებს.

NATO-სთან მომავალი ინტეგრირების პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს არსებული კონფლიქტების დარეგულირება. იმის პრეცედენტი, რომ NATO-ში მიღებულია სახელმწიფო, რომელიც თავისი ტერიტორიის ნაწილს ვერ აკონტროლებს, ჯერჯერობით არ ყოფილა. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, დასავლეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი გზებით დარეგულირებას მოითხოვს. ნებისმიერი ფორმით ძალის გამოყენება ჩრდილოატლანტიკური კავშირისათვის მიუღებელია.

არის შენიშვნები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის შორეულ, 20-25-წლიან პერიოდში განვითარებას უკავშირდება. NATO წევრი ქვეყნებისაგან აუცილებელ ხარჯებს მოითხოვს, რომლის გაღება საქართველოსაც მოუწევს. მართალია, ქვეყანაში გარკვეული ეკონომიკური წინსვლა შეიმჩნევა, მაგრამ ის ძირითადად ფისკალური პოლიტიკის გამკაცრების ხარჯზე ხდება და არა ეკონომიკის განვითარებით. ცხადია, ასეთ ვითარებაში გრძელვადიანი ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება საკმაოდ ძნელია.

ჩრდილოატლანტიკური კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ქართულ არმიაში მიმდინარე რეფორმებს. წინსვლა სახეზეა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი ნაბიჯი რეფორმების პროცესებთან შესაბამისობაში არ მოდის.

13 ივნისს NATO-ში საქართველოს დღეები დაიწყო, რომელსაც თან ახლდა ქართულ არმიაზე გადაღებული ვიდეოკლიპის დემონსტრირება. NATO-სთვის იმის შეხსენება, რომ ქართულ არმიას საბჭოთა წარმოების ძველი თვითმფრინავები, შვეულმფრენები, კატარღები და ჯავშანტექნიკა აქვს, დადებით ეფექტს არ უნდა იწვევდეს.

ასეთივე ტექნიკით შევიდნენ NATO-ში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. ახლა ისინი იძულებულნი არიან დასავლეთში ძველი სამხედრო ტექნიკა შეიძინონ და მოდერნიზაცია ჩაუტარონ, რაც არცთუ მცირე ხარჯებს მოითხოვს.

საქართველომ შარშან საკმაო რაოდენობის სამხედრო ტექნიკა იყიდა და მათ შორის არის ჩეხეთში წარმოებული 152 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი „დანა". იქნებ სჯობდა, იმავე ჩეხეთში გაკეთებული 155 მმ-იანი „სიუზანას" ყიდვა, რომელსაც NATO-ს სტანდარტების ჭურვებით სროლა შეუძლია და მომავალშიც თანხებს დაგვიზოგავდა.

სამაგიეროდ ვიღაცებმა NATO-ს არარსებული სტანდარტები მოიგონეს, რომელსაც თურმე ყოველი ახალაშენებული ყაზარმა თუ ტუალეტი პასუხობს. ასეთი სტანდარტები NATO-ში არ არსებობს და არც ამის აუცილებლობა არის. NATO-ს წევრი ქვეყნების არმიებს საუკუნეების წინ აგებული ყაზარმებიც აქვთ და სხვათა შორის, ეს ჯარისკაცების აღზრდის საქმეში ძალიან დიდ როლს ასრულებს.

დასავლეთის ქვეყნები ხარჯების ყაირათიანად გაწევის მომხრე არიან იქ, სადაც ამის აუცილებლობა არის და ამასვე ურჩევს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასაც. მართლაც პარალელური სტრუქტურების გაერთიანება თავდაცვის თანხების უფრო რაციონალური ხარჯვისა და დაზოგვის საშუალებას იძლევა. მაგალითად, რა უშლის ხელს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის გაერთიანებას? როცა პირველ სტრუქტურას ისეთი ამოცანები აქვს დასახული, რომლის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობები მას არ გააჩნია და დროის მეტ ნაწილს პორტში ატარებს, ხოლო მეორე კი ზღვაზე კანონიერების დაცვის მოქმედ და წარმატებულ სამსახურს წარმოადგენს. გაერთიანებაზე რამდენიმე წელია ლაპარაკია, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. განა მეტ ეფექტს არ მოგვცემდა საავიაციო დანაყოფებისა და ზურგის სამსახურების გაერთიანება?

უშუალოდ საქართველოს მისამართით გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად არის სხვა პრობლემაც, რომელიც უკვე ევროპას შეეხება. ზოგიერთი სახელმწიფოსთვის კონტინენტზე ბოლო წლებში NATO-ს საზღვრების აღმოსავლეთით გადაწევა ახალი პრობლემების წარმოქმნას ნიშნავს, რაც მათში მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს არ იწვევს.

როდის გახდება საქართველო NATO-ს სრულუფლებიანი წევრი? — კონკრეტული ვადის დასახელება შეუძლებელია. მთავარია, რომ საქართველოში დემოკრატიული გარდაქმნის შეუქცევადი პროცესები მიმდინარეობს, რაც მიზნის მისაღწევი მთავარი პირობაა.

***„არსენალისთვის"***
***NATO-ს შტაბ-ბინიდან***
***თემურ ჩაჩანიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინო სალუქვაძე: ლამის ჩემი ასაკის პისტოლეტით ვისვრი...



ამ ნომერში ცნობილ ჩუბინთან — ნინო სალუქვაძესთან კიდევ ერთ ინტერვიუს გთავაზობთ. სახელგანთქმულ ქართველ სნაიპერთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „არსენალმა" მისი სახელობის სასროლეთში ახალი იარაღი გამოსცადა, თავად მსროლელმა კი მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში გერმანია-იტალია მოიარა, ჩვენი შეხვედრა კიდევ უფრო „აუცილებელი" გახდა. ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუდან შეიტყობთ რა გადახდა თავს მიუნხენსა და მილანში ქართულ დელეგაციას, რატომ არ დადის სანადიროდ და რატომ „აუკრძალეს" შაშხანით სროლა ნინო სალუქვაძეს.

— მსოფლიო თასი „გადაბმული" შეჯიბრებაა — მიუნხენში დაიწყო და მილანში დასრულდა. ჩემი, ნინო უჩაძისა და თამილა ასათიანის გარდა, ტურნირში ორი ვაჟი — სერგო ჩიტაიშვილი და ლევან ქადაგიძე მონაწილეობდნენ. ყველა მათგანმა საკმაოდ კარგად ისროლა. მე კი საერთო ჯამში მეოთხე მაჩვენებელი მქონდა, მხოლოდ მეათედებით წავაგე მეორე-მესამე ადგილზე გასულ სპორტსმენებთან.

მიუნხენიდან იტალიას მივაშურეთ, სადაც „სიურპრიზი" გველოდა — საერთაშორისო ფედერაციაში ჩვენი გუნდის საფინალო განაცხადი დაუკარგავთ და აქეთ დაგვადანაშაულეს, არ გამოგიგზავნიათო. საბედნიეროდ, სიმართლის დამტ-



კიცება შევძელით, რადგან ფაქსიც თან გვქონდა და იმის დამადასტურებელი ქვითარიც, რომ ნამდვილად გავაგზავნეთ განაცხადები. ამ ყოველივეს იმდენი დრო დასჭირდა, ერთი სტარტი პნევმატური პისტოლეტით სროლაში მეც და გოგონებმაც გამოვტოვეთ. საბოლოოდ ვაჟებს და მე კონკურსგარეშე გამოსვლის უფლება მოგვცეს, მერე კი, როცა სიმართლე დამტკიცდა, მოვასწარი და ოფიციალურ შეჯიბრებაში მივიღე მონაწილეობა 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში, სამწუხაროდ, ნინოსა და თამილას ამდენი ხნის ვარჯიში წყალში ჩაეყარათ და იტალიაში მხოლოდ ტურისტებად მოუხდათ ჩასვლა, რადგან ტურნირში ასპარეზობის უფლება არ მისცეს.

— **სხვების შეცდომის გამო უდანაშაულო გოგონები დაისაჯნენ, ამას არ გააპროტესტებთ?**

— აუცილებლად. ჩვენი იურისტები მუშაობენ ამ საკითხზე და საერთაშორისო ფედერაციაში საპროტესტო წერილს გავგზავნით. გოგონები დიდხანს ემზადებოდნენ ტურნირისათვის და იტალიაში ერთხელაც ვერ გაისროლეს. როგორც იცით, ეს სალიცენზიო ტურნირი გახლდათ — ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვების შანსი და რადგან ამის შესაძლებლობა არ მიეცათ, ლიცენზიებს ვითხოვთ...

— **თქვენ უკვე გაქვთ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია. უჩაძესა და ასათიანს როდის მიეცემათ მისი მოპოვების შანსი?**

— ივლისის ბოლოს ზაგრებში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. იქ ლიცენზიებს პნევმატური პისტოლეტით სროლაში პირველ-მეოთხე ადგილებზე გასულები მოიპოვებენ, სპორტული იარაღიდან მსროლელები კი ერთით მეტ საგზურს გაითამაშებენ. სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატში უამრავი მონაწილე იქნება. აბა რა იქნება, როცა თითო ქვეყანა 140-150 სპორტსმენით ჩამოდის — სხვადასხვა ასაკის მსროლელები, ოლიმპიური და არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლები და ა.შ. ამის მიუხედავად, ჩვენს ორივე გოგონას აქვს ლიცენზიის მოპოვების შანსი. ეგ კი არა, ვცდილობთ, ბიჭებმაც მიიღონ, ამიტომ ბევრ ტურნირში უნდა მიიღონ მონაწილეობა...

— **რატომ არის, რომ უფრო მეტი ქალი მსროლელი გვყავს, ვიდრე ვაჟი?**

— ქვეყანაში ისეთი გაჭირვება იყო, ტირში სასროლად არავის ეცალა. ჩვენ, სამნილა შემოვრჩით სპორტის ამ სახეობას. მეორე წელია დარბაზი გაიხსნა და ახლა უამრავი მოსწავლე გვყავს, ჯერ პატარები არიან, თუმცა საშუალოზე უკეთესი შედეგები უკვე აქვთ... ისე, სროლისთვის ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ტურნირებზე ყველანაირი ასაკის ადამიანებს ნახავთ, მთავარია, მტკიცე ნერვები, ხელი და მახვილი თვალი გქონდეს. მაგალითად, კუზმინისთვის პეკინის ოლიმპიადა მეათე იქნება. ხშირად ნახავთ პისტოლეტით ხელში სტენდის პირდაპირ მდგომ „ბებიებსაც". ყველაზე ასაკოვანი კი შვედი სკანაგერი გახლდათ, რომელმაც 66 წლის ასაკში ბარსელონას ოლიმპიადაზე მეორე ადგილი მოიპოვა.

— **თქვენთვის მერამდენე იქნება 2008 წლის ოლიმპიადა?**

— მეექვსე... აუჰ, რამდენი დრო გასულა, რა ტყუილად დავდივარ ამდენ ოლიმპიადაზე (იცინის), თუმცა იმ პირობებში, რაც ჩვენთანაა... ჩვენ ხომ ღია სასროლეთი არ გვაქვს, არადა ყველა ტურნირი ღია ტირში ტარდება და ძალიან ძნელია დარბაზში ნავარჯიშევი მსროლელისთვის ახალ სიტუაციასთან შეჩვევა. ერთ სპორტსმენსაც ვერ იპოვით საერთაშორისო ტურნირზე გამოდიოდეს და ღია სასროლეთში არ იყოს მომზადებული, ჩვენ კი...

— **არც პერსპექტივაა, რომ ოდესმე საქართველოშიც იქნება ღია სასროლეთი?**

— საბედნიეროდ, არის. სროლის ფედერაციის პრეზიდენტის დამსახურებაა, რომ მალე გარდაბნის რაიონში ღია სასროლეთის მშენებლობა დაიწყება. ლევან მხეიძესთან ერთად რაიონის გამგებელიც გვეხმარება. იმედია, მომავალი წლიდან ოლიმპიადისთვის მზადებას უკვე ახალ სასროლეთში დავიწყებთ.

— **ბოლოს როდის ივარჯიშეთ ღია სასროლეთში?**

— მილანში. მსოფლიო თასის დროს... მაგრამ ერთდღიანი წავარჯიშება გინდ ყოფილა, გინდ — არა. ორი წელიწადი იქნება, ერთი შეკრებაც კი არ გამივლია საზღვარგარეთ. იქნებ მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაინც მოვახერხო გერმანიაში.

— **ნადირობა თუ გიყვართ?**

— არა, ცხოველს ვერ ვესვრი. არც არასოდეს გამჩენია ნადირობის სურვილი.

— **ალბათ საბრძოლო იარაღიდანაც გაგისვრიათ და თოფიდანაც...**

— რა თქმა უნდა, მესტენდურებთან ერთად ხშირად ვყოფილვარ შეკრებაზე და არაერთხელ გამისვრია მათი იარაღიდან. რომ ნახეს, იქაც კარგად ვისროდი, რამდენჯერმე მითხრეს, თავი დაგვანებე, ამ სახეობაში გადმოსვლა არც იფიქროო... ისე, სასტენდო სროლას მეტი ძალაც სჭირდება, რადგან იქ უკუდარტყმა მეტია.

— **მიუნხენსა და მილანში საინტერესო ხომ არაფერი გადაგხდენიათ თავს?**

— ამ ორ ქალაქში იმდენჯერ ვარ ნამყოფი, რომ ლამის ზეპირად ვიცი სად რა არის. ვენეციაში კი ვერასდროს ვერ მოვახერხე ჩასვლა და არც ამჯერად მეცალა ამისთვის, სამაგიეროდ ჩემი სპორტსმენები გავუშვი. უკან დილით ვბრუნდებოდით და 4-5 საათი ჰქონდათ, მაგრამ ვენეციაში ჩასულებმა რომ იკითხეს, ბოლო მატარებელი როდის გადის მილანისკენო, აღმოჩნდა, რომ ოც წუთში უნდა დაბრუნებულიყვნენ უკან. ასე რომ, ვენეციაში მხოლოდ ოცი წუთით ჩავიდნენ...

— **როგორც ვიცით, მალე ახალი იარაღი ჩამოგივათ.**

— ხუთი იარაღი ოლიმპიური ფონდის დახმარებით შევიძინეთ, ამდენივე იყიდა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმაც. პნევმატური „შტეიერის" ფირმის უახლესი პისტოლეტებია. ძალზე გახარებული ვართ — აქამდე ოთხი-ხუთი ბავშვი ერთი იარაღით ისროდა, არც მშობლებს აქვთ იმის შესაძლებლობა, შვილებისთვის იარაღი შეიძინონ. პისტოლეტებს ხანდახან ხელის შევლება სჭირდება, თორემ... მე ლამის ჩემი ასაკის პისტოლეტით ვისვრი, სხვათა შორის, პირველი ვიყავი ყველა სპორტსმენს შორის, ვინც ამ იარაღის ახალი მოდელის გამოყენება დავიწყე და დღემდე მისით ვასპარეზობ. იმ ქარხანაში, სადაც ეს პისტოლეტები მზადდება, ჩემი სურათი აქვთ გამოკრული და იარაღსაც უფასოდ მაძლევენ. საერთოდ, „შტეიერი" ყველაზე კარგი იარაღია. „ვალტერმა" შემოგვთავაზა მისი იარაღით გამოვსულიყავით და მთელ გუნდს უფასოდ უზრუნველგვყოფდნენ პისტოლეტებით, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან „შტეიერი" უფრო მომწონს...

— **ახლა ისეთი პერიოდია, ფეხბურთზე რომ არ გკითხოთ, არ იქნება, მსოფლიო ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს?**

— ფეხბურთის დიდად მოყვარული არ ვარ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატს როგორ გამოვტოვებ? საერთოდ, იტალიის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ წელს რომ ჩემპიონები ვერ გახდებიან, ნამდვილად ვიცი. ჩემი შვილებს უკვირთ, მეუბნებიან, როდის აქეთ დაიწყე ფეხბურთის ყურებაო...

**რატი შელეგია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპერაცია "მალბორო"

ამ რამდენიმე ხნის წინ აშშ-ის სპეცსამსახურებმა წარმატებით ჩაატარეს აზ-ზარქავის, „ალ-ქაიდას" ერაყის ფრთის ლიდერის, ლიკვიდაციის ოპერაცია. მართალია ოპერაციის დეტალები დიდხანს არ გამომზეურდება, მაგრამ სხვა, ნაკლებსაიდუმლო ოპერაციების მაგალითზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად დიდი შრომა გასწიეს კოალიციურმა ჯარებმა ერთი მომაკვდინებელი დარტყმის მისაყენებლად...

ერაყის მეორე ომამდე დასავლეთის სპეცდანიშნულების რაზმები არასდროს ჩაბმულან ხანგრძლივ, ინტენსიურ და მომქანცველ საბრძოლო მოქმედებებში. სომალისა და ბოსნიაში სპეცრაზმელებს უმთავრესად სადაზვერო ოპერაციებში ან ავიაციისა და არტილერიის ცეცხლის კორექტირებისათვის იყენებდნენ, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა მათ საომარ მოქმედებებში უშუალოდ ჩართვას. მიუხედავად ამისა, სწორედ მათ ანდობდნენ ისეთი უზუსტესი ოპერაციების ჩატარებას, როგორიც იყო მოგადიშოში გენერალ აიდიდის დატყვევება.

პირველი სერიოზული გამოცდა მათ ავღანეთში უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ აქ SAS-ი, ჯგუფი „დელტა" და „სელაპები" მიზანმიმართულად მოქმედებდნენ, ერაყში კი საქმე სხვაგვარად წარიმართა.

## ქალაქში სამხედრო მოქმედებების პრობლემები

მას შემდეგ, რაც კოალიციურმა ძალებმა ერაყის ტერიტორიის დაპყრობის ოპერაციები წარმატებით ჩაატარეს, ისინი აჯანყებულთა პრობლემას შეეჯახნენ.

პარტიზანებთან ომის საწარმოებლად, რა თქმა უნდა, საუკეთესო საშუალება სპეცრაზმებია, თუმცა ერაყში საქმე სხვაგვარად წარიმართა, საბრძოლო მოქმედებები ძირითადად ქალაქებში გაიშალა და არა ტყე-ღრესა და უდაბნოში, სხვა, „ჩვეულებრივი" ომების მსგავსად, როგორც ეს ხელს აძლევდა კოალიციურ ძალებს, რადგან გაშლილ ადგილებზე მათ სადაზვერვო და საცეცხლე ტექნიკის კარგად გამოყენება შეეძლოთ. ქალაქებში საბრძოლო მოქმედებების წარმოება კი გაცილებით რთული აღმოჩნდა, ერთი მხრივ, SAS-სა და „დელტას" ქალაქებში ბრძოლის საკმაო გამოცდილება აქვთ, რადგან საგანგებოდ არიან ასეთ პირობებში მოქმედებისათვის მომზადებული, მეორე მხრივ „მწვანე ბერეტები" და „რეინჯერები" უმთავრესად საველე ბრძოლებში არიან დაოსტატებული.

„მწვანე ბერეტები" 2001 წლიდან მონაწილეობდნენ იმ საომარ მოქმედებებში, რომლებიც მთებსა და უდაბნოში მიმდინარეობდა, სადაც სულ სხვაგვარი მო-



მზადება, ჩვევები და ტექნიკის გამოყენება იყო საჭირო, ვიდრე ქალაქებში საბრძოლველად.

შესაბამისი საბრძოლო ჩვევებისა და მომზადების უქონლობამ შეზღუდულ სივრცეებში (შენობებსა და ვიწრო ქუჩებში) საომარი მოქმედებისას პირველივე ხანებში დიდი მსხვერპლი გამოიწვია. საგანგებო დანიშნულების მხოლოდ მე-5 ქვედანაყოფმა 10 მეომარი დაკარგა.

„მწვანე ბერეტების" ერთ-ერთი წევრის თქმით, ისინი ბრძოლებისას იძენდნენ ბრძოლის წარმოების უნარ-ჩვევებს: „ავღანეთის მთებსა და ერაყის უდაბნოებში საკმაოდ გულმშვიდად ვიყავი, მაგრამ ფალუჯასა და ბაღდადის უბნებში უფრო მეტად ზოგად გამოცდილებასა და ინსტინქტზე დაყრდნობით ვმოქმედებდი, ვიდრე „პროფესიული ჩვევების" გამოყენებით. პრობლემები შეიქმნა იარაღის შერჩევისას, ამერიკული ავტომატური შაშხანები, რომლებითაც სპეცრაზმელების უმრავლესობა იყო შეიარაღებული, ნაკლებეფექტიანი გამოდგა ძალზე მტვრიან ადგილებში ხანგრძლივი ბრძოლის დროს. ქალაქ ფალუჯაში „მწვანე ბერეტები" და საზღვაო ქვეითების სადაზვერვო ჯგუფების ჯარისკაცები საშტატო იარაღის ნაცვლად ნადავლ „კალაშნიკოვებსა" და საბჭოთა წარმოების ტყვიამფრქვევებს ამჯობინებდნენ". სპეცრაზმელების ოპტიმალურად გამოყენების საქმეში კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ არ არსებობდა მკვეთრი, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების წინასწარდასახული გეგმა.

## შავი ჯგუფი

დღეისათვის ერაყში მსახურობს ეგრეთ წოდებული ჯგუფი „BLACK", რომელშიც შედიან SAS-ის რაზმები, „დელტას" ჯგუფი და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების სპეცრაზმელთა მე-6 დაჯგუფების ანტიტერორისტული ნაწილები. „შავი" ჯგუფის ამოცანაა: ტერორისტების მეთაურთა შეპყრობა-განადგურება და ტერორისტ-თვითმკვლელებთან ბრძოლა. ერაყში ჩატარებულ ოპერაციათა უმრავლესობას სწორედ ამ ჯგუფს მიაწერენ. მაგალითად, მათ ანგარიშზეა სადამ ჰუსეინის შვილების განადგურება.

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სხვადასხვა სპეცდანაყოფის მოქმედების კოორდინაციაა. ერაყში ამერიკელების წინაშე იგივე პრობლემა დადგა, რაც რუსების წინაშე, ჩეჩნეთში ომის წარმოებისას – ეს არის სხვადასხვა სპეცდანიშნულების რაზმების და ჯარის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების დეფიციტი.

ზემოხსენებული ელიტური დაჯგუფებები საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ სექტორებში მოქმედებენ, მაგრამ ეს სექტორები ამა თუ იმ სახმელეთო ან საზღვაო ქვეითების პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფებიან.

სპეცრაზმები ხშირად იძულებულნი არიან საქმის კურსში არ ჩააყენონ ზონების უმაღლესი სარდლობა და დამოუკიდებლად იმოქმედონ, „შავი ჯგუფი" კი მათი მოქმედების კოორდინაციას ახდენს.

ამის დასტურია სამხედრო მოსამსახურე ჯესიკა ლინჩის გამოსახსნელი ოპერაცია. ჯესიკა ლინჩი საავადმყოფოში ჰყავდათ დატყვევებული. ოპერაცია შავი ჯგუფის „რეინჯერებმა" და „სელაპებმა", სხვა სპეცრაზმელებთან კოორდინირებული მოქმედებებით, ჩაატარეს, ისევე როგორც ოპერაცია „მალბორო", რომელზეც ქვე-

მოთ მოგითხრობთ.

მეორე სერიოზული პრობლემა, რომელსაც ამერიკელები და ინგლისელები ერაყში შეეჯახნენ, უტყუარი სადაზვერვო მონაცემების მოპოვება და მათი სხვადასხვა საბრძოლო ქვედანაყოფში ურთიერთგაცვლა იყო.

ოპერატიული ჯგუფის შექმნამ საქმე საგრძნობლად გამოასწორა, შეიქმნა ერაყის ტერიტორიაზე მოქმედ ტერორისტთა სადაზვერვო მონაცემთა საერთო ბაზა, რამაც სპეცოპერაციების დაგეგმვების გაუმჯობესება და სხვადასხვა უწყებასა და სახელმწიფოებს შორის დაზვერვათა მონაცემების ინტენსიურ ურთიერთგაცვლას შეუწყო ხელი.

## ტერორისტთა შეტევა

მოკავშირეთა ჯარების ერაყში შესვლის პირველივე დღიდანვე ხდება ტერაქტები, დივერსიები, სამხედრო კოლონებზე თავდასხმები. მათგან თავდასაცავად კოალიციის სარდლობამ საკმაოდ ეფექტიანი ტაქტიკა გამოიმუშავა, მაგრამ აჯანყებულებმაც გამოიჩინეს მოქნილობა – თუ ადრე კოლონების წინააღმდეგ ჩასაფრებულნი გადადიოდნენ შეტევაზე, ახლა ძირითადად მათი ნაღმებით აფეთქებებზე გადავიდნენ. თვითმკვლელთა ტერაქტები კი ნამდვილ მოუშორებელ ჭირად იქცა როგორც მოკავშირეთა ჯარისკაცებისთვის, ისე ერაყის მშვიდობიანი მოსახლეობისთვისაც. აფეთქებების ხმა ერაყის ქალაქებში თითქმის ყოველდღე გაისმის – ფეთქდება კაფეები, კინოთეატრები, რესტორნები, სასტუმროები, ბაზრები. მთელი ომის განმავლობაში ტერაქტის თავიდან აცილება მხოლოდ რამდენჯერმე მოხერხდა.

მთავარი პრობლემა დაზვერვის უტყუარი მონაცემების უქონლობაა. ამერიკლები აღიარებენ, რომ დაახლოებით სამი წლის განმავლობაში მათ ვერ შეძლეს ერაყში სერიოზული აგენტურული ქსელის შექმნა. იმ ქვეყნებს (საფრანგეთი, რუსეთი) კი, რომელთაც ერაყში თავიდანვე ანგარიშსგასაწევი აგენტურული ქსელები აქვთ, ინფორმაციების გაცემა არ სურთ, რადგან საერთაშორისო კოალიციის წევრები არ არიან. იშვიათად, როცა ამერიკელებს ხელთ უტყუარი ინფორმაცია ჩაუვარდებათ, ტერაქტს თავიდან იცილებენ. ამის მაგალითად ოპერაცია „მალბორო“ გამოდგება, რომელიც ბოლო დრომდე ერთადერთ წარმატებულ ანტიტერორისტულ მოქმედებად ითვლებოდა. ოპერაცია ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის მი-6-ის მონაწილეობით დაიგეგმა 2005 წლის ზაფხულში.

## ინფორმაცია ტერაქტის შესახებ

დაზვერვის ინგლისელი ოფიცერი ირწმუნებოდა: „ამჯერად ოპერატიული ინფორმაცია უტყუარია, აგენტი, რომელმაც იგი მოგვაწოდა, მრავალგზის არის შემოწმებული, სასწრაფო მოქმედებაა საჭირო“.

ინფორმატორის მონაცემებით, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტერორისტული ორგანიზაცია ტერორისტ-თვითმკვლელების მეშვეობით ბაღდადში ერთდროულად სამ აფეთქებას აპირებდა. მათი სამიზნე ის ადგილები იყო, სადაც ახალშექმნილი ერაყის უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები იყრიდნენ თავს.

დაზვერვის მონაცემებით, ტერაქტები შუადღისას უნდა მოეწყოთ, როცა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეები და მოქალაქეები სიცხისაგან თავშესაფარს კაფეებში ეძებენ.

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ოპერაციის სამიზნე სამი ტერორისტ-თვითმკვლელი გახდა, რომლებიც ბაღდადის ერთ-ერთ უბანში იმალებოდნენ.



## მონაწილე ძალები

ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება, SAS-ის მეომრებს მიანდვეს. ეს არჩევანი რამდენიმე ობიექტურმა გარემოებამ განაპირობა: პირველი – SAS-ის მებრძოლების მომზადების მაღალი პროფესიული დონე, მეორე – ინფორმაცია ინგლისელთა მოპოვებული იყო, მესამე – ბრიტანული სპეცსამსახურები ერაყის მასშტაბურ ოპერაციებში გაცილებით ნაკლებად არიან ჩართულნი, ვიდრე ამერიკელები და ტრადიციულად, მუდამ მზად არიან დავალების შესრულებისთვის, მაგრამ რადგან SAS-ი ერაყში სხვა მრავალი საქმითაცაა დაკავებული, მხოლოდ მათი ძალები ოპერაციის ჩასატარებლად საკმარისი არ იქნებოდა. მათ, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, შეეძლოთ მთავარი ამოცანის გადაჭრა, დანარჩენისთვის კი დამატებითი ძალები იყო საჭირო.

გამომდინარე იქიდან, რომ ბრიტანული და ამერიკული სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ და ერთობლივი მოქმედების მდიდარი გამოცდილებაც აქვთ, გადაწყდა, რომ მათ დასახმარებლად ოპერაციაში ჩაერთოთ ამერიკული ზურგის დაცვის სპეცრაზმელთა ნაწილები. ამოქმედდა დაზვერვის ტექნიკური საშუალებები. ოპერაციის დასკვნით ეტაპზე კი არეულობის თავიდან ასაცილებლად და ბრბოს გასარეკად, ერაყის სამხედრო მოსამსახურეთა ასეული გაამზადეს. სიტუაციის გართულების შემთხვევაში, SAS-ის მებრძოლებს ვერტმფრენებიც დაეხმარებოდნენ და თუ საჭირო შეიქნებოდა, მათ ევაკუაციასაც მოახდენდნენ. ოპერაციას კოორდინირებას უწევდა ბაღდადში განლაგებული კოალიციის ძალების შტაბი. აქედან უნდა გაეცათ ოპერაციის დაწყების ბრძანება. შტაბში თავი მოიყარეს სპეცრაზმების არაბულის მცოდნე თარჯიმნებმა.

## გეგმა „მალბორო“

გეგმის თანახმად, SAS-ის ოთხი ჯგუფი ღამით შეუმჩნევლად უნდა დაძრულიყო წინასწარ დაგეგმილი პოზიციებისაკენ და დაეკავებინა ისინი.

ოთხ-ოთხი მეომრისაგან შემდგარ თითო ჯგუფში ერთი სნაიპერი შედიოდა. სამიზნეების წინააღმდეგ სამი სნაიპერი იმუშავებდა, მეოთხე ჯგუფის სნაიპერი კი რეზერვში იქნებოდა.

მისი ამოცანა იყო, აცდენის შემთხვევაში სამიდან რომელიმეს დაზღვევა.

სნაიპერული ზალპის შესასრულებლად პოზიციები წინასწარ შეირჩა, მაგრამ იმის გამო, რომ მოსამზადებელი სამუშაოები არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამჟღავნებულიყო, პოზიციების სრულყოფილად მოწყობა ვერ მოხერხდა, მაგრამ ოპერაციის დროს სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად პოზიციებს მუდმივი მეთვალყურეობა დაუწესეს. სნაიპერებს ერთი, საერთო სიგნალის შემდეგ უნდა გაესროლათ. ამოცანის თანახმად, ყოველ ტერორისტს ტყვია ერთდროულად თავში უნდა მოხვედროდა. ოპერაციის დაწყების წინ მზადყოფნა უბრძანეს აშშ-ის სწრაფად რეაგირების სპეცრაზმების ნაწილებს. ერაყელი ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, მათ კარგად იცოდნენ მოსალოდნელი ოპერაციის მიზანი. გასაგები მიზეზების გამო, ერაყელები საქმის კურსში არ ჩააყენეს.

თითოეული ჯგუფი შეიარაღებული იყო სნაიპერული შაშხანა L115A-ით, რომელსაც ტელესკოპური სამიზნე „შმიტი და ბენდერი" ჰქონდა (ეს სამიზნე მოწყობილობა 1000 მეტრზე მიზანში მოხვედრას უზრუნველყოფს). გარდა ამისა, მეომრებს ინდივიდუალური იარაღიც ჰქონდათ, ხოლო ზურგის დაცვის მეომრები ნაღმსატყორცნებით და ტყვიამფრქვევებით იყვნენ შეიარაღებულნი.

შტაბისა და ჯგუფების ოპერატიული ინფორმაციით უზრუნველსაყოფად ამოქმედდა ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატი „პრედატორი", რომელიც ოპერაციის ჩატარების რაიონში არსებული მდგომარეობისა და მიზანთა გადაადგილების შესახებ მასალას აწვდიდა შტაბს. უპილოტო თვითმფრინავი 700 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავდა, იგი დროის რეალურ რეჟიმში მუშაობდა. გარდა ამისა, ოპერაციის რაიონში დაიდგა ზემგრძნობიარე მიკროფონები, რომლებიც ყველა სატელეფონო საუბრისა და ამა თუ იმ მოქმედების თანმხლები ხმების ფიქსირების საშუალებას იძლეოდა.

დათქმულ დროს რაზმებმა შეუმჩნევლად დაიკავეს პოზიციები. დადგა დაძაბული მოლოდინის დრო.

საკოორდინაციო შტაბის ოფიცრები ოპერაციას უპილოტო საფრენი აპარატის საშუალებით ადევნებდნენ თვალს. ბოლოს, გაიცა ბრძანება მთელი ძალებისა და საშუალებების უმაღლესი ხარისხის მზადყოფნის რეჟიმში გადასვლის შესახებ. ტექნიკური დაზვერვის ოპერატორებმა, რომლებიც ტერორისტთა მოქმედებებს შენობის კედლებზე განლაგებული მიკროფონებით აფიქსირებდნენ, შტაბს მოახსენეს, რომ ტერორისტები გასასვლელისკენ დაიძრნენ. გაიარა რამდენიმე წამმა და სამი თვითმკვლელი ზღურბლზე გამოჩნდა, გაიცა ბრძანება და სამმა სნაიპერმა ერთდროულად გაისროლა, მეოთხეს გასროლამ არ მოუწია, რადგან სამივე ტერორისტი ტყვიით თავგახვრეტილი ეგდო შენობის კართან. SAS-ის მეთაურმა შტაბში გადასცა ინფორმაცია — „წრე შეიკრა", რის შემდეგაც თითოეული ჯგუფი შეუმჩნევლად გამოვიდა ოპერაციის ზონიდან.

ბუნებრივია, დაწვრილებითი ცნობები ოპერაცია „მალბოროს" შესახებ პრესაში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მწირი მონაცემების მიხედვითაც შეიძლება დასკვნის გაკეთება.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ოპერაციის პროფესიული ორგანიზება და მასში მონაწილე ძალების ოპერატიული ურთიერთმოქმედება. ოპერაციის წარმატებაში დიდი როლი შეასრულა უტყუარმა ინფორმაციამ, რომლის გარეშეც ოპერაციის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა. მეტად მნიშვნელოვანი იყო ოპერაციის მომზადებისა და ჩატარების მკაცრად გასაიდუმლოება, რადგან ინფორმაციის გაჟონვა ერაყში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. როგორც ყოველთვის, SAS-ის მებრძოლებმა უზადოდ შეასრულეს დასახული ამოცანა. ოპერაციის მომზადების მცირე დრომ ინგლისელებს ხელი ვერ შეუშალა მოვლენათა შესაძლო განვითარების ყველა წვრილმანის გათვალისწინებაში.

დაგეგმვის უარყოფით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სნაიპერები ცალ-ცალკე თითო სამიზნეზე მუშაობდნენ, ხოლო სამის შეცდომის გამოსასწორებლად მხოლოდ ერთი სნაიპერი ჰყავდათ.

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გეგმის ავტორებს SAS-ის სნაიპერების მაღალი პროფესიონალიზმის იმედი ჰქონდათ, მაგრამ შემთხვევითობისაგან არავინ არის დაზღვეული, ამიტომ კარგი იქნებოდა თითო ტერორისტზე ორი სნაიპერის მიმაგრება, თუმცა ძალების შერჩეული რაოდენობა და ხარისხი შესაძლოა გამოწვეული იყო ოპერაციის ჩატარების მცირე დროით, სნაიპერთა კადრების უკმარისობით და სხვა ობიექტური მიზეზებით.

გარდა ამისა, არ არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა სარდლობას სათადარიგო გეგმა, რადგან სამივე ტერორისტის ერთდროულად გამოჩენის გარანტია არ არსებობდა. მოვლენათა სხვაგვარად წარმართვის შემთხვევაში ხომ ეჭვქვეშ დადგებოდა ოპერაციის წარმატება?!

ასეა თუ ისე, ჩვენი მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდებია, საკითხი კი მხოლოდ მაშინ გახდება ნათელი, თუკი ოპერაციის მომზადების დეტალებს დაწვრილებით გავეცნობით. ფაქტია, რომ SAS-მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა უმაღლესი პროფესიონალიზმი, უმცირეს დროში დაგეგმა და უზადოდ ჩაატარა ურთულესი ოპერაცია. არ უნდა დავივიწყოთ ამერიკელების საიმედო მხარდაჭერაც.

ასე რომ, ოპერაცია ისე ჩატარდა, როგორც ჩაფიქრებული იყო — ყველა ტერორისტი განადგურდა, სპეცრაზმელთაგან კი არავინ დაზარალებულა.

## და მაინც...

ოპერაციის წარმატების მიუხედავად, უნდა გვახსოვდეს, რომ ერაყში თავიდან აცილებულ ერთ ტერორისტულ აქტზე რამდენიმე ათეული ისეთი ტერაქტი მოდის, რომელთა შესახებ სპეცსამსახურებმა არაფერი იცოდნენ და შესაბამისად, ვერანაირი ზომა ვერ მიიღეს.

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მოკავშირეთა ძალებს უამრავი პრობლემა აქვთ ყველა იმ სფეროში, რომელიც დაზვერვაზეა დამოკიდებული.

2005 წლის დასაწყისში, ერაყიდან ექვსთვიანი მივლინების შემდეგ დაბრუნებული ამერიკული სპეცრაზმის მეომარი ამბობდა, რომ აგენტურული დაზვერვის მონაცემები სარწმუნო არ არის, რომ სპეცრაზმელები იძულებულნი არიან, თვითონ მოიპოვონ საჭირო ინფორმაცია, რაც ამცირებს ბრძოლის ეფექტიანობას და ზრდის დანაკარგს.

გარდა ამისა, აჯანყებულთა მომრავლების შემდეგ მოკავშირეთა სარდლობას მათ წინააღმდეგ საბრძოლველად აღარ ჰყოფნის ძალები, ამასთან, წინააღმდეგობის ფრონტის გაფართოება არსებული ძალების დაქსაქსვას იწვევს. მაგალითად, SAS-ის მებრძოლები იძულებულნი არიან, როგორც ქვეყნის დასავლეთში, სირიის საზღვართან, ისე ბაღდადსა და ბასრაში იმოქმედონ. მაშინ როცა SAS-ის პოლკი რიცხობრივად ოდნავ აღემატება ბატალიონის რაოდენობას, გარდა ამისა, ერთი ესკადრონი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მუდმივ „ანტიტერორისტულ" მზადყოფნაშია. ამის გამო განზრახული აქვთ პოლკის რაოდენობის გაზრდა, რასაც ვეტერანები ეწინააღმდეგებიან.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, SAS-ი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულად მოქმედი ქვედანაყოფია მთელ ერაყში. მისმა მეომრებმა დაამტკიცეს, რომ ყველა რთული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლიათ. საზოგადოდ კი ერაყის სამხედრო მოქმედებებმა ცხადყო, რომ სპეცრაზმები ტერორიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა, რასაკვირველია, თუ დაზვერვის უტყუარი მონაცემები და ნათლად დასახული მიზანი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კონტრდაზვერვის ყველაზე დიდი შეცდომები

***სპეცსამსახურების საქმიანობას ის თავისებურება აქვს, რომ მათი წარმატებები ძნელი დასანახია და თანაც საგულდაგულოდ მალავენ, ხოლო ჩავარდნები საყოველთაო განსჯის საგანი ხდება. ამჯერად თავის დროზე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურის, საბჭოთა კა-გე-ბეს კონტრდაზვერვის ორ დიდ შეცდომაზე მოგითხრობთ.***



**ალექსანდრე ოგოროდნიკი „ტრიანონი“**

## „ტრიანონის“ კვალი საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში უხსოვარ დროს დინოზავრები რომ დასეირნობდნენ, ყველას კარგად მოეხსენება. ამ ოცდაათი წლის წინ კი საქართველოს „ტრიანონიც“ ეწვია. თბილისი, ბათუმი, ბიჭვინთა და ახალი ათონი – ასეთი იყო მისი მარშრუტი. თან ძალზე მომხიბლავი ქალბატონიც ახლდა, რომელსაც როგორც საცოლეს, ისე წარუდგენდა ხოლმე ეშხში შესულ ქართველ მასპინძლებს. ქართული სტუმართმოყვარეობა საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ ამ სტუმრებს განსაკუთრებული ყურადღებით ხვდებოდნენ: იმ დროის საუკეთესო სასტუმრო „ივერიის“ ლუქს-ნომერი, საუკეთესო რესტორნები, შავი „ვოლგები“ და ა.შ. ასეთი ყურადღება გასაკვირი არ იყო, რადგანაც „ტრიანონს“ საქართველოს კომპარტიის ცეკა მასპინძლობდა. მოსკოვიდან პოლიტბიუროს წევრის, რუსაკოვის სამდივნოდან ერთი სატელეფონო ზარი საკმარისი გახდა, რომ საქართველოს ცეკა ფეხზე დამდგარიყო. სტუმრების უმაღლეს დონეზე გამასპინძლება შავი ზღვის სანაპიროზეც გაგრძელდა. ახალგაზრდა წყვილს სამთავრობო დაცვა (იგივე კა-გე-ბეს მე-9 განყოფილება) დაჰყვებოდა.

„ტრიანონი“ (აშშ-ის დაზვერვის მიერ მინიჭებული ოპერატიული ფსევდონიმი), იგივე „აგრონომი“ (ოპერატიული დამუშავების დროს კა-გე-ბეს მიერ მინიჭებული ფსევდონიმი) – ასეთი იყო ამ სტუმრის, საბჭოთა დიპლომატის და იმავდროულად 1974 წლიდან აშშ-ის ცსს-ს აგენტის ალექსანდრე ოგოროდნიკის ფსევდონიმები. საშუალოზე მაღალი, სპორტული აღნაგობის აგენტი-დიპლომატი დიდი წარმატებით სარგებლობდა ქალებში და თავადაც არც ერთ შანსს არ უშვებდა ხელიდან. კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში მუშაობისას სულ მუსრი გაავლო საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ცოლებს. აშშ-ის დაზვერვას მისი ეს თვისება არ გამოჰპარვია და მომხიბლავი კოლუმბიელი პილარ სანჩესი მიუგზავნეს. შემდეგ იყო მაკომპრომეტირებელი ფოტოები და გადაბირების კლასიკური ოპერაცია. მოსკოვში დაბრუნებისას „ტრიანონი“ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო, დაგეგმვისა და პროგნოზირების დეპარტამენტში დაინიშნა. ამერიკის დაზვერვისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი პოზიცია იყო. საბჭოთა კავშირის სრულიად საიდუმლო საგარეო-პოლიტიკურ ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ხშირად საბჭოთა კოლეგა ანდრეი გრომიკოზე ადრე ეცნობოდა. ამ პერიოდისთვის „ტრიანონი“ საბჭოთა სუკ-ის მეორე მთავარი სამმართველოს (კონტრდაზვერვის) მე-7 განყოფილების (რომელიც 1975 წელს შეიქმნა საბჭოთა საგარეო უწყებაში სხვა ქვეყნების აგენტურის გამოსავლენად) მეთვალყურეობის ქვეშ იყო და გარე თვალთვალის ბრიგადები ერთი წუთითაც არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. საქართველოში „ტრიანონის“ გამომგზავრებამდე კა-გე-ბეს რაიმე ხელჩასაჭიდი და მისი ჯაშუშობაში მამხილებელი საბუთი არ ჰქონდა, თორემ შავ ზღვაზე კი არ გამოუშვებდნენ, ციმბირსაც კი მონატრებდნენ. ჯაშუშის ვიზიტის ორი ვერსია არსებობდა: ის ან აშშ-ის დაზვერვის რეზიდენტს, ან მეკავშირეს უნდა შეხვედროდა, ან თურქეთში აპირებდა გაქცევას. ორივე შემთხვევაში ოგოროდნიკი სრული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ოგოროდნიკი ადრევე, ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტში მუშაობის პერიოდში თანამშრომლობდა კა-გე-ბესთან და საზღვარგარეთ მივლინებების დროს მათ დავალებებსაც ასრულებდა. ამიტომ ის საკმაოდ ფრთხილად იქცეოდა – საიდუმლო უბის წიგნაკი მუდამ თან დაჰქონდა, ხოლო შავ ჩანაწერებს უმალვე ანადგურებდა. ხშირად ამოწმებდა, უთვალთვალებდნენ თუ არა.

1977 წლის მაისში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომელი ალექსანდრე ოგოროდნიკი საცოლესთან, ოლგა ფომინასთან ერთად საქართველოს დასასვენებლად ეწვია. ქართველი პარტიული ჩინოვნიკების თავგამოდებაზე ზემოთ უკვე გიამბეთ, ახლა კი ქართველი ჩეკისტების სულ სხვა პრობლემებზე მოგითხრობთ.

საქართველოს სუკ-ის ხელმძღვანელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსი ინაურმა მოსკოვიდან სრულიად საიდუმლო დაშიფრული დეპეშით შემდეგი დავალება მიიღო: ოპერატიულ დამუშავებაში აეყვანათ საქართველოში დასასვენებლად მყოფი „ტრიანონი“, გამოევლინათ მისი კონტაქტები და ფარულად გასცნობოდნენ დოკუმენტებს. ინაური ორცეცხლშუა იყო – ერთი მხრივ, მოსკოველ სტუმარს ქართველი პარტიული ბოსები არ სცილდებოდნენ და ცივ ნიავს არ აკარებდნენ, მეორე მხრივ კი საკავშირო სუკ-ის ხელმძღვანელობის დავალება უნდა შეესრულებინა.

სამოცდაათ წელს მიტანებულმა ყოფილმა კავალერისტმა ჩვეული ეშმაკობა იხმარა – ამ ოპერატიული საქმისთვის სპეციალური ჯგუფი შექმნა და ხელმძღვანელადაც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი თანამშრომელი, თავისი მოადგილე (რომელსაც მის შემცვლელად ასახელებდნენ), პოლკოვნიკი გივი ჯორბენაძე დანიშნა. გათვლა მარტივი იყო – ოპერაციის წარმატებით დასრულება ინაურის დამსახურება იქნებოდა, ხოლო წარუმატებლობა ჯორბენაძეს დაბრალდებოდა და მის კარიერულ წინსვლას ხაზი გადაესმებოდა.

ამერიკის დაზვერვის აგენტი თბილისში ძველ მეგობრებსაც შეხვდა, რომლებიც უკვე დაწინაურებულიყვნენ და კომკავშირიდან პარტიის ცეკაში გადასულიყვნენ. მათთან საუბარში, განსაკუთრებით ქართული ღხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Израсходование боеприпасов – საბრძოლო მასალების დახარჯვა

Изувечение – დასახიჩრება, დაშავება

Именной – სახელობითი

Имитация – მიბაძვა

Импрернированный – გაჯერებული, ნაჯერი

Имущество – ქონება

Имущество вещевое – სანივთე ქონება

Имущество военное – სამხედრო ქონება

Имущество личное – პირადი ქონება

Имущество трофейное – ნადავლი ქონება

Инвалид войны – ომის ინვალიდი

Инициruюший – პირველადი, მაინიცირებელი

Инструмент – იარაღი, ინსტრუმენტი

Интендант – მომმარაგებელი (სურსათით, ფურაჟით, ტანისამოსით და სხვ.)

Интервал – შუალედი, ინტერვალი

Интервент – დამპყრობი

Инфразвуковой – ინფრაბგერითი

Инфракрасный – ინფრაწითელი

Исскуство – ხელოვნება

Испытание – გამოცდა

Испытание боевое – საბრძოლო გამოცდა

Истинный – ნამდვილი

Источник – წყარო

Истощение – დაუძლურება, გამოფიტვა

Истощение войск – ჯარების დაუძლურება

Истощение запасов – მარაგის გამოლევა

Истребитель – გამანადგურებელი

Истребитель-бомбардировщик – გამანადგურებელ-ბომბდამშენი

Истребитель-перехватчик – გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი

Истребитель-штурмовщик – გამანადგურებელ-მოიერეშე

Исход боя – ბრძოლის დასასრული

Исходный – საწყისი, ამოსავალი.

ინისას, ოგოროდნიკმა ბევრი საინტერესო პოლიტიკური ინფორმაცია შეიტყო და სასტუმროში დაბრუნებულმა უბის წიგნაკში სპეციალური შიფრით ჩაინიშნა.

„ტრიანონის“ გამოვლენაში მთავარი სიტყვა უშიშროების „შავ მუშებს“ – გარე თვალთვალის ჯგუფებსა და „ოტო-ს“ (ოპერატიულ-ტექნიკური განყოფილების) ოპერმუშაკებს უნდა ეთქვათ. დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ მხოლოდ და მხოლოდ ბათუმში მოახერხეს ოგოროდნიკის ჩანაწერების ფარულად გადაღება.

ერთ შემთხვევაში „ტრიანონმა“ ფაქტობრივად გაშიფრა „ნარუჟკა“. ეს კი ასე მოხდა. თბილისი-ბათუმის მატარებელში ოგოროდნიკს მიმაგრებულ ერთ-ერთ ქართველ ოპერმუშაკს „ტრიანონის“ კუპე შეეშალა და გამცილებელს დაუწყო გამოკითხვა. წარმოიდგინეთ, რას გააკეთებდა შუახანს გადაცილებული, ბევრის მნახველი რუსი „პრავადნიცა“, როცა მის მგზავრს, რომელიც თბილისიდან დიდი პატივით გამოაცილეს, ვიღაც წვერგაუპარსავი და სახენაიარევი „ბასიაკი“ კითხულობდა? გამოიცანით – პირდაპირ ოგოროდნიკთან გავარდა და ყველაფერი წვრილად ჩაუკაკლა. ეს იყო საბჭოთა კონტრდაზვერვის პირველი სერიოზული შეცდომა (მეორეს კი ისინი მოსკოვში დაუშვებენ, რის გამოც ოპერაცია სრული კრახით დასრულდება).

„ტრიანონი“ შეშფოთდა. ბათუმიდან სასწრაფოდ თბილისში დარეკა და მასპინძლები საყვედურებით აავსო. თუმცა სუკ-ის მიერ „შეგდებულმა“ ოფიციალურმა ვერსიამ – მატარებლები ქურდბაცაცებითა და ხულიგნებით გაივსო და რა ვქნათო, ოდნავ დაამშვიდა. ბათუმიდან ბიჭვინთაში გაემგზავრნენ და ოგოროდნიკს, მისდა საუბედუროდ, ეს შემთხვევა გადაავიწყდა.

საკავშირო კა-გე-ბეში საქართველოში მოპოვებული დოკუმენტები გაშიფრეს თუ არა, უკვე ეჭვს აღარ იწვევდა „აგრონომის“ ჯაშუშობა. 1977 წლის ნოემბერში უკვე საკმაო მასალა იყო თავმოყრილი და ოგოროდნიკი დააკავეს. დაკითხვისას მან აღიარა ჯაშუშობა, მან აღიარების ქაღალდზე გადატანა ითხოვა – თუ შეიძლება, ჩემი ოქროს „პარკერის“ კალმით დავწეროო. მიაწოდეს თუ არა ძვირფასი კალამი, ოგოროდნიკმა კალმის თავი უსწრაფესად გაკვნიტა და მომენტალურად გრძნობა დაკარგა. როგორც შემდგომ გაირკვა, ამერიკის დაზვერვამ ძლიერმოქმედი შხამით სავსე მინიატიურული კაფსულა, რომელიც „პარკერში“ იყო ჩამონტაჟებული, „ტრიანონს“ მისივე დაჟინებული თხოვნის შემდეგ გაუგზავნა. ოგოროდნიკის სიკვდილმა, რომელიც საბჭოთა კონტრდაზვერვის შეცდომას მოჰყვა, ამერიკის ბევრი აგენტი (უპირველესად სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში) გადაარჩინა დაპატიმრებასა და დახვრეტას.

## ამერიკის აგენტს ეძებთ? ბრეჟნევთან არის მიღებაზე...

ეს ისტორიული ფაქტი ბოლო წლებამდე გასაიდუმლოებული იყო. ბუნებრივია, მარცხის აღიარება არავის უყვარს, მით უმეტეს, კა-გე-ბე-ფე-ეს-ბეს. თავად განსაჯეთ, 22 წლის განმავლობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტს გულთბილად იღებდნენ:

საბჭოთა ლიდერები – ნიკიტა ხრუშჩოვი და ლეონიდ ბრეჟნევი, კომუნისტური იდეოლოგიის „ცერბერი“ მიხაილ სუსლოვი, კა-გე-ბეს შეფი იური ანდროპოვი, ჩინეთის ბელადი მაო ძედუნი და კუბის ექსცენტრიკული ლიდერი ფიდელ კასტრო.

ეს იყო გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო და წარმატებული ოპერაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და იმავდროულად კა-გე-ბეს ყველაზე დიდი მარცხი.

აშშ-ის სპეცსამსახურების კონტრდაზვერვითი ღონისძიებები, რომლებიც თავდაპირველად ამერიკის კომპარტიის წინააღმდეგ იყო დაგეგმილი, თანდათან გასცდა ამერიკის საზღვრებს და მთელი სოციალისტური ბანაკი მოიცვა.

ყველაფერი კი გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლების ოპერატიული და საარქივო მასალების მაღალპროფესიულად გაანალიზების შედეგად დაიწყო.

გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფის ედგარ ჰუვერის ხელქვეითებს აშშ-ის კომპარტიაში 40-იანი წლების ბოლოს არსებული განხეთქილება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ისინი გამოცდილი მონადირის მოთმინებით მიჰყვნენ კვალს და „ნადირობა“ წარმატებით დაასრულეს.

მორის ჩაილდსი (ნამდვილი სახელი მოიშა შილოვსკი) დაიბადა კიევში, 1902 წლის 2 ივნისს, ებრაელი მეწაღის ოჯახში. 1911 წლიდან ოჯახი ჩიკაგოში გადასახლდა. სულ ახალგაზრდა მორისმა აშშ-ის კომპარტიის მომავალი ლიდერის, კომინტერნის აგენტისა და დიდი სტალინისტის ერლ ბროუდერის ყურადღება მიიპყრო და მალე მისი თანაშემწე გახდა. 1929 წელს მორის ჩაილდსი მოსკოვში ჩავიდა და ე. წ. კომუნისტური ინტერნაციონალის, ანუ „ლენინურ“ სკოლაში დაიწყო არალეგალური პარტიული მუშაობის მეთოდებისა და ხერხების შესწავლა. სულ მალე ის საბჭოთა სპეცსამსახურებმა გადაიბირეს და საიდუმლო თანამშრომლობაზე დაითანხმეს. კომინტერნის სკოლაში მისი მასწავლებლები მაშინ ახალგაზრდა ლექტორები, მომავალში კი საბჭოთა პოლიტბიუროს წევრები ოტო კუუსინენი (კა-გე-ბეს მომავალი თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის იური ანდროპოვის მფარვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი) და მიხეილ სუსლოვი (საბჭოთა იდეოლოგიის მომავალი „მამა“) იყვნენ. ეს ნაცნობობა, განსაკუთრებით კი სუსლოვთან, „ამხანაგ მორისს“ შემდგომ ძალზე გამოადგა.

1932 წელს, როდესაც მორისმა მოსკოვი დატოვა, ის უკვე არა მარტო კარგად მომზადებული პარტიული მუშაკი, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტიც იყო. ასევე აქტიურად ჩაერთო პარტიულ-აგენტურულ საქმიანობაში მორისის უმცროსი ძმა ჯეკიც.

ამერიკაში დაბრუნებული მორის ჩაილდსი ათ წელზე მეტხანს ჩიკაგოში პარტიულ მუშაობას ეწეოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის უკვე აშშ-ის კომპარტიის გაზეთ „დეილი უორკერის“ რედაქტორი და მოსკოვში სპეციალური კორესპონდენტი იყო. ამ პერიოდში ის განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდა კა-გე-ბესთან.

1947 წელს აშშ-ის კომპარტიაში შიდაინტრიგებმა იმძლავრა, რის შედეგადაც მორის ჩაილდსი, კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერი, მოულოდნელად ისე გაათავისუფლეს გაზეთის რედაქტორობიდან და გამოიყვანეს პარტიის ხელმძღვანელობიდან, რომ წინასწარ არც გაუფრთხილებიათ.

სრულ კრახს პარტიულ კარიერაში მორისის ოჯახური პრობლემები და მძიმე ავადმყოფობაც დაერთო, ამის გამო ის კარგა ხნით ჩამოსცილდა აქტიურ საქმიანობას და მრავალი წელი ჯერ ნიუ-იორკში, ხოლო შემდეგ ჩიკაგოში, ნაქირავებ ბინაში მარტოდმარტო, ყველასგან მივიწყებული დიდ სულიერ და მატერიალურ გაჭირვებაში ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირში 40-50-იან წლებში დაწყებული მორიგი რეპრესიების და უშიშროების მინისტრების სისტემატური ცვლის (უფრო ზუსტად, დახვრეტის) დროს კა-გე-ბეს ერთი რიგითი ამერიკელი აგენტის ბედი არავის აინტერესებდა. არც გაემტყუნებოდათ — ყველა თავისი ტყავის გადარჩენაზე ზრუნავდა. თუმცა ქართული ანდაზისა არ იყოს, ზოგი ჭირი მარგებელიაო და მორის ჩაილდსი აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ დაპატიმრებას მხოლოდ მძიმე ავადმყოფობის გამო გადაურჩა, მაშინ როცა 50-იანი წლების დასაწყისში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ კომპარტიის თითქმის ყველა ლიდერი (იუჯინ დენისი, გეს ჰოლი და სხვ.) დააკავა და მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. პარალელურად, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ შეიმუშავა სპეცოპერაცია აშშ-ის კომპარტიის არალეგალური წევრებისა და დაფინანსების წყაროების გამოსავლენად. ოპერატიული მასალებისა და არქივების შესწავლის შედეგად გამოძიების ფედერალური ბიურო მორის და ჯეკ ჩაილდსებზე გავიდა. დაიწყო კარგად გააზრებული ოპერაცია მათ გადმოსაბირებლად.

პირველად უმცროსი ძმა დათანხმდა გფბ-სთან თანამშრომლობას და მალე მორისიც დაითანხმა (ასე რომ, ოჯახური პრობლემები, კრახი კარიერაში, ფულის, სასმლისა და ქალების სიყვარული აგენტების გადმობირების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებებია, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში წარმატებით იყენებენ სპეცსამსახურები — ავტ.). ამერიკის სპეცსამსახურმა ჯერ მომავალი ორმაგი აგენტის ჯანმრთელობაზე იზრუნა და რამდენიმე ათასი დოლარი დაახარჯა მის კლინიკებში მკურნალობას, ხოლო 1954 წელს ფარული ოპერატიული ღონისძიებების ჩატარებით ხელი შეუწყო მორის ჩაილდის აშშ-ის კომპარტიაში პოზიციის აღდგენას. სამი წლის შემდეგ მორისი უკვე მეორე კაცი იყო პარტიაში — მას სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობა და რაც მთავარია, მოსკოვის გამოყოფილი თანხის აშშ-ის კომპარტიისთვის საიდუმლოდ გადაცემა ევალებოდა.

1958 წლის ბოლოს მორის ჩაილდსი თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩავიდა, სადაც ცნობილ პარტიულ ფუნქციონერებს — თავის ძველ მასწავლებლებს, მიხეილ სუსლოვსა და ბორის პონომარიოვს შეხვდა. გადაწყდა, რომ ორ წელიწადში აშშ-ის კომპარტია 275 ათას დოლარს მიიღებდა. მოსკოვიდან მორისი ჩინეთში გაემგზავრა და მაო ძედუნს შეხვდა.

საბჭოთა კავშირისგან მალულად ჩინელმა კომუნისტებმაც დაიწყეს აშშ-ის კომპარტიის დაფინანსება. ორი ატომური ზესახელმწიფო აშშ-ის კომპარტიის გადასაბირებლად წლების განმავლობაში ფულს არ იშურებდა.

ამ უნიკალურ აგენტურულ ოპერა-


## წიგნის ავტორის შესახებ:

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში — დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

**ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე**




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას გფბ-მ „სოლო“ უწოდა, რადგან რეალურად მთელი ოპერაცია ერთი კაცის (მორისის, იმავე აგენტ „58“-ის) ოპერატიულ შესაძლებლობებზე იყო აგებული და მართლაც მისი „სოლო პარტია“ იყო.

მორისის, როგორც ორმაგი აგენტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ როცა მან მეორედ დაოჯახება გადაწყვიტა, მისი საცოლის (ევა ლიბის) ბიოგრაფიას სამი სპეცსამსახური (კა-გე-ბე, გფბ და აშშ-ის კომპარტიის შიდაუსაფრთხოების სამსახური) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთ წელიწადს სწავლობდა.

1962 წელს მორისი და ევა დაქორწინდნენ და მას შემდეგ 15 წლის განმავლობაში ერთად სწევდნენ ორმაგი აგენტის „უღელს“. მოსკოვში ვიზიტებისას მათ ყოველთვის თან მიჰქონდათ შოკოლადი, შოტლანდიური ვისკი, ამერიკული სიგარეტი „კენტი“, სუნამოები და მედიკამენტები. ამიტომ მორისისა და ევას ჩასვლას მოუთმენლად ელოდნენ საბჭოთა პოლიტბიუროს წევრები და მათი ცოლები.

1957-77 წლებში მორისი 52-ჯერ ჩავიდა საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში. უკვე საკმაოდ ხანში შესული წყვილი საღამოობით მოსკოვის სასტუმროს ნომერში ჩაკეტილნი, საბნის ქვეშ, ფარნის შუქზე, გამადლებითა და წვალებით იწერდნენ პოლიტბიუროს წევრებთან კონფიდენციალური საუბრებისა და საიდუმლო დოკუმენტების ყველაზე მნიშვნელოვან დეტალებს.

მორისსა და ევას ყოველთვის დიდი პატივით იღებდნენ სოციალისტურ ქვეყნებში. განსაკუთრებით დიდი შეხვედრა მორისს 1977 წელს, მოსკოვში მოუწყვეს. სასტუმროდან გამოსულ აგენტს შავ ლიმუზინთან პირადად კა-გე-ბეს შეფი იური ანდროპოვი ელოდებოდა. ის თავად გაუძღვა „ამხანაგ მორისს“ (მეტი საოცრება რაღა უნდა იყოს, საბჭოთა უშიშროების შეფი გფბ-ს აგენტს მიაცილებს გენმდივანთან!) კრემლში, სადაც მორისის 75-ე წლისთავის აღსანიშნავად ლეონიდ ბრეჟნევმა, ჩინ-მედლებისა და ქეიფის დიდმა მოტრფიალემ, იუბილარს წითელი დროშის ორდენი საზეიმო ვითარებაში გადასცა, ჩვეულებისამებრ სამჯერ მაგრად ჩაკოცნა და კრემლში დიდი ბანკეტი გაუმართა. თანაც მისივე თხოვნით, სამახსოვრო ფოტო გადაიღო „ამხანაგ მორისთან“. რა იცოდა ბრეჟნევმა, თუ „ისტორიულ ფოტოსურათში“ ამერიკის აგენტთან ერთად იწონებდა თავს. თავზარდაცემული ალბათ ხუთი წლით ადრე „დაგვტოვებდა“...

რისკის თავიდან ასაცილებლად, გფბ-მ ჩაილდსები თამაშიდან გაიყვანა და 1977 წლის შემდეგ, სიბერისა და ავადმყოფობის მოტივით, ისინი აშშ-ის საზღვრებს უკვე აღარ გასცილებიან. ოთხი წლის განმავლობაში კა-გე-ბეს ოპერატიული თანამშრომლები აშშ-ის კონტრდაზვერვისგან „ფარულად“ ხვდებოდნენ ჩაილდსებს ან წინასწარ მოწყობილი სამალავების საშუალებით გადასცემდნენ ფულს და ინსტრუქციებს, თან მორისისგან იღებდნენ ოპერატიულ ცნობებს ამერიკის კომპარტიის შიდასამზარეულოს შესახებ.

საბჭოთა კავშირისთვის მორის ჩაილდსი აშშ-ის კომპარტიის მეორე და ისეთი სანდო პირი იყო, რომ საბჭოთა ფულის ამერიკელი კომუნისტებისათვის გადაცემას მხოლოდ მას ანდობდნენ. სულ ამერიკის კომპარტიას საბჭოთა კავშირმა იმ პერიოდში 28 მლნ დოლარი გამოუყო, რომლის გადაცემასა და ხარჯვის პროცესს გფბ ზედმიწევნით აკონტროლებდა. ამ თანხის უდიდესი ნაწილი აშშ-ის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა გესს ჰოლმა პირად საჭიროებებზე დახარჯა.

ოპერაცია „სოლო“ იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ 18 წლის განმავლობაში აშშ-ის არც ერთმა სტრუქტურამ (თვით პრეზიდენტმა, ცსს-მ, და სხვ.) არ იცოდა საიდუმლო ინფორმაციის წყაროს ვინაობა. გფბ-ს დირექტორმა კლარენს კელიმ მხოლოდ 1975 წელს გაუმხილა აშშ-ის პრეზიდენტ ჯერალდ ფორდს და სახელმწიფო მინისტრ ჰენრი კისინჯერს აგენტის ნამდვილი ვინაობა. ორივე გაოგნებული დარჩა, ხოლო, როცა პრეზიდენტმა კარტერმა შეიტყო, რა საიდუმლო წყაროებიდან მოდიოდა სუპერმნიშვნელოვანი ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ, აღფრთოვანება ვერ დამალა და წამოიძახა: „ეს ოპერაცია მსოფლიოში ყველაზე მაგარი რამ არის... ნაყინის შემდეგ“.

იმ პერიოდში ამერიკის არც ერთ სპეცსამსახურს მორისის ოპერატიული შესაძლებლობების მქონე აგენტი არ ჰყავდა. ცსს-ს მხოლოდ ოცნება შეეძლო ისეთ აგენტზე, რომელსაც საბჭოთა ლიდერები პირად მეგობრად მიიჩნევდნენ და სრულიად საიდუმლო ინფორმაციას უზიარებდნენ. ცსს იმდენად იყო შოკირებული კოლეგა-კონკურენტების წარმატებით, რომ ამ ოპერაციაში თუნდაც მინიმალური მონაწილეობისთვის გფბ-ს ხელმძღვანელობას ნებისმიერ თანხას სთავაზობდა.

ოპერაცია „სოლოს“ მრავალწლიანი წარმატება განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ გფბ-ს ხელმძღვანელობამ ისე წინდახედულად დაშიფრა იგი, რომ მიღებული ოპერატიული ცნობების გაანალიზებისას ყველას ამ ინფორმაციის წყარო აგენტი კი არა, არამედ მოსასმენი „ხოჭო“ ან სეიფიდან მოპარული დოკუმენტი ეგონა.

1981 წლის აგვისტოდან ჩაილდსები გარეშე პირთათვის „გაუჩინარდნენ“, რადგან ამ პერიოდიდან უკვე აშშ-ის ადმინისტრაციის „მოწმის დაცვის“ პროგრამაში იყვნენ ჩართულნი. გფბ-ის ხუთი უმაღლესი ჩინის გარდა, არავინ იცოდა მათი ახალი გვარი და საცხოვრებელი ადგილი. ამგვარი სიფრთხილე აუცილებელი იყო, რადგან ამერიკელ აგენტებს საბჭოთა სპეცსამსახურების შურისძიებისა ეშინოდათ.

პენსიაზე გასული მორისი ხანდახან ლექციებს კითხულობდა გფბ-ს კუანტიკოს აკადემიაში. სხვა დროს მოხუცი მეუღლეები სახლში იყვნენ და წარსულს იხსენებდნენ. ორივე სიცოცხლის ბოლომდე პენსიას იღებდა სახელმწიფოსგან. 1987 წელს მორისი და მისი ძმა ჯეკი (სიკვდილის შემდეგ) პრეზიდენტ რეიგანის გადაწყვეტილებით „თავისუფლების“ მედლით დააჯილდოეს.

მორისი 1991 წლის 2 ივნისს გარდაიცვალა, მას რვა დღე დააკლდა 89 წლის შესრულებამდე.

მორის ჩაილდსის თითქმის 25-წლიანი აგენტურული საქმიანობის შედეგები მართლაც შთამბეჭდავია:

1. მან ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს მიაწოდა აშშ-ის ადმინისტრაციას უტყუარი ინფორმაცია საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების მოსალოდნელ დაძაბვაზე. ამან კი საშუალება მისცა ამერიკის საგარეო უწყებასა და ადმინისტრაციას მათთვის სასურველი კუთხით გამოეყენებინათ ეს დაპირისპირება;

2. 1963 წლის ნოემბერში დაარწმუნა აშშ-ის ადმინისტრაცია, რომ რუსები არ იყვნენ გარეულნი პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ორ ქვეყანას შორის მოსალოდნელი სერიოზული გართულებების თავიდან აცილება;

3. აშშ-ის ადმინისტრაციას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საბჭოთა ხელმძღვანელებისა და პოლიტბიუროს წევრების შესაძლებლობებისა და სისუსტეების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, პოლიტბიუროს შიგნით ძალთა გადანაწილების, ახალი კადრების დაწინაურებისა და ა.შ. შესახებ;

4. ამასთან ერთად სისტემატურად აწვდიდა კრემლს დეზინფორმაციას აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

მხოლოდ 1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გახდა შესაძლებელი ამ ისტორიის დღის სინათლეზე გამოტანა, თუმცა საბჭოთა კა-გე-ბეს სამართალმემკვიდრე – რუსეთის ფე-ეს-ბე ოპერაცია „სოლოს“ შესახებ დღესაც დუმილს ამჯობინებს.

ბესიკ ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სარგებლობა მოაქვს "ჩინუკს"



მისი სტილია — მუხლჩაუხრელი შრომა



ამით ველარავის გააკვირვებ...

CH-47 Chinook-ი რომ 1961 წლიდან აშშ-ის არმიის ერთ-ერთი მთავარი გამწევი ძალაა, ამ გვერდზე მოთავსებული ფოტოებიდან კარგად ჩანს. გთავაზობთ ამ მართლაც საოცარი შვეულმფრენის გამოყენების სხვადასხვა ხერხების ამსახველ ფოტოებს.



არ გეგონოთ, რომ შვეულმფრენი კატასტროფის პირასაა, ის უბრალოდ ბუქსირის მაგივრობას წევს და მრავალტონიან პლატფორმას ყინულზე დანიშნულების ადგილისაკენ მიასრიალებს



მისაბმელი აღარაფერი იყო, თორემ იმასაც წაიღებდა...



მთავარია, ფეხი მოიკიდოს...



ზედმეტმა შრომამ ასე იცის, როგორც ამხანაგი საახოვი იტყოდა: საქმე გვაქვს „ს ნესჩასტნიმ სლუჩაემ ნა პრაიზვოდსტვე"



კიდევ კარგი არ ყვინთავს, თორემ რუსები მთლად გადაირეოდნენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

# ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ...

**— რა სახის სამოქალაქო, სამსახურებრივ-საშტატო და ცივი იარაღის ბრუნვა იზღუდება?**

1. აკრძალულია სამოქალაქო და სამსახურებრივ საშტატო იარაღად გამოყენებულ იქნეს:

ა) ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის კონსტრუქცია იძლევა დაკეცვის, დაშლის ან აწყობის საშუალებას ისე, რომ იარაღი არ კარგავს სროლის შესაძლებლობას;

ბ) ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც აქვს სხვა საგნის იმიტირებული ფორმა;

გ) კასტეტი და სხვა მსგავსი დასარტყამდამაქუცმაცებელი (დამამსხვრეველი) საგნები;

დ) საბრძოლო მასალა, რომელსაც აქვს ჯავშანგამტანი, ცეცხლგამჩენი, აფეთქებითი ან ტრასირებული მოქმედების ძალა;

ე) იარაღი და სხვა მოწყობილობანი, რომელთა მოქმედების ძალა ემყარება ელექტროენერგიას, რადიოაქტიურ გამოსხივებას ან ბიოლოგიურ ფაქტორებს;

ვ) გაზის იარაღი, რომელიც აღჭურვილია ნერვულ-პარალიტიკური (დამბლადამცემი), მომწამვლელი ან სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებებით;

ზ) პნევმატური იარაღი, რომლის კალიბრი 4,5 მილიმეტრზე მეტია;

თ) მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება სროლის დასახშობად ან სიბნელეში დამიზნებისათვის;

ი) გრძელლულიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

2. აკრძალულია ფიზიკურ პირთა მიერ ცივი და ცივი სასროლი იარაღის დამზადება და ტარება. ასეთი სახის იარაღის შეძენა, შენახვა, გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნა დაიშვება საქართველოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სათანადო ნებართვის საფუძველზე.

**— ვის გააჩნია სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება?**

I. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ:

1) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს;

2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს;

3) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს;

4) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს;

5) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს;

6) საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამოსილ მოხელეებს;

7) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის უფლებამოსილ მოხელეებს;

8) საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილ მოხელეებს;

9) საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილ მოხელეებს;

10) მოსამართლეებს;

11) სასამართლოს მანდატურებს;

12) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ მოხელეებს – სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას;

13) საქართველოს ეროვნული ბანკისა და საბანკო დაწესებულებების ინკასატორებსა და მოლარეებს – სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას;

14) სამოქალაქო ავიაციის საავიაციო უშიშროების სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებს – სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას;

15) საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრებს;

16) შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკურ პირებს:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელი;

17) საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსა და წევრებს;

18) მთავარი საჯარო თანამდებობის პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები ან უფროსი და უმაღლესი ოფიცრის სამხედრო წოდებები.

II. სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება უნარჩუნდებათ:

სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებები და ჰქონდათ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გადიან საქართველოს მოქალაქეობიდან, მიდიან უცხო სახელმწიფოს სამსახურში ან/და დათხოვნილი იქნენ სამსახურიდან დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამო.

III. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება არა აქვთ დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეებს.

IV. იმ თანამდებობის პირთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა) ნუსხას, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი წარდგინებით.

# ავტომატური ჯერით და ფუჭი ვაზნებით



## რეჟისორების მორიგი ტრიუკი „კალაშნიკოვების" ტექნიკური პრობლემის დასაფარავად



მარცხნიდან მარჯვნივ — ფუჭი ვაზნების ავტომატური ჯერით სასროლი მოწყობილობა, იგივე მოწყობილობა, ოღონდ სპეციალურად შავად შეღებილი (ვიზუალური ეფექტისთვის) და ლულის კომპენსატორი-ალჩამქრობი

მძაფრსიუჟეტიან მხატვრულ ფილმებში ხშირია ეპიზოდები, როდესაც კინოგმირი „კალაშნიკოვის" ჯერს მიუშვერს რამდენიმე მეტრში მდგომ მოწინააღმდეგეს და ეს უკანასკნელი უსულოდ ეცემა.

„კალაშნიკოვის" ლულიდან მართლაც „იფრქვევა ცეცხლი", ისე როგორც სინამდვილეში სროლისას, მაგრამ ბავშვიც მიხვდება, რომ რეჟისორები მსახიობებს სიკვდილისთვის არ გაიმეტებდნენ. ამიტომ მაყურებელი იმწამსვე გაიფიქრებს, რომ კინოგმირი ფუჭი ვაზნებით ისვრის, მაგრამ „კალაშნიკოვის" მეტ-ნაკლებად მცოდნეც მაშინვე მიხვდება, რომ ამ ტიპის ავტომატიდან ფუჭი ვაზნებით ჯერის გაშვება შეუძლებელია, თუკი მის ერთ დეტალს არ შეცვლი.

5,45მმ კალიბრის AK-74,AKC-74 და AKC-74У ტიპის ავტომატით ერთი ფუჭი ტყვიის გასროლის შემდეგ საჭიროა ხელახლა გადატენვა, რადგან ფუჭტყვიიანი ვაზნის მასრაში მოთავსებული დენთი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ზამბარა შეკუმშოს. გასროლისას თეთრ ფერად შეღებილი პლასტმასის ფუჭი ტყვია ლულაში იშლება ფრაგმენტებად, თუმცა არავის ვურჩევთ ასეთი ტყვია ვინმეს მიბრჯენით ესროლოს...

მაშინ რა ხერხს მიმართავენ რეჟისორები მძაფრსიუჟეტიანი ფილმების გადაღებისას ან სპეცრაზმელები საჩვენებელი სწავლებების დროს?

ასეთ შემთხვევაში სამხედროები „კალაშნიკოვის" ლულის ბოლოში ჩახრახნილ კომპენსატორს ხსნიან და მას სპეციალური მოწყობილობით ცვლიან. ამ უკანასკნელში ნახვრეტის დიამეტრი ლულის დიამეტრზე ნაკლებია და გასროლისას წარმოქმნილი აირების დიდი ნაწილი უკვე ლულიდან კი არ გამოდის, არამედ აირგამყვანიდან აწვება დგუშს ზამბარის შესაკუმშავად და ახალი გასროლისთვის მოსამზადებლად.

მაგრამ, რაც ხელს აძლევს სპეცრაზმელებს, ის არ პასუხობს რეჟისორების ინტერესებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლულის კომპენსატორის ნაცვლად დაყენებული მოწყობილობა ვერცხლისფერია. ამიტომ ავტომატის შავი ფერის ლულის ფონზე იგი ადვილად გამოირჩევა და ყველა მიხვდება, რომ ფუჭი ვაზნებით ისვრიან.

რეჟისორებმა ძალიან უბრალო ტრიუკი გამოიყენეს მაყურებლისთვის ნამდვილი ბრძოლის ილუზიის შესაქმნელად — მათ ეს მოწყობილობა შავად შეაღებინეს. ერთიორი წამით ეკრანზე გაელვებული „კალაშნიკოვზე" კი ძალიან ძნელი შესამჩნევია, მას შავი ფერის ლულის კომპენსატორი აქვს თუ საგანგებოდ შავად გადაღებილი ფუჭი ვაზნების სასროლი მოწყობილობა.

7,62 მმ კალიბრიანი AK და AKM-ის გამოყენებისას კი ეს პრობლემა უფრო ადვილად იჭრება, რადგან ამ კალიბრის ფუჭი ვაზნების ავტომატურ რეჟიმში სროლის მოწყობილობა ფორმითაც და ფერითაც ძალიან წააგავს საშტატო ლულის კომპენსატორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კანე-კორსო

## ძველი რომის კიდევ ერთი დანატოვარი





გავრცელებული შეხედულების მიუხედავად, კანე-კორსო სულაც არ არის კორსიკული ძაღლი და ნაკლებად აქვს საერთო უძველეს სიცილიურ და კორსიკულ დოგებთან, რომელთაც წარსულში „დოგო დე სიცილიუს“ უწოდებდნენ. სიტყვა „corso“ ჯიშის ერთ-ერთი მახასიათებელია (ძლიერი, ენერგიული) და არა მისი გეოგრაფიული გავრცელების მაჩვენებელი. თანამედროვე კანე-კორსოები ჩრდილოეთ იტალიიდან არიან და ნეაპოლურ მასტინოს ენათესავებიან.

ძველად ეს ძაღლები რომაული მოლოსების ერთ-ერთი ლოკალური ტიპი იყო და ცალკე განსაკუთრებულ ჯიშად არ გამოიყოფოდა. მათ იყენებდნენ მწყემსებად, დარაჯებად და სანადიროდ, კარგად ემსახურებოდნენ მეჯოგეებს. ჯიში არცთუ დიდი ხნის წინ, 1983 წელს პროფესორ ანტონიო მორციანის ძალისხმევით აღიარეს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კანე-კორსოს სახით მორიგი ახალი ჯიში შეიქმნა. მასტინო ნაპოლიტანოსა და კანე-კორსოს მეისტორიებმა ძალზე აურიეს სიტუაცია, როცა ამ ჯიშის წარმოშობის გამოკვლევას ცდილობდნენ, მაგრამ ცნობილი ფაქტების განზოგადების შედეგად გაირკვა, რომ თანამედროვე მასტინო სხვა არაფერია,







თუ არა კანე-კორსოს სამხრეთული ტიპის დეკორატიული ვარიანტი. უდავოდ, დღეს ეს ორი ჯიში ბევრი რამით განსხვავდება ერთმანეთისგან, უპირატესად მასტინოს სწრაფი ევოლუციის ხარჯზე. ორივე ჯიში ბრიტანული ბულდოგის მსგავსად განვითარდა: მუშა ტიპი, რომელიც აშშ-ის სამხრეთშია შემორჩენილი (ამჟამად ამერიკული ბულდოგი), და ინგლისური ბულდოგი, რომლის დეკორატიული მიმართულება იდეის განვითარების კლასიკური ნიმუშია, ბრწყინვალედ არის დაყვანილი აბსურდამდე (თავად განსაჯეთ — გარეგნულად, რომ იტყვიან, ,,ბულდოგია ბულდოგთა შორის", მაგრამ ამის წყალობით სავსებით უვარგისი სამსახურისათვის, მეტიც, არ შეუძლია თავისნაირის შობა სხვათა დაუხმარებლად).



საბედნიეროდ, კანე-კორსომ გვერდი აუარა მოდის ახირებებს და გარეგნული ფორმებით გატაცებას, რის წყალობითაც დღემდე აქვს შენარჩუნებული მაღალი სამუშაო თვისებები და ჰარმონიული აგებულება. კანე-კორსო ლამაზი და მიზანდასახული ცხოველია, თავისუფალი დეკორატიული ზედმეტობებისგან, რომელთა წყალობით ბევრი მასთან მონათესავე ჯიში ბიოლოგიური სტრუქტურიდან ერთგვარ არქიტექტურულ ნაგებობად აქციეს. მისთვის არ არის დამახასიათებელი აგებულების მემკვიდრეობითი ნაკლი, მისი სარგებლიანობის ღირებულებას რომ ამცრობს. პიტბულების მსგავსად ჩრდილოეთ იტალიის გლადიატორებმა შეინარჩუნეს ექსტერიერული ტიპების ვარირების უნარი. თუმცა ძაღლსაშენების კანე-კორსო უფრო ერთი ტიპისაა, ვიდრე ფერმერული ძაღლები. თანამედროვე კანე-კორსო ისევ საოცრად ჰგავს უძველეს ალანოს, რომელთაგან მემკვიდრეობით მიიღო არა მარტო გარეგნობა, არამედ ლეგენდარული გამძლეობა და სიმამაცე.

ტემპერამენტის მიხედვით ის მუშა ბულდოგს ჰგავს. ერთგულია, უშიშარი და აბსოლუტურად საიმედო. პატრონთან თავდაჭერილი, დამჯერი და ალერსიანია, თუმცა ნორჩობაში ოდნავ ჯიუტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ ძალზე დამოუკიდებელი. კორსო პატრონთან და ოჯახის წევრებთან არ „უფროსობს“, უცნობებს უნდობლად ეკიდება, ძლიერი სადარაჯო ინსტინქტი აქვს, სიტუაციას საუცხოოდ უღებს ალღოს და თითქმის ვერასოდეს ნახავთ ზედმეტად გაანჩხლებულს. კანე-კორსო გაწონასწორებული ფსიქიკის მქონე ძაღლია და ვარგისია მრავალმხრივ გამოსაყენებლად.

კანე-კორსო ბინაში ცხოვრებას კარგად ეგუება, მაგრამ რეგულარული და ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა ესაჭიროება. ამტანია, სიცოცხლისუნარიანი, იოლად იტანს კლიმატის ცვალებადობას, შესანიშნავი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა აქვს. ზორბა ძაღლია, ნიდაოს სიმაღლე 58-68სმ-ია, წონა 35-50 კგ.

# ჯიშის სტანდარტი

სინონიმი — ფერმერული სადარაჯო ძაღლი.

ქვეყანა — იტალია

გარეგნობა — ჯიშის სახელწოდება, რომლის წინაპარი რომაული მოლოსური ძაღლია, ლათინური სიტყვიდან „cohors“ წარმოდგება, რაც ნიშნავს „ფერმერის კარმიდამოს დაცვას“, და „cane“ — ძაღლი, მაგრამ არა კორსიკული, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ძლიერი, ამტანი, საშუალო ზომის იმპოზანტური ძაღლია გრძელი მასიური მუსკულატურით, გამოყვანილია მოლოსური ძაღლებისგან, რომლებიც რომაელებმა შეიყვანეს სამხრეთ იტალიის პროვინციებში ფაჯასა და ბარიში.

სქესობრივი ტიპი — აშკარად გამოხატული, ხვადები ზორბა და უფრო დაკუნთულნი არიან ძუებზე.

ნაკლი — ძუ ხვადს ჰგავს.

ქცევის თავისებურებები და ხასიათი — გაწონასწორებული, მოძრავი ძაღლია, ძლიერი აქტიურ-დაცვითი რეაქცია აქვს, შესანიშნავი დარაჯი და მცველია. ხასიათით ენერგიულია, ფხიზელი, უცხოებს არ ენდობა, მაგრამ თავდავიწყებით უყვარს პატრონი და მისი ოჯახის წევრები, კარგად ართმევს თავს სამწყემსო სამუშაოს.

კონსტიტუციის ტიპი — ძლიერი, ათლეტური მუსკულატურით და თხელი, ტანზე მკვრივად მიკრული პიგმენტირებული კანით, რომელიც რამდენადმე მოდუნებული აქვს თავზე.

ნაკლი — კონსტიტუციის ტიპიდან უმნიშვნელო გადახრა. სიმსუბუქე, სიხმელე, დონდლო აგებულება, სიმსუქნისკენ მიდრეკილება.

სიმაღლე — ნიდაოს სიმაღლე ხვადებში — 62-68 სმ, ძუებში — 58-64 სმ. დაშვებულია წონის მინიმალური და მაქსიმალური ზღვრიდან გადახვევა 2 სმ-ის ფარგლებში.

ნაკლი — მითითებულზე მეტი ან ნაკლები სიმაღლე.

ფორმატი — ოდნავ გაწელილი. ინდექსი 110.

ნაკლი — კვადრატული ან გაწელილი ფორმატი.

ბალანი — მოკლე, ხშირი, კარგად მიკრული სხეულს, მბრწყინავი, სწორი, სუსტად გამოხატული გინგლით.

ნაკლი — გრძელი, დატალღული ბალანი.

შეფერილობა — შავი, რუხი, მოცისფრომორუხო, ღია რუხი, ღია წითური და მუქი წითური შავი ნილბით, ჩალისფერი რუხი ნილბით, ვეფხვისებური, შავ-ვეფხვისებური, რუხი ვეფხვისებური. დაშვებულია მომცრო თეთრი ლაქა მკერდსა და თათების წვერებზე.

ნაკლი — ნებისმიერი სხვა შეფერილობა.

თავი — დიდი, მასტიფისებური; ყურებშუა თავის ქალა ფართო, თავიდან სიგრძით 64-66%-ს შეესაბამება. ყბის ძვლები უფრო ფართოა, ვიდრე გრძელი. შუბლი ოდნავ ამობურცული, კეფის ბორცვი გამყარებული. თავიდან დრუნჩზე გადასასვლელი მკვეთრი, კუთხოვანი, ზემოთ გაშლილი (თავის ქალის ზემო ხაზისა და ცხვირის ზურგის კონვერგენციის გამო). თვალებსქვემოთ დრუნჩი კარგად შევსებული, თავის ქალაზე მოკლე (34-36% თავის სიგრძიდან), ძლიერი, კვადრატული, სწორი ცხვირის ზურგით.

ცხვირის წვერი მსხვილი, შავი (რუხი შეფერილობისას შეიძლება მუქი რუხი ჰქონდეს), კარგად გაღებული ნესტოებით. ზედა ტუჩი ქვედა ყბის კიდეს ფარავს; ყბები მსხვილი, მასიური, ქვედა ოდნავ გრძელია ზედაზე.

ნაკლი — სოლისებრი თავი, თავის ქალისა და დრუნჩის პარალელური ხაზები, აპრეხილი დრუნჩი, ცხვირის წვერის არასრული პიგმენტაცია, გრძელი ზედა ან განუვითარებელი ქვედა ყბა.

ყურები — ყვრიმალის თავზე მაღლა დადგმული, ტოლგვერდა სამკუთხედისებურად მკვეთრად კუპირებული.

კბილები — ვიწრო თანკბილვა. სწორი და მაკრატელისებური თანკბილვა დაშვებულია.

ნაკლი — დაშვებულ ნორმაზე 0,5სმ-ზე მეტი გადახრა.

კისერი — ძლიერი, ხმელი, კუნთოვანი, თავის სიგრძის ტოლი.

ნიდაო — გამოკვეთილი, კუნთოვანი, ფართო, აწეული სწორ ხაზზე. ბეჭები გრძელი, ირიბად ჩადგმული, ზურგზე მჭიდროდ მიკრული.

ნაკლი — სუსტი ნიდაო, ოდნავ მოშვებული ბეჭები. მსუბუქი, ვიწრო ან მძიმე ნიდაო, მოშვებული, ჩამოკიდებული ან დაღრეცილი ბეჭები.

ზურგი — სწორი, ძალზე დაკუნთული და ძლიერი.

ნაკლი — ძალზე გრძელი ან ვიწრო, სუსტი, ჩამოშვებული ან კუზიანი ზურგი.

წელი — მოკლე და ძლიერი.

ნაკლი — ვიწრო, გრძელი, სუსტი წელი.

გავა — გრძელი, ფართო, ზომიერად დაქანებული.

ნაკლი — ვიწრო, ზედმეტად გრძელი ან მოკლე, ვიწრო, მკვეთრად დაქანებული ან ჰორიზონტალური გავა.

კუდი — მაღლა ჩადგმული, ძირში სქელი, კუპირებული (4 მალა), სწორი აგზნებისას და ზურგის მოძრაობისას.

ნაკლი — კუდი ზედმეტად აპრეხილი და ზურგზემოთ მოქცეული ან ჩაიდნის სახელურის მსგავსი.

მკერდი — ღრმა, ზომიერად ფართო, განიერი, გრძელი.

ნაკლი — ვიწრო, ძალზე გრძელი, პატარა ან კასრისებური მკერდი.

მუცელი — ზომიერად მკვრივი.

ნაკლი — მოდუნებული ან ზედმეტად მოჭიმული.

წინა კიდურები — ბეჭები ძლიერი. იდაყვები მიმართულია უკან და მიკრულია კორპუსზე. წინამხრები სწორი და ძალიან მაგარი. მტევნები მკვრივი, შვეული.

უკანა კიდურები — თეძოები გრძელი, ფართო, ძლიერი, კუნთოვანი. წვივები მკვრივი, ძლიერი. სარბენი სახსრების კუთხეები ზომიერი. წინატერფები მკვრივი, შვეული.

თათები — კატისებური, უკანა ნაკლებად კომპაქტურია, ვიდრე წინა.

ნაკლი — კურდღელისებური, ბრტყელი, გაშლილი, ბრტყელტერფიანობა.

მოძრაობა — თავისუფალი.

ნაკლი — თოხარიკით სვლა.

მადისკვალიფიცირებელი ნაკლი — ერთან ორმხრივი კრიპტორქიზმი; ნახევრად გრძელი, დატალღული ბალანი; აჩეჩილი; ნებისმიერი შეფერილობა, რომლებსაც არ ითვალისწინებს სტანდარტი; შეფერილობაში დიდი თეთრი ლაქები; თავის ქალისა და ცხვირის ზურგის დივერგენცია („დაუნფეისი“, არწივისებური პროფილი ან ფართო ცხვირი), რომაული ცხვირი დაწეული წვერით, ცხვირის წვერის დეპიგმენტაცია; განივი სიელმე; ნაწილობრივი, ერთ ან ორმხრივი ქუთუთოების დეპიგმენტაცია; დარღვეული თანკბილვა; მოკლეკუდიანობა (თანდაყოლილი ან ხელოვნური).

# ვინ გვემუქრება C-300-ებით?!

C-300 – ეს სახელწოდება ბოლო 15 წელია საქართველოში ერთგვარი შიშით წარმოითქმება, რისი დასტურიც არის ზოგიერთი ქართველი პარლამენტარის მტკიცება, თითქოს ეს ტექნიკა აფხაზეთში მოსკოვმა შემოიტანა.

არ მოვყვებით იმის უარყოფას ან დამტკიცებას, მართლაც განათავსეს თუ არა რუსებმა აფხაზეთში C-300-ები. „არსენალის" მიზანია მკითხველს გააცნოს, რას წარმოადგენს ყბადაღებული რუსული C-300 და რით შეიძლება ავნოს მან საქართველოს.

დღეისათვის C-300 ტიპისა და სხვადასხვა მოდიფიკაციის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების საზენიტო-სარაკეტო ჯარების ძირითად შეიარაღებას წარმოადგენს.

ამ სისტემის შექმნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. დაახლოებით იმავე დროს, როდესაც ამერიკელებმა „პეტრიოტის" შექმნა ჩაიფიქრეს. თავდაპირველად ახალი საშუალო მანძილის მოქმედების საზენიტო კომპლექსი უნიფიცირებული უნდა ყოფილიყო როგორც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის, ისე სახმელეთო ჯარების საჯარისო-საჰაერო თავდაცვისა და საზღვაო ხომალდების ჰაერიდან დაცვისათვის.

სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობამ საბოლოოდ თავ-თავიანთი ვარიანტი მიიღო შეიარაღებაში – ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებმა C-300□, სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვამ C-300B, ხოლო ფლოტმა კი C-300□.

ერთი შეხედვით მათი განსხვავება იმით შეიძლება, რომ სტაციონარული ობიექტების დასაცავად გამოყენებული C-300□-ები ბორბლებიან მისაბმელებსა ან თვითმავალ გამწევებზეა დამონტაჟებული; არმიის C-300B-ებს მუხლუხებიანი შასები აქვთ, ფლოტის C-300□-ები კი კრეისერების გემბანშია ჩამალული შვეულ მდგომარეობაში.



**საზოგადოების დიდი ნაწილი ხშირად ცუდად ერკვევა სამხედრო ტექნიკის ამა თუ იმ ნიუანსებში და ხშირად მათ შესაძლებლობებზე ერთგვარი შიშითა თუ პირიქით, დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს. ამიტომ აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რით შეიძლება დაემუქროს საქართველოს ესა თუ ის რუსული საბრძოლო ტექნიკა.**

**საზენიტო რაკეტის გაშვება C-300ПТ-დან**



**C-300ПМУ-2 Фаворит**

ეროვნული ბიბლიოთეკა


საჯარისო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის C-300B ორი დიდი (ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო) რაკეტის კონტეინერით


C-300ПСТ

ამ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ყველა მოდიფიკაციისთვის დამახასიათებელია საზენიტო რაკეტის შვეულად გაშვება. კონტეინერიდან რაკეტას დენთის აკუმულატორი 25-30 მ-ის სიმაღლეზე ამოისვრის, რის შემდეგ ირთვება თავად რაკეტის ძრავი, ხოლო აირდინამიკური საჭეები რაკეტას სასურველ მიმართულებას აძლევენ. ეს C-300-ის დიდი უპირატესობაა ამერიკულ „პეტრიოტთან“, რომლისგანაც რაკეტის გაშვება დახრილი კუთხით ხდება. ამიტომაც „პეტრიოტის“ გასაშვები დანადგარი ჯერ იქით უნდა მიტრიალდეს, საიდანაც საფრთხეა მოსალოდნელი. ეს კი დაკარგული რამდენიმე წამია, წამებს კი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ყველა მოდიფიკაციის C-300-ების განმასხვავებელი ნიშანი ისიც არის, რომ მათ შეუძლიათ ერთდროულად რამდენიმე საჰაერო სამიზნისკენ გაუშვან საზენიტო რაკეტა, ანუ მრავალარხიანი პრინციპით მუშაობენ. მანამდე არც ერთ საბჭოთა საზენიტო-სარაკეტო სისტემას, არც C-75-ს, არც C-125-ს და არც C-200-ს ეს არ შეეძლო.

პირველი საბჭოთა სერიული მრავალარხიანი საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-25 იყო, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ლავრენტი ბერიას შვილის თაოსნობით შეიქმნა და რომელიც მოსკოვს რამდენიმე ათეული წელი იცავდა. C-25-ის სისტემა სტაციონარულად, ერთ ადგილას მონტაჟდებოდა და მისი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად მოსკოვის გარშემო ტყეებიც კი გაჩეხეს.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემისთვის განკუთვნილი C-300□-ის ბაზაზე შემდგომში (1978 წლის შემდეგ) ტრანსპორტირებადი C-300□T, თვითმავალი C-300□C (1982 წ.), საექსპორტო C-300ПМУ (1993 წ.) და ბოლო მოდიფიკაციის C-300ПМУ-2 Фаворит (1997 წ.) შეიქმნა.

სხვათა შორის, სტატიის ავტორი Фаворит-ს რუსეთში ჯერ კიდევ 1997 წელს გაეცნო და ვიდეოფირზეც აღბეჭდა (გარდა საზენიტო კომპლექსის მართვის ცენტრის პულტისა, რომლის გადაღების უფლებას არავის აძლევდნენ).

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის განკუთვნილი C-300□ და მისი მოდიფიკაციები ძირითადად თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გასანადგურებლად იყო გათვალისწინებული. ამ კომპლექსის ფაზირებულანტენიანი რადიოლოკატორები 200-300 კმ-ის სიშორეზე აღმოაჩენდნენ მფრინავ ობიექტს და მისკენ საზენიტო რაკეტას უშვებდნენ.

C-300□T-დან გაშვებული საზენიტო რაკეტა 25 მ-დან 25 კმ-ის სიმაღლეების დიაპაზონსა და 47 კმ-ზე დაშორებით მფრენ თვითმფრინავს აზიანებდა. უფრო თანამედროვე მოდიფიკაციის C-300ПМУ-2 Фаворит-ის შესაძლებლობები ბევრად უფრო შთამბეჭდავია – 10 მ-იდან 27 კმ-ის სიმაღლემდე და 150-200 კმ-ის რადიუსში!

სახმელეთო ჯარების ჰაერიდან თავდასხმის მოსაგერიებლად შექმნილ C-300B-ს თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გარდა ბალისტიკური რაკეტების ჩამოგდებაც ევალებოდა. ეს სისტემა 1983 წელს მიიღეს შეიარაღებაში. იგი ორი ტიპის — მსუბუქი და მძიმე საზენიტო რაკეტითაა აღჭურვილი. მსუბუქ რაკეტას შეუძლია თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და ახლო მანძილზე მოქმედი ბალისტიკური რაკეტების („სკადისა“ და „ლანსის“ ტიპის) ჩამოგდება 100 კმ-ის რადიუსში 25 მ-დან 30 კმ სიმაღლეების დიაპაზონში (თუმცა ბალისტიკური რა-


C-300ПС



რუსულ კრეისერზე C-300Ф-ის 64 საზენიტო რაკეტა 8 შვეულ დოლურაშია განთავსებული

კეტის დაზიანების მინიმალური სიმაღლე თვითმფრინავებისგან განსხვავებით 25 მ კი არა, ერთი კმ-ია).

მძიმე საზენიტო რაკეტა კი სპეციალურად იმ ამერიკული „პერშინგებისგან" თავდასაცავად შეიქმნა, რომლებიც პენტაგონმა 80-იან წლებში დასავლეთ ევროპაში განათავსა და რომლებსაც მოსკოვამდე მისაფრენად 12 წუთიც ყოფნიდათ.

სხვათა შორის, სომხეთის ტერიტორიაზე გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზაში სწორედ C-300B საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების დივიზიონია განთავსებული (წესით, მათ მძიმე საზენიტო რაკეტები არ უნდა ჰქონდეთ შეიარაღებაში).

მოგვიანებით შეიქმნა C-300B-ის თანამედროვე მოდიფიკაცია C-300BM Антей-2500. მას გაუმჯობესებული საზენიტო რაკეტით თვითმფრინავის ჩამოგდება უკვე ორჯერ მეტ სიშორეზე – 200 კმ-ზე შეუძლია, ხოლო ბალისტიკური რაკეტებისა კი 40 კმ-მდე მანძილზე. ეს სისტემა ძალიან მაღალი მობილურობით გამოირჩევა, მარშიდან 5 წუთში საზენიტო კომპლექსი მზად არის საბრძოლველად, რაკეტის სტარტისთვის გამზადებას კი სულ რაღაც 7 წმ(!) სჭირდება.

C-300-ების სხვადასხვა მოდიფიკაციას რუსეთი ინტენსიურად ყიდის საზღვარგარეთ. მოსკოვმა ისინი უკვე მიჰყიდა ჩინეთსა და საბერძნეთს (ოღონდ თურქეთის პროტესტის გამო კომპლექსები კვიპროსის ნაცვლად კუნძულ კრეტაზე ინახება). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ C-300-ების ადრეული მოდიფიკაციები დარჩათ უკრაინას, ბელორუსიას, ყაზახეთს; ვარშავის პაქტის გაუქმების შემდეგ ბულგარეთს; ჩეხოსლოვაკიის ორ დამოუკიდებელ ქვეყნად გაყოფის შემდეგ სლოვაკეთს.





საზენიტო სარაკეტო კომპლექსები სასტარტო პოზიციას იცვლიან



C-300ПТ სასტარტო პოზიციაზე

სხვათა შორის, ადრეული C-300-ის ზოგიერთი კომპონენტი აშშ-ის ტერიტორიაზეც აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც ბელორუსმა „ბიზნესმენებმა" სამხედრო სასწავლებლიდან მისი ნაწილები რომელიღაც უცხოურ ფირმას მიჰყიდეს.

თუკი მართალია ოფიციალური თბილისის მტკიცება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში რუსეთმა მართლაც გადაისროლა C-300-ის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, მაშინ იგი დასავლეთ საქართველოს საჰაერო სივრცეს თითქმის მთლიანად გააკონტროლებს, ისევე როგორც სომხეთის გიუმრიდან ხედავენ, რა ხდება აღმოსავლეთ საქართველოს თავზე.

ირაკლი ალადაშვილი

# С-300 В



არსენალი

# კაცი - ლეგენდა

## John Moses Browning

**კაცობრიობის ისტორია ასეული მილიონობით ადამიანთა ცხოვრებისაგან შედგება, მათი უმრავლესობის სახელი და გვარი სამუდამოდ იკარგება საუკუნეთა ლაბირინთებში, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ისე გამოირჩევიან ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის, რომ დროთა განმავლობაში მათი საკუთარი სახელები საზოგადო სახელებად იქცევა ხოლმე. ასეთ გამოჩენილ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება დიდი ამერიკელი მეიარაღე, კონსტრუქტორი და გამომგონებელი ჯონ ბრაუნინგი. შარშან, მისი დაბადებიდან 150 წელი შესრულდა.**




ჯონ მოზეს ბრაუნინგი 1855 წლის 21 იანვარს დაიბადა, სოლტ-ლეიკ სიტისთან მდებარე პატარა ამერიკულ ქალაქ ოგდენში (იუტას შტატი). მამამისი ჯონათან ბრაუნინგი ლულიდან დასატენი თოფების ცნობილი ოსტატი იყო. ჯონი ბავშვობიდანვე გაჰყვა მამამისის კვალს და 13 წლისამ უკვე თავისი პირველი თოფის აწყობა მოახერხა. შემდეგ კი, როცა დარწმუნდა, რომ ხელობას კარგად დაეუფლა, სწავლას თავი გაანება და 1879 წელს თავის ძმასთან, მეთიუსთან ერთად საიარაღო სახელოსნო გახსნა. იმავე წლის ოქტომბერში მიიღო პირველი პატენტი შაშხანაზე, რომელსაც ლულისქვემოთა სახელურ-ბერკეტი და ბარბაცა საკიდი ჰქონდა საკეტის ჭრილში. ეს პატენტი მან „ვინჩესტერის“ ფირმას მიჰყიდა, შემდეგ ახალგაზრდა კონსტრუქტორმა „რემინგტონის“ ფირმისთვის სანადირო თოფის მოდელი შექმნა და მონაწილეობა მიიღო სტეფენსონის ფირმისათვის შეკვეთილი მჭიდიანი შაშხანების კვანძებისა და დეტალების დამუშავებაში. ასე დაიწყო გამოჩენილი მეიარაღის შემოქმედებითი ცხოვრება. მცირე დროის ინტერვალებით მან შექმნა სხვადასხვა სახისა და სხვადასხვა კონსტრუქციის გლუვლულიანი და ხრახნილლულიანი სანადირო თოფები, მჭიდიანი შაშხანები (ვინჩესტერ 1886, 1892, 1894, 1895), ერთტყვიიანი შაშხანები და მჭიდიანი პისტოლეტები (კოლტ-ბრაუნინგი M-1900, M-1911, FH-ბრაუნინგ M-1900, M-1903, M-1906, M-1910, კოლტ-ბრაუნინგი M-1915, FN-ბრაუნინგ M-1935), ხელის და დაზგური ტყვიამფრქვევები (კოლტ M-1895).

71 წლის განმავლობაში ჯონ მოზეს ბრაუნინგმა 37 ხრახნილლულიანი და 18



**71 წლის განმავლობაში ჯონ მოზეს ბრაუნინგმა 37 ხრახნილლულიანი და 18 გლუვლულიანი საბაზო მოდელი შექმნა.**






Colt M1911 ისეთი საიმედო და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა, რომ ამერიკის არმიაში სამსახურის 75 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არც ერთი სერიოზული ცვლილება არ განუცდია.

გლუვლულიანი საბაზო მოდელი შექმნა. ნიჭიერმა კონსტრუქტორ-გამომგონებელმა სიცოცხლეში გამოგონებების 128 პატენტი მიიღო. სამწუხაროდ, მისი გამოგონებები ხშირად სხვისი სახელით გამოიყენებოდა. მაგალითად: შაშხანები, ვინჩესტერ M-1886 და M-1895. პისტოლეტი კოლტ M-1911, ტყვიამფრქვევები კოლტ M-1895, M-1895/1914 და სხვა მრავალი.

გარდა ამისა, ჯონ ბრაუნინგმა მრავალი საბრძოლო ვაზნა შექმნა და დაამუშავა. მათი უმრავლესობა პისტოლეტებისაა, სტანდარტიზებულია და დღესაც მასობრივად იწარმოება. მათ შორისაა 6,35მმ ბრაუნინგი; 7,65მმ ბრაუნინგი; 9მმ ბრაუნინგ-მოკლე; 9მმ ბრაუნინგ-გრძელი.

ბრაუნინგის შექმნილი იარაღის უმრავლესობა მოგვიანებით „ბრაუნინგის" ფირმის ნიშნით იქნა გამოშვებული, რომლითაც არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის არმიები, არამედ მთელი კონტინენტებიც იარაღდებოდნენ, მისმა სანადირო თოფებმა კი სამოქალაქო იარაღის ბაზარი ერთიანად გაავსო.

ნამდვილი წარმატება და საყოველთაო აღიარება ბრაუნინგს ავტომატური პისტოლეტების კონსტრუქციულმა სერიამ მოუტანა, რომელთაგან რამდენიმე დღესაც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და განიხილება როგორც სრულყოფილი იარაღი.

ამერიკელი ოსტატის კონსტრუირებული პისტოლეტები ისეთი წარმატებით სარგებლობდა, რომ დასახელება „ბრაუნინგი" ავტომატურმჭიდიანი პისტოლეტების საერთო სინონიმად იქცა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯონ მოზეს ბრაუნინგის იარაღს აწარმოებდა ამერიკული ფირმა „COLTS FIREARMS Co". და ბელგიის სახელმწიფო სამხედრო-საიარაღო ქარხანა FABRIQUE NATIONALE D' ARMS dE GUERRE. კოლტის ფირმის წარმოებული ყველა ცნობილი პისტოლეტი ბრაუნინგის კონსტრუქციის მიხედვით იყო შექმნილი.

სანამ პისტოლეტების კონსტრუქციებზე მუშაობას დაიწყებდა, ბრაუნინგი ავტომატური შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით იყო გატაცებული. მისი მიზანი იყო შეექმნა ისეთი იარაღი, რომელიც ორ ავტომატურ და თითო სროლის რეჟიმში იმუშავებდა. 1890 წელს მან შეიტანა განაცხადი ტყვიამფრქვევის პატენტზე, რომელიც 5,5 კილოგრამს იწონიდა, რის გამოც მისი სროლა ჩვეულებრივი შაშხანასავით მხარზე მიყრდნობით შეიძლებოდა. მისი მექანიზმი გადასახსნელი დგუშის მეშვეობით მოქმედებდა, რომელიც ლულის წინა ნაწილში იყო მოთავსებული და დენთის წვისას გამოყოფილი აირები ამოძრავებდა.

1892 წელს კონსტრუქცია კოლტის ფირმას გადაეცა და რამდენიმე ხანში მცირეოდენი სრულყოფის შემდეგ დაინერგა წარმოებაში „კოლტის ტყვიამფრქვევის M1895"-ის სახელით. 1893 წელს გერმანელმა მეიარაღე ჰუგო ბორჰარდტმა პირველი თვითდატენვადი პისტოლეტი შექმნა. ამ გამოგონებით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა დაინტერესდა და პრესაში ფართო დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, ღირდა თუ არა ამერიკული კოლტის თვითდატენვადი პისტოლეტით შეცვლა. ეტყობა, სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ბრაუნინგს ამ მიმართულებით წარემართა მუშაობა, მაგრამ პირველი ცდები ტყვიამფრქვევის კონსტრუქციის პისტოლეტში გადმოტანისა (მიუხედავად 1895 წლის გამოცდისა, რომლის დროსაც მექანიზმმა საიმედოდ იმუშავა) წარუმატებლად დამთავრდა.

ბრაუნინგმა შაშხანის კონსტრუქციის პისტოლეტში გადმოტანის იდეას თავი დაანება და შექმნა სავსებით ახალი სისტემით მომუშავე პისტოლეტების მთელი ოჯახი. მისი პისტოლეტები თავისუფალი საკეტის უკუდარტყმის, ნახევრად თავისუფალი, ლულას მოჭიდებული საკეტის უკუდარტყმების პრინციპით მუშაობდნენ.

ბრაუნინგის ყველა პისტოლეტის კონ-



ბრაუნინგი საკუთარი კონსტრუქციის ტყვიამფრქვევის გამოცდისას



ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრუქციის თავისებურება იყო ლულისა და სასხლეტ-საცემი მექანიზმის მოძრავ-გარსაცემ საკეტში მოთავსება. მარტივი, ბრტყელი ტექნოლოგიური ფორმა, სწრაფად შესაცვლელი მჭიდი, საკეტის განცალკევებული შეყოვნება, შემთხვევითი გასროლისაგან სამმაგი დაზღვევა, მოსახერხებელი გატენვა — ბრაუნინგის პისტოლეტის ძირითადი მახასიათებლებია, რომლებიც საფუძვლად დაედო თანამედროვე თავდაცვით იარაღს, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამერიკელებმა ღირსეულად ვერ დააფასეს თანამემამულის გამოგონება. ბრაუნინგის მარკის პისტოლეტი პირველად ევროპაში, ბელგიის ქალაქ ლიეჟის მახლობლად მდებარე ქარხანაში გამოუშვეს. 1896 წელს ბელგიის სახელმწიფო სამხედრო იარაღის ქარხნის დირექტორმა ბრაუნინგის არა მარტო ყველა პატენტი შეისყიდა, არამედ მეიარაღეს სთხოვა, თავის ძმასთან, მეთიუსთან ერთად საცხოვრებლად და სამუშაოდ ბელგიაში გადმოსახლებულიყო. ამ დროისათვის ჯონ ბრაუნინგი ისეთ პარტნიორს ეძებდა, რომელიც მის ახალკონსტრუირებული თვითდატენვადი თოფებისა და პისტოლეტების სერიულ წარმოებას შეძლებდა. ბელგიური ფირმა მის წინადადებას გამოეხმაურა და ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის ძალითაც ბელგიური იარაღის ქარხანა ბრაუნინგის სხვადასხვა პატენტს შეიძენდა.

ქარხანა ახალი აშენებული იყო და იმ დროისათვის მაღალორგანიზებული საიარაღო საწარმოს სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენდა. ბრაუნინგი არ შემცდარა და არც არასდროს გამოუთქვამს სინანული, რომ ამ ქარხანასთან თანამშრომლობდა.



უცნაურია, მაგრამ ფაქტი, რომ ამერიკიდან წამოსვლის შემდეგ „კოლტის“ ფირმასთან შემოქმედებითი კონტაქტები უფრო გამყარდა. ბრაუნინგმა ფირმა „კოლტთან“ გააფორმა სალიცენზიო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც წარმოებული და გაყიდული თითო ერთეული იარაღიდან საავტორო ჰონორარს მიიღებდა. სწორედ ამ ხელშეკრულების შემდეგ გაჩნდა „კოლტის“ წარმოებულ იარაღზე წარწერა „კოლტ-ბრაუნინგი“.

...1896 წელს ჯონ მოზეს ბრაუნინგმა დაამუშავა სავსებით ახალი, ორიგინალური, სამხედრო თვითდატენვადი პისტოლეტის მოდელი, რომლის წარმოების უფლებაც მან იმავე წელს მიჰყიდა ფირმა „კოლტს“. იმ დროისათვის გავრცელებული მოკლელულიანი იარაღისაგან განსხვავებით მის ახალ პისტოლეტს კოლოფისებრი შესაცვლელი მჭიდი ჰქონდა, რომელიც იარაღის ტარში თავსდებოდა. პისტოლეტის ავტომატიკა ლულის მოკლე უკუსვლის პრინციპით მუშაობდა, ამასთან, ჩაკეტვა ლულის დაბლა დაწევით ხდებოდა, რომელიც ორ საკიდარზე ქანაობდა, ვერტიკალურად მოთავსებულ სიბრტყეზე. ამგვარი კონსტრუქციული გადაწყვეტით, როცა ლულა, პისტოლეტის ჩარჩო და ორი საკიდარი პარალელოგრამას ქმნის, ბრაუნინგი ავტომატის მუშაობაში ლულის ინტენსიური მასის ჩართვას იმედოვნებდა. ამასთან, იმედი ჰქონდა საკეტის უკუცემის სიჩქარისა და ენერგიის შემცირებისას გასროლილი მასრის ამოგდების საიმედოობის გაზრდისა. ახალი უკვამლო დენთიანი მასრა 38 ASP., რომელსაც ლითონგადაკრული ტყვია ჰქონდა, ტყვიის უნივერსალურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა როგორც თვითდატენვად პისტოლეტებში, ასევე რევოლვერებში. 38 ASP კოლტ-ბრაუნინგმა M1900-მა საბრძოლო ნათლობა ამერიკის არმიის ფილიპინებზე წარმოებული სამხედრო მოქმედებების დროს მიიღო. ახალი იარაღი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით არცთუ ისე წარმატებული გამოდგა, თუმცა ზოგიერთი კონსტრუქტორული გადაწყვეტა, რომელთა რეალიზაციაც ამ იარაღში მოხდა, მომავალში კოლტის ყველა მოდელში უცვლელად გადავიდა.

1905-07 წლებში, მრავალრიცხოვანი სრულყოფის შემდეგ, რომლებიც კოლტის ფირმის მეიარაღეებს თანდათან შეჰქონდათ პისტოლეტ კოლტ-ბრაუნინგის M1900-ში, M1902, M1905 მოდიფიკაციებში, გამოჩნდა ახალი სამხედრო თვითდატენვადი კოლტის მოდერნიზებული ვარიანტი, რომელიც ორ ვარიანტად (ჩახმახიან და უჩახმახო) იყო დამუშავებული. ეს იარაღი გათვლილი იყო ახალი უძლავრესი პისტოლეტის ვაზნა 45ASP-ის სროლაზე.

ამერიკის უმაღლესმა მთავარსარდლობამ 1906 წელს კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო რევოლვერსა და ავტომატურ პისტოლეტზე. ახალი მოკლელულიანი იარაღის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები შემდეგნაირი იყო: კალიბრი არანაკლებ 11,43 მილიმეტრისა, ტყვიის მასა — 14,9 გრამიდან 15,2 გრამამდე, საწყისი სიჩქარე არანაკლებ 249 მეტრწამისა.

კონსტრუქციის საიმედოობის, სიმარტივისა და ტექნოლოგიურობისათვის კონკურსში გამარჯვება სავსებით დამსახურებულად ხვდა წილად ბრაუნინგს.

გამოცდების შემდეგ ამერიკული არმიის შესაიარაღებლად ბრაუნინგის ღიაჩახმახიანი მოდელი შეარჩიეს.

პოლიტიკურმა მოტივებმა და 1911 წლის მარტში ჩატარებულმა სახელმწიფო გამოცდებმა უფრო გაამყარა მისი გამარჯვება.

იმავე წლის 29 მარტს ამ პისტოლეტის გაუმჯობესებული მოდელი (სამთავრობო მოდელი) ამერიკელებმა საზღვაო ქვეითებისა და არმიის შეიარაღებაში მიიღეს.

კოლტის M1911-ის ავტომატიკა ლულის მოკლე უკუსვლის პრინციპით მუშაობდა. მის კონსტრუქციულ თავისებურებად ითვლებოდა ლულის არხის გაუმჯობესებული ჩაკეტვის სქემა, რომელიც საგანგებო საომარი შვერილების ლულის საერთო ნაწილზე მოჭიდებით მუშაობდა და საკეტგარსაცმის შიდანაწილზე იყო დატანილი. მათი განჭიდება საკეტის უკუსვლის დროს ლულის დახრის ხარჯზე ხდებოდა, რომელიც პისტოლეტის ჩარჩოზე მხოლოდ ერთი საკიდრით იყო დამაგრებული. ზამბარა ლულის ქვემოთ ჩარჩოს ღარში იყო განთავსებული. პისტოლეტ კოლტ M1911-ს ორი დამცველი ჰქონდა — მექანიკური და ალმისებური. კონსტრუქციულად უმარტივესი პისტოლეტი მხოლოდ 43 ნაწილისაგან შედგებოდა.

კოლტ M1911 ისეთი საიმედო და სიცოცხლისუნარიანი გამოდგა, რომ ამერიკის არმიაში სამსახურის 75 წლის განმავლობაში პრაქტიკულად არც ერთი სერიოზული ცვლილება არ განუცდია.

წარმატებულმა კონსტრუქციამ და მაღალმა რეპუტაციამ გამოიწვია ის, რომ ამ პისტოლეტის ბაზაზე არა მარტო შეერთებულ შტატებში, არამედ მთელ მსოფლიოში დღესაც იქმნება უამრავი მოდერნიზებული და გაუმჯობესებული მოდელი.

პისტოლეტი კოლტ M1911 A1 . უმნიშვნელო ცვლილებებით დღესაც იწარმოება და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო სამოსამსახურო პისტოლეტად ითვლება.

•

...ბრაუნინგი თავადაც საუკეთესო მსროლელი და ნადირობის ტრფიალი იყო.

მან გლუვლულიანი თოფის 18 მოდელი შექმნა და იარაღის ამ სახეობაშიც წარუშლელი კვალი დატოვა სანადირო ავტომატური ხუთტყვიიანი თოფის ბრაუნინგ „აუტო-5“-ის და „ვერტიკალური“ ტიპის ორლულიანი სანადირო თოფის B-25-ის სახით. ეს არის მსოფლიოში პირველი ბოკფლინტი, რომელსაც ჩარჩოს სისტემის საკეტები აქვს. ამ სისტემას დღესაც იყენებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საიარაღო ფირმები.


ჯონ მოზეს ბრაუნინგი

სანადირო ავტომატური თოფის ბრაუნინგ „აუტო-5“-ის შექმნისას ავტორმა წარმატებით გადაჭრა გასროლილი მასრის ექსტრაქციის საიმედოობის პრობლემა. ამ იარაღის პირველი პარტია ფირმა FN-2-მა 1900 წელს გამოუშვა, 1902 წელს კი დაიწყო მათი სერიული გამოშვება. 1906 წლისათვის ბრაუნინგმა „აუტო-5“-სთვის დააპროექტა გრძელი და დამოკლებული ლულები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით იყო გაჩარხული: ცილინდრიდან დაწყებული სრულ ჩოკამდე და ხრახნულჩოკამდე – „პარადოქსი“.

...პისტოლეტების, შაშხანებისა და სანადირო თოფების გარდა, ბრაუნინგს სამხედრო გრძელლულიანი იარაღის, მათ შორის ავტომატური შაშხანების (ხელის ტყვიამფრქვევების) შექმნაშიც მიუძღვის წვლილი.

ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი იყო, რომელიც სერიოზულად უდგებოდა არმიის უახლესი ავტომატური იარაღით მომარაგების საქმეს. ახალ ინდივიდუალურ ავტომატურ იარაღზე მუშაობა შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო.

ერთ-ერთი პირველი ამერიკელი კონსტრუქტორი, რომელმაც შედარებით წარმატებული ავტომატური იარაღის კონსტრუქცია შექმნა, სწორედ ბრაუნინგი იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს ამერიკის არმიის ქვეითთა შენაერთებში ავტომატური იარაღის უქონლობამ და მასზე მოთხოვნილებამ საფრანგეთის საექსპედიციო ნაწილებში, უმძიმესმა ბრძოლებმა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრონტებზე კიდევ ერთხელ დაარწმუნა ამერიკის ხელისუფლება ავტომატური იარაღის აუცილებლობაში.

მალე შეერთებული შტატების სამხედრო სარდლობამ საფრანგეთში მებრძოლ საექსპედიციო ნაწილებს „შოშის“ სისტემის 35000 ხელის ტყვიამფრქვევი გაუგზავნა, დიდ ბრიტანეთში კი „ლუისის“ 2500 ტყვიამფრქვევი. გარდა ამისა, ამერიკელებმა მიზნად დაისახეს არ ყოფილიყვნენ დამოკიდებული უცხოეთში წარმოებული იარაღის იმპორტზე. სამხედრო-საიარაღო მრეწველობის განვითარება ამერიკელთათვის პრიორიტეტად იქცა.

მიზნის მისაღწევად საქმეში ჩართეს ქვეყნის მეიარაღეთა და კონსტრუქტორთა ძალები. უკვე 1917 წლისთვის ჯ. ბრაუნინგმა შექმნა ავტომატური შაშხანის ორიგინალური კონსტრუქცია, რომელიც საშტატო ამერიკული ვაზნის სროლაზე იყო გათვლილი. ახალ იარაღს BRAUNING AUTOMATIC RIFLIE (BAR) M.1918 (ბრაუნინგის ავტომატური შაშხანა მოდელი 1918) უწოდეს. ტაქტიკურ-ტექნიკური დაპროექტების ხარვეზების გამო ეს იარაღი უფრო ხელის ტყვიამფრქვევს ჰგავდა, ვიდრე ქვეითის პირად იარაღს. შაშხანის სასხლეტი მექანიზმი როგორც ერთეული, ისე ავტომატური სროლის საშუალებას იძლეოდა. ტყვიით მომარაგება 20-ტყვიიანი კოლოფისმაგვარი მჭიდის საშუალებით ხდებოდა...

...სულ მალე ამერიკულმა შეიარაღებულმა ძალებმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა იმ დროისათვის ახალი ტიპის იარაღი – კოლტის დაზგური ტყვიამფრქვევი M1895. 1914 წლიდან კომპანია MARTINI აწარმოებდა მოდერნიზებულ ბრაუნინგის ტყვიამფრქვევს, რომლის ინდექსი იყო 1895/1914. 1917 წელს მის ნაცვლად ბრაუნინგმა ახალი დაზგური ტყვიამფრქვევი „ბრაუნინგ M 1917“ შექმნა. ეს იარაღი ბრძოლის ველზე გამოჩენის დღიდან ყველაზე საიმედო საცეცხლე დაცვად იქცა ქვეითთა შენაერთებისათვის. მისი ავტომატიკა უკუცემის ხარჯზე მუშაობდა ლულის მოკლე მოძრაობასთან ერთად. საკეტი ვერტიკალურ სიბრტყეში სოლით ირაზებოდა. დამსხლეტი მექანიზმი მხოლოდ განუწყვეტელი სროლის საშუალებას იძლეოდა. ტყვიამფრქვევს პისტოლეტის ტიპის სახელური ჰქონდა, ლულა წყლით ცივდებოდა. ვაზნების მიწოდება (250 ვაზნა) ღვედის მეშვეობით ხდებოდა.

პირველსავე ბრძოლებში გამოვლინდა „ბრაუნინგ M1917“-ის უპირატესობა სხვა მსგავსი ტიპის იარაღთან.

*...ჯონ ბრაუნინგი 1926 წლის 26 ნოემბერს ბრიუსელში გარდაიცვალა. მისმა მრავალმხრივმა და ფართო შემოქმედებითმა მოღვაწეობამ კაცობრიობას გასაოცარი შედეგები მოუტანა. კოლოსალურმა შემოქმედებითმა პოტენციამ, შრომისმოყვარეობამ, მუდმივად ძიების პროცესში ყოფნამ შეაძლებინა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ემუშავა. წარმოუდგენლად რთული შემოქმედებითი მუშაობა მხოლოდ უმაღლესი ტექნიკური ინტუიციითა და იმპროვიზაციის ტალანტით გამორჩეული პიროვნებების ხვედრია. ამაშია ბრაუნინგის დიდებისა და მისი ლეგენდარული სახელის უკვდავების საიდუმლო.*


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები,
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა,
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გერმანიის შეიარაღებული ძალების ელიტური ნაწილები

სამთო-მსროლელი ნაწილები პირველად გერმანიაში, პირველი მსოფლიო ომის დროს, იტალიის ფრონტზე შეიქმნა. სწორედ მაშინ შეირჩა ამ ელიტური ნაწილების ემბლემაც: მაღალი მთების მშვენება — ედელვაისი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამთო-მსროლელმა დივიზიებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ბალკანეთში, კუნძულ კრეტის დაპყრობისას და საბჭოთა კავშირთან ომის დასაწყისში; პირველი და მეორე სამთო-მსროლელი დივიზიების მებრძოლებმა კავკასიისკენ გარღვევა მოახერხეს და ფაშისტური დროშა იალბუზზე აიტანეს. როცა წითელმა არმიამ საბჭოთა ტერიტორიების გათავისუფლება დაიწყო, სამთო-მსროლელები უკან დახევისას მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ; ისინი ვაჟკაცურად იბრძოდნენ არა მარტო აღმოსავლეთის ფრონტზე, არამედ ფინეთსა და ნორვეგიაშიც. როცა კავკასიისათვის ბრძოლების შემდეგ სვანი ალპინისტები იალბუზზე ფაშისტური დროშის ჩამოსაგდებად ავიდნენ, მათ იქ დამოუკიდებელი საქართველოს შინდისფერი დროშაც დახვდათ, რომელიც გერმანიის მხარეს მებრძოლმა ქართველებმა აიტანეს მწვერვალზე.



## „ედელვაისის" მსროლელები

ომის შემდეგ ბუნდესვერის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი, პირველი სამთო დივიზია, ანუ როგორც მას ახლა უწოდებენ, ალპურ მსროლელთა პირველი დივიზია დარჩა. 1991-95 წლებში ბუნდესვერის რეფორმის შემდეგ კი ალპურ მსროლელთა მხოლოდ 23-ე ბრიგადა დარჩა. ბრიგადის შტაბი ავსტრიის საზღვართან მდებარე ქალაქ ბად-რეიხალშია განლაგებული.

ბრიგადა ოთხი ასეულისგან შედგება: 231-ე სამთო (ბად-რაინჰალი), 232-ე სამთო (ბიშოფსვისენი), 233-ე სამთო (მიტენვალდი) და 225-ე სამთო-საარტილერიო (ფიუსენი); გარდა ამისა, ხუთი ოცეულისგან: რეზერვი (ბად-რაინჰალი), უზრუნველყოფის (ბად-რაინჰალი), სამთო-სატანკო (ფრეინინგი), სამთო-სატანკო სასწავლო (ინგოლშტადტი) და ცხოველების გაწვრთნისა და გამოყენების (ბად-რაინჰალი). სამთო ასეულების შემადგენლობაში შედის: სამეთაურო, უზრუნველყოფის, სამი საბრძოლო და მძიმე შეიარაღების ოცეულები. პირველი ოცეული შედგება ხელშეკრულებით მომსახურე ჯარისკაცებისაგან, რომლებიც საგანგებო ალპური პროგრამების მიხედვით, მაღალმთიან პირობებში სამოქმედოდ არიან მომზადებულ-გაწვრთნილი.

2001 წლიდან ბრიგადა ორგანიზაციულად მე-10 სატანკო დივიზიის დაქვემდებარებაშია. ალპური მსროლელები მონაწილეობდნენ საომარ ოპერაციებში: სომალიში





სპეცრაზმელები G36 ტიპის ავტომატური შაშხანებით არიან შეიარაღებულნი

(1993) და იუგოსლავიაში (1995).

ბრიგადის წევრთა რაოდენობა 6000 ჯარისკაცს არ აღემატება. როგორც ადრეულ წლებში, ისე ახლაც სამთო-მსროლელთა შენაერთები უპირატესად სამხრეთ ბავარიელი მოხალისეებით კომპლექტდება. ისინი ბავშვობიდანვე არიან მთებს შეჩვეული.

## საჰაერო დესანტი

პირველი საჰაერო-სადესანტო ნაწილები გერმანიაში 1933 წლის 26 აპრილს ჩამოყალიბდა, როცა პატარა ქალაქ სტენდალში საპარაშუტო სკოლა გაიხსნა.

სკოლის პირველი გამოშვება საფუძვლად დაედო ლიუფტვაფეს პირველ საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონს. ამავე პერიოდში შექმნა ვერმახტმა საპარაშუტო-სადესანტო ოცეული, რომელიც შემდეგ მე-2 სადესანტო ბატალიონად გადაკეთდა.

1939 წელს ბატალიონები პოლკში გაერთიანდნენ და მე-7 საჰაერო-სადესანტო დივიზიად გარდაიქმნენ.

1940 წლის 20 მაისს, კუნძულ კრეტის დაპყრობისას, გერმანელებმა 7 ათასი მედესანტე გადასხეს, მაგრამ არ გაუხმაურებიათ ის ფაქტი, რომ მედესანტეთა ნახევარზე მეტი დაიღუპა. ამ ცნობილ ოპერაციამდე ერთი თვით ადრე პირველი სადესანტო შენაერთები ნორვეგიასა და დანიაში გადასხეს, სადაც გერმანელებმა სამხედრო აეროდრომების ხელში ჩაგდება მოახერხეს, ხოლო როცა პლანერებიდან გადმოსულმა ოთხმოცდაოთხმა გერმანელმა მედესანტემ მიუდგომელი ფორტი ებენ-ემელი ჩაიგდო ხელთ, ახალი საჯარისო ნაწილების შესახებ მთელ მსოფლიოში ალაპარაკდნენ.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას შეიქმნა მე-2, მე-3 და მე-5 საჰაერო-სადესანტო დივიზიები, ხოლო მე-7 დივიზია, რომელმაც ლენინგრადთან 1942 წელს დიდი დანაკარგი განიცადა, პირველ საჰაერო-სადესანტო დივიზიად გადააკეთეს.

გერმანელი მედესანტეები კარგად იყვნენ მომზადებული და გმირულად იბრძოდნენ.



დესანტირება „იროკეზიდან“

უკანასკნელ ბრძოლაში, არდენამის ახლოს, მე-3 და მე-5 საჰაერო-სადესანტო დივიზიებმა, სადივერსიო დივიზია „ბრანდერბურგ-800“-თან ერთად, ისეთი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს, რომ მოკავშირე ჯარების ხელმძღვანელობა პატივისცემით განიმსჭვალა მოწინააღმდეგის ვაჟკაცობისადმი.

1956 წელს გერმანიის შეიარაღებულ ძალებში საჰაერო-სადესანტო ბრიგადა შეიქმნა, რომელიც მოგვიანებით დივიზიად გადაკეთდა, ორი წლის შემდეგ კი NATO-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შევიდა და მას შემდეგ მუდმივად მონაწილეობს ბლოკის მანევრებში. ამოცანები, რომლებსაც დივიზიას უსახავდნენ, მუდამ თავდაცვითი იყო. მათ უნდა შეეჩერებინათ წითელი ჯარის (საბჭოთა არმიის) ევროპის სიღრმისკენ გადაადგილება.

2001 წლის რეორგანიზაციამდე მასში შედიოდა სამი (25-ე, 26-ე და 27-ე) საჰაერო-სადესანტო ბრიგადა, სამი სადაზვერვო-სადივერსიო ოცეული და რეზერვისტების ერთი ბრიგადა.

## ბიჭები „სამშენებლო ბატალიონიდან“

მეორე მსოფლიო ომის დროს აბვერჯგუფებისა და აბვერკომანდოსების გვერდით, რომლებიც მედესანტეებს მოწინააღმდეგის ზურგში საბრძოლველად ამზადებდნენ, აბვერის სადივერსიო განყოფილების დაქვემდებარებაში იყო ჯერ პოლკი, ხოლო შემდეგ დივიზია „ბრანდენბურგ-800“.

1939 წლის 26 აგვისტოს ამ დივიზიის 14 მებრძოლი ლეიტენანტ ჰაინცლერის მეთაურობით ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის საზღვრის გავლით შეუმჩნევლად გადავიდა პოლონეთის ტერიტორიაზე. რაზმს უნდა გაეუვნებელყო რეგიონში არსებული სტრატეგიული გვირაბის დამცველები და შეენარჩუნებინა მასზე კონტროლი მე-7 ქვეითი დივიზიის გამოჩენამდე.

მთელი დაცვა, დაახლოებით 100 ჯარისკაცი, ტყვედ ჩავარდა, მედესანტეებმა ისინი რკინიგზის სადგურის სარდაფებსა და საკუჭნაოებში ჩაკეტეს. როცა დათქმულ დროს მე-7 დივიზიის მებრძოლები არ გამოჩნდნენ, მეთაური შტაბს რაციით დაუკავშირდა და შეიტყო, რომ ოპერაციის დაწყება პირველი სექტემბრისთვის გადაიდო. ლეიტენანტმა ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედა, შეკრიბა რაზმის ყველა წევრი და მომდევნო ღამით ისე გაიყვანა ბრძოლის ველიდან ჩეხოსლოვაკიაში, რომ არც ერთ მათგანს კანიც არ გაკაწვრია. რაზმის ყველა წევრი მე-2 კლასის რკინის ჯვრის ჯილდოზე წარადგინეს, მაგრამ ფელდმარშალმა კეიტელმა წარდგე-



ავღანეთში და...



...სწავლების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას ხელი არ მოაწერა, რადგან იმ დროისთვის გერმანია პოლონეთთან ომის მდგომარეობაში ჯერ კიდევ არ იმყოფებოდა.

1939 წელს საინჟინრო-სამშენებლო ბატალიონის ბაზაზე შეიქმნა საგანგებო დანიშნულების ნაწილების სასწავლო პოლკი, რომელსაც მოგვიანებით „ბრანდენბურგ-800" ეწოდა. შენაერთის ამოცანას მტრის ღრმა ზურგში ოპერაციების ჩატარება, საკვანძო კომუნიკაციების ხელში ჩაგდება ან განადგურება, სამეთაურო პუნქტებისა და საშტაბო შენაერთების უზრუნველყოფა და ზურგის ინფრასტრუქტურების მოშლა წარმოადგენდა.

1940 წლის მაისში ბრანდენბურგელმა დივერსანტებმა ჰოლანდიაში ექსტრაკლასის ოსტატობა აჩვენეს. ქალაქ გენელის რაიონში საჭირო იყო სარკინიგზო ხიდის ხელში ჩაგდება და მანამ შენარჩუნება, სანამ გერმანული ჯავშანსატანკო ტექნიკა მასზე არ გაივლიდა. ბრანდენბურგელებმა მასკარადი მოაწყვეს — ხიდის დაცვამ შორიდან შენიშნა მათი მიმართულებით მოძრავი გერმანელ ტყვეთა საკმაოდ დიდი კოლონა, რომელსაც ჰოლანდიური ბადრაგი მოაცილებდა. დაცვამ ეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნია და „ტყვეები" არხეინად შეუშვა ხიდზე. გერმანელებმაც თავჩაქინდრულებმა გაიარეს მთელი ხიდი და როცა მოწინავეები ხიდის თავს გაუსწორდნენ, ერთბაშად დაესხნენ თავს დაცვას და გაჟლიტეს. ამოცანა შესრულდა — გერმანული ტანკებისთვის გზა ხსნილი იყო.

პოლკის საბრძოლო მომზადებაში, საპარაშუტო-სადესანტო, ტექნიკურ-სოციალურ, ტოპოგრაფიულ, ფიზიკურ, საცეცხლე და საინჟინრო მომზადებასთან ერთად უცხო ენებსაც სწავლობდნენ. მებრძოლები, რომლებიც სამამულო ომის დროს „ბრანდენბურგ-800"-ის წყრებს შეხვედრიან, აღნიშნავენ, რომ თითქმის ყველა მათგანმა კარგად იცოდა რუსული ენა. გარდა ამისა, სპეცდანიშნულების რაზმებში გერმანელები სიამოვნებით იღებდნენ ყოფილ თეთრგვარდიელებს და მათ შთამომავლებს.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების წინ გერმანელებმა შექმნეს ბატალიონი „ნახტიგალი" („ბულბული"), რომელიც მთლიანად უკრაინელი ნაციონალისტებისგან შედგებოდა. ბატალიონს ეს სახელი უკრაინული ხალხური სიმღერების უბადლო შესრულებისათვის დაერქვა.

ომის დაწყებისთანავე პოლკში ბატალიონი „ბერგმანი" („მთიელი") შეიქმნა, რომელიც ძირითადად ჩეჩნებისგან დაკომპლექტდა. 1942 წელს „ბრანდენბურგის" შემადგენლობაში კიდევ ერთი დასავლეთევროპელთა ასეული გამოჩნდა, რის შედეგადაც პოლკი დივიზიად გადაკეთდა.

1944 წლის მიწურულამდე „ბრანდენბურგის" სადივერსიო ჯგუფმა საბჭოთა შინსახკომისა და „სმერშ" საკუთარ ტერიტორიაზე არა ერთი თავსატეხი გაუჩინა.

1944 წელს, ჰიტლერზე უშედეგო თავდასხმის შემდეგ, რომელშიც აბვერის ხელმძღვანელი ადმირალი კანარისიც მონაწილეობდა, სპეცდივიზიებიც ვერ გადაურჩნენ სადამსჯელო სანქციებს. „ბრანდენბურგის" მებრძოლთა ნაწილი სს-ის გამანადგურებელ ბატალიონში გადაიყვანეს, რომელსაც ოტო სკორცენი მეთაურობდა, დივიზიის ძირითადი ნაწილი კი მოტომსროლელ ნაწილებად გადაკეთდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ტექნიკური სიახლე, რომელთაც დღესაც გამოიყენებენ მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურები, ფაშისტურ გერმანიაშია შექმნილი, მაგალითად, კარგად ცნობილი პლასტიკური ბომბი, კუმულაციური მუხტები, ცეცხლგამჩენი ტყვიები, აგენტის თვითმფრინავის მეშვეობით საევაკუაციო საშუალება და ა.შ..

## „ბრანდენბურგის" დიდების მემკვიდრეები

ბუნდესვერის შემადგენლობაში დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფების ყოლა, თუ არ ჩავთვლით სადაზვერვო და სადაზვერვოსადივერსიო ოცეულებს, რომელთა მოქმედების სპეციფიკა გარკვეულწილად ემთხვევა საარმიო სპეცდანიშნულების რაზმების დანიშნულებებს.

1972 წელს, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ (ოლიმპიურ თამაშებზე არაბმა ტერორისტებმა მძევლად აიყვანეს ებრაელი სპორტსმენები, რომელთა გამოსახსნელი ოპერაცია დიდი მსხვერპლით დამთავრდა), სასაზღვრო სამმართველოს შემადგენლობაში შეიქმნა ჯგუფი GSG-9. ეს ქვედანაყოფი მხოლოდ და მხოლოდ ანტიტერორისტულ ამოცანებს ემსახურება. ჯგუფი საგარეო საქმეთა მინისტრ გენშერის ინიციატივით შეიქმნა, მისი ფორმირება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა განყოფილების პოლკოვნიკ ვეგენერუს დაევალა.

1973 წლის აპრილში პოლკოვნიკმა ხელმძღვანელობას პირველი ორი ჯგუფის მომზადების თაობაზე მოახსენა. დღეისათვის GSG-ში 240 ჯარისკაცი (მხოლოდ ხელშეკრულებით აყვანილი) და ოფიცერი შედის.

1996 წელს ბუნდესვერის შემადგენლობაში KSK (KOMANDO SPEZIAL KRAFTE) ჯგუფი დაკომპლექტდა. მის ჩამოყალიბებას რუანდაში შექმნილმა სიტუაციამ მისცა ბიძგი, როცა 1994 წლის აპრილში ბელგიელმა სპეცრაზმელებმა ევაკუაცია გაუკეთეს გერმანიის თერთმეტ მოქალაქეს აჯანყებულთა მიერ გარშემორტყმული კიგალის გარეუბნიდან (გერმანიის კანონების მიხედვით, GSG ჯგუფს საზღვარგარეთ მოქმედების უფლება არ აქვს).

KSK-ის შემადგენლობა 1000 მეომარს ითვლის. ჯგუფის დისლოცირების ადგილია ქალაქი კალევი. მეთაურია ბრიგადის გენერალი რაინჰარდ გიუნცელი. თავიდანვე ცნობილი იყო KSK-ის ამოცანები: გერმანიის მოქალაქეების კრიზისული რეგიონებიდან და საომარი წერტილებიდან უსაფრთხო ევაკუაცია, მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის სადაზვერვო მონაცემების მოპოვება.

2001 წლის რეორგანიზაციის შემდეგ ბუნდესვერის შემადგენლობაში შეიქმნა DSO (DIVISION SPEZIALLE OPERATIONEN) საგანგებო ოპერაციების დივიზია, რომლის მეთაურად გენერალ-მაიორი ჰანს-ოტო ბუდე დაინიშნა. დივიზიაში გაერთიანდნენ სწრაფი რეაგირების შენაერთები, 26-ე საპარაშუტოსადესანტო ბრიგადა, 31-ე საპარაშუტო-სადესანტო ბრიგადა, რომელიც ოლდენბურგში იყო განლაგებული, მართვისა და კავშირგაბმულობის მე-4 პოლკი. დივიზიის შტაბი ქალაქ რეგენსბურგშია განლაგებული. დივიზია დღეისათვის 9000 მებრძოლს ითვლის. პრაქტიკულად ყველა ოფიცერს აქვს საომარი გამოცდილება. ყველა მათგანი მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში ნამყოფი.

დივიზიას კავშირგაბმულობის მე-4 პოლკი



ეროვნული ბიბლიოთეკა



და 1994 წლის აპრილში შექმნილი სამმართველო მართავს. პოლკი 130 კაცისგან შედგება. მასზე მიმაგრებულია კავშირგაბმულობის მე-9 ოცეული, რომელიც დივიზიის შტაბის NATO-ს შტაბთან მუდმივ კავშირს უზრუნველყოფს. პოლკი სომალიში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციებში, აგრეთვე იუგოსლავიაში ჩატარებულ NATO-ს ოპერაციებში მონაწილეობდა.

## KSK-ს მიზნები და ამოცანები

დღეისათვის KSK-ს მოვალეობაა მოწინააღმდეგის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტებისა და ცოცხალი ძალების დაზვერვა, მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ობიექტების (შტაბების, სამეთაურო პუნქტების, ინფრასტრუქტურის ნაგებობებისა და ელემენტების, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის) განადგურება ან მწყობრიდან გამოყვანა; ცეცხლის დამიზნება და მისი კორექტირება, საკუთარი და მოკავშირეთა სამხედრო მოსამსახურეთა გადარჩენა (გათავისუფლება), მტრის ზურგში თავისუფლად მოქმედებისთვის ოპერაციების ჩატარება.

ჯგუფის ფორმირება 1996 წელს დაიწყო, 25-ე საჰაერო-სადესანტო ბრიგადის ბაზაზე, რომელიც ქალაქ კალევში, გრაფ ცეპელინის ყაზარმაში იყო განლაგებული, შენარჩუნდა და გაფართოვდა ბრიგადის მთელი ინფრასტრუქტურა.

საკადრო ბაზად გამოყენებულ იქნა გაუქმებული 25-ე საჰაერო-სადესანტო საკადრო ბრიგადის ოფიცერთა შემადგენლობა, აგრეთვე ბუნდესვერის მე-100 და მე-300 სადაზვერვო ოცეულები. ჯგუფის ფორმირება 2000 წელს დამთავრდა. KSK არის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც არმიის ხელმძღვანელობას ემორჩილება და მხოლოდ სამხედრო ხასიათის ოპერაციებს ატარებს. იგი ნატოს წევრი ქვეყნების ანალოგიური ქვედანაყოფების მსგავსად არის შექმნილი.

ასეთივეა საფრანგეთის „სპეცოპერაციების“ ჯგუფი, ამერიკის შეერთებული შტატების „მწვანე ბერეტები“, დიდი ბრიტანეთის SAS-ი. ეს ქვედანაყოფები არა მარტო წინამორბედები და მისაბაძები არიან KSK-სთვის, არამედ მუდმივი პარტნიორებიც. KSK შედგება 100-კაციანი სადაზვერვო ქვედანაყოფისგან, „კომანდოსების“ ოთხი ასეულისგან (თითოეულში 80 ჯარისკაცია), უზრუნველყოფის სამი ასეულისგან: კავშირგაბმულობის, რემონტის, მატერიალური და სამედიცინო უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებშიც მომსახურეთა რიცხვი ხუთას ოთხმოც კაცს შეადგენს.

კომანდოსების ასეულები ოთხ-ოთხი ოცეულისგან შედგება, თითოეულს თავისი სპეციალიზაცია აქვს. პირველი ჯგუფი დაოსტატებულია ხმელეთზე სამოქმედოდ, მეორე – ჰაერში, მესამე – წყალში, მეოთხე კი რთულ გეოგრაფიულ და ატმოსფერულ პირობებში ოპერაციების ჩატარებაში. საომარ ქვედანაყოფებს მიეკუთვნება აგრეთვე მოსამზადებელი, სასწავლო და საკვლევი ცენტრი, სადაც კანდიდატების შერჩევა და მომზადება მიმდინარეობს.

KSK-ს წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ბუნდესვერის ოფიცერი ან უნტეროფიცერი, რომლებმაც სამთვიანი შესარჩევი კურსი გაიარეს. კანდიდატის მაქსიმალური ასაკი ოფიცერთათვის 30 წელი, უნტეროფიცერთათვის კი 28 წელია (სპეციალური ტექნიკური განათლების მქონე უნტერ-ოფიცერთათვის 32 წელი).

შერჩევის პირველ ეტაპზე კანდიდატები უამრავ სპორტულ ნორმატივს აბარებენ, რითაც მათი ფიზიკური შესაძლებლობები მოწმდება. მაგალითად, კანდიდატმა მთლიანი აღჭურვილობით აუცილებლად უნდა შეასრულოს ზედიზედ ხუთი მიზიდვა-გადატრიალება ღერძზე, გადალახოს წინააღმდეგობის ზოლი 1 წუთსა და 40 წამში; ორმოცკილოგრამიანი ზურგჩანთითა და საველე ფორმაში 52 წუთში უნდა გაირბინოს 7 კილომეტრი და 13 წუთში გაცუროს 500 მეტრი.

ფიზიკური დატვირთვის პიკი მესამე კვირას იწყება, როცა კანდიდატებს ჯგუფ-ჯგუფად უწევთ შვარცვალდის მთებში ხანგრძლივი გადასვლები. ამ დროს მათ თან აქვთ მძიმე შეიარაღება, გადაჰყავთ „დაჭრილები“, მთებზე სრული აღჭურვილობით ადიან და ასევე ეშვებიან. ძილისთვის და დასვენებისთვის ძალიან ცოტა დრო რჩებათ, შეზღუდული აქვთ კვებაც.

ბოლოს კანდიდატებს ფსიქოლოგიური მდგრადობის გამოსაკვლევ სხვადასხვა ტესტს უტარებენ. ვინც გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, ხელშეკრულებებს უფორმებენ. KSK-ში სამსახურის მინიმალური ვადა 6 წელიწადია, ჯარისკაცებისა და უნტეროფიცერების მაქსიმალური ასაკი კი 38 წელი. KSK-ის ჯგუფის დევიზია: „ვერავინ ამჩნევს, როგორ მოვიდნენ ისინი; არავინ იცის, რომ აქ არიან და როცა ოპერაცია დამთავრებულია, არავითარი მტკიცებულება არ არსებობს, რომ აქ ოდესღაც იყვნენ“.

2002 წლის 3 მაისს გერმანულ გაზეთებში ასეთი სახის ინფორმაცია გამოქვეყნდა: „ბრიტანეთის სამეფო-საზღვაო ფეხოსანთა მეთაურობით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეტევა ავღანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც გამოქვაბულებში დღემდე იმალებიან „ლიბანისა“ და „ალქაიდას“ წევრები. შეტევაში მონაწილეობს SAS-ის ათასამდე მეომარი. ჩვენთვის უცნობია, ავსტრალიისა და კანადის სპეცრაზმელები და KSK-ის წევრები მონაწილეობენ თუ არა ოპერაციაში, რადგან თავდაცვის სამინისტრომ, როგორც ყოველთვის, უარი განგვიცხადა KSK-ის მოქმედებასთან დაკავშირებულ კომენტარებზე“. 30 ივნისს კი გაზეთი „FRANKFURTEL ALLGEMEINE SONNTAGZEITUNG“ წერდა: „KSK-ის მებრძოლების ოპერაციებში მონაწილეობა თანდათან გაფართოვდება და გაიზრდება. გერმანელი ოფიცრების აზრით, რომლებიც ქალაქ ტამპაში (ფლორიდა), სამეთაურო შტაბში მუშაობენ, აშშ დაჟინებით მოითხოვს KSK-ის როლის გაზრდას, ამის მიზეზი კი კანადის ელიტური ნაწილების უკან გაყვანაა“.

KSK ყველა იმ ოპერაციაში მონაწილეობდა, რომლებშიც ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის ელიტური ნაწილები იბრძოდნენ. ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობას არაერთხელ სურდა ხაზი გაესვა საბრძოლო ოპერაციებში KSK-ის ბრწყინვალე მოქმედებისათვის, მაგრამ გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ მათ მისი მოხსენიების უფლება არ მისცა.



# უცნაური საზღვაო ტრადიციები





ზღვასთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და ბუნების მოვლენებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ მეზღვაურებში მრავალი ლეგენდა წარმოშვა, რომელთაც შემდგომში სხვადასხვა საზღვაო წესჩვეულება, ცრურწმენა თუ ტრადიცია დაამკვიდრეს.

ჯერ კიდევ არგონავტებმა კოლხეთისაკენ ცურვის დროს ბუნების არაერთი იდუმალი მოვლენა იხილეს. ლეგენდებისათვის წყლის სმერჩები, ტალღების ფოსფორული ნათება, „ზღვის ხმა“, გრიგალისებური ქარები და სხვა მოვლენები საკმაოდ მდიდარ საკვებს იძლეოდა. თან მეზღვაურები სხვადასხვა ნიშანზე ყურადღების გამახვილებით სწავლობდნენ, როგორ შეიძლებოდა ცურვის დროს საშინელებათა თავიდან აცილება.

ბერძენი და რომაელი მეზღვაურებისათვის ცუდ ნიშნად ითვლებოდა გემზე მერცხლის დაჯდომა. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის კლეოპატრას ფლოტის დამარცხების მიზეზი აქციუმის ბრძოლაში თურმე მერცხალი ყოფილა, რომელიც ბრძოლის წინ დედოფლის ხომალდზე ჩამოჯდა.

ძველი ზღვაოსნები ყურადღებას ცხვირის დაცემინებასაც აქცევდნენ. ბერძნებსა და რომაელებს სჯეროდათ, რომ გემის მარჯვენა ბორტთან დაცემინება ცურვის მშვიდობიანად დამთავრებას, ხოლო მარცხენასთან კი რაღაც ავს ნიშნავდა. ქრისტესშობამდე V საუკუნეში ათენელმა სარდალმა თემისტოკლემ სპარსთა წინააღმდეგ გაილაშქრა. ბერძნულ გალერაზე ვიღაცამ მარჯვენა ბორტთან დააცემინა და ათენელებმა გამარჯვება ამიტომ მოიპოვეს.

დიდი ხნის ისტორია აქვს საკმაოდ ფეხმოკიდებულ რწმენას, რომ ზღვაში სირინოზები, ნერეიდები და ტრიტონები ცხოვრობენ. მეზღვაურებს სჯეროდათ, რომ ზღვის ღვთაებრივი ლამაზმანები ადამიანებს ტკბილხმოვანებით, ფლეიტასა და ლირაზე დაკვრით ჯერ ზღვაში შეიტყუებდნენ, ხოლო შემდეგ სასტიკად უსწორდებოდნენ.

არგონავტებმა ორფევსის შესანიშნავი სიმღერის წყალობით შეძლეს სირინოზებისაგან თავის დაღწევა, როცა ისინი „არგოს“ გამოედევნენ. ოდისევსმა სირინოზთა კუნძულთან გავლისას ანძაზე მისი დაბმა, ხოლო თანამგზავრებისათვის ყურებში ცვილის ჩასხმა ბრძანა, რათა ზღვის ლამაზმანების სიმღერა არ მოესმინათ, ორფევსი კი სიმღერითა და დაკვრით სირინოზების ხმას ახშობდა.

შუა საუკუნეების ერთი დოკუმენტი კეთილი ნების კონცხისაკენ მოცურავე კაპიტნებს აფრთხილებდა: „მოერიდეთ ადამიანისთავიან და თევზისკუდიან ზოგიერთ ქმნილებას, რომლებიც ყურეებსა და უბეებში დაცურავენ. ისინი შეიარაღებულნი არიან მშვილდ-ისრებით და ადამიანის ხორცით იკვებებიან“...

დიდ ზღვაოსან ქრისტოფორე კოლუმბს სირინოზების არსებობის სჯეროდა. ამტკიცებდა, რომ კუნძულ სან-დიეგოსთან სამი უშნო სირინოზი დაინახა.

უძველესი დროიდან ადამიანები ბუნების ძალების მიმართ შიშს განიცდიდნენ და მათი კეთილგანწყობის მოპოვებას სხვადასხვა გზით ცდილობდნენ. რომაელი მეზღვაურები იუპიტერისა და ნეპტუნის სახელზე ლოცვის შემდეგ შესაწირ პურს, მარილსა და ღვინოს წყალში ყრიდნენ.

შეწირვის ტრადიცია დიდხანს შემორჩა. XVII საუკუნეში ბერძნულ გემებზე მეზღვაურების მფარველის წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელზე 30 პატარა კვერი ცხვებოდა, რომელსაც ლოცვავედრებით წყალში ყრიდნენ.

ფინელი და რუსი მეზღვაურები კუნძულ გოგლანდთან ჩავლისას ზღვაში აუცილებლად სპილენძის შაურიანებს გადაუძახებდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ, უამისოდ მათ კუნძული არ გაატარებდა.

რომაელი ისტორიკოსი აპიანე ალექსანდრიელი (ჩვ. წ. I საუკუნე) წერს, რომ მეზღვაურები ზღვაში გასვლამდე აუცილებლად ქურუმებს იწვევდნენ, წყალში საქონელს კლავდნენ, ხოლო საქონლის შიგნეულს აწყობდნენ ნავში, რომლითაც ხომალდისათვის სამჯერ უნდა შემოევლოთ. ეკიპაჟი ამ დროს ლოცულობდა და ღმერთებს ცურვის წარმატებით დასრულებას სთხოვდა.

ბევრი ცრურწმენა უკავშირდება კვირის დღეებს. ინგლისში ახლაც სჯერათ, რომ პარასკეობით ზღვაში გასვლა არ შეიძლება, ხოლო თუ იმ დღეს რიცხვი 13 ემთხვევა, მაშინ მით უფრო ერიდებიან. მეზღვაურები ცდილობდნენ პარასკევს დანიშნული გასვლის სხვა დღისათვის გადატანას.

პარასკევისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი პარასკევ დღეს ქრისტეს ჯვარზე გაკვრა გახდა.

XVIII საუკუნის ბოლოს ეს ცრურწმენა იმდენად გავრცელდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ერთმა გემთმფლობელმა მისი აბსურდულობის დამტკიცება განიზრახა და შეუკვეთა ხომალდი სახელად „ფრაიდეი“ (პარასკევი). „ფრაიდეი“ წყალში პარასკევს ჩაუშვეს და ზღვაში პარასკეობით გადიოდა. ერთი წელიც არ გასულა და ხომალდი სწორედ პარასკევ დღეს დაიღუპა.

იყვნენ საპირისპირო მოსაზრების ზღვაოსნებიც. პორტუგალიელი და ესპანელი მეზღვაურებისათვის პარასკევი მოგზაურობის დაწყებისათვის კვირის ყველაზე ხელსაყრელი დღეა. კოლუმბმა პირველი ცურვა პარასკევს დაიწყო და ის ამერიკის აღმოჩენით აღნიშნა.

„ცუდი“ დღეების ტრადიციები რუსეთის ფლოტშიც არსებობდა და რევოლუციების მიუხედავად საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტშიც დამკვიდრდა. ასეთი დღე ორშაბათი იყო და თუ მას რიცხვი 13 ემთხვეოდა, ზღვაში გასვლა თვითმკვლელობის ტოლფასად მიაჩნდათ. ცრურწმენა შესამჩნევი რომ არ ყოფილიყო, ორშაბათობით პოლიტმეცადინეობები ტარდებოდა. საბჭოთა კავშირში ეს ღონისძიება კულტის რანგში იქნა აყვანილი, ამიტომ ორშაბათობით ხომალდების ზღვაში გასვლა თითქმის არ იგეგმებოდა.

ბევრი საინტერესო ისტორია უკავშირდება რიცხვ 13-ს. მსოფლიოში ყველაზე დიდი, ერთადერთი შვიდანძიანი შხუნა „თომას ლოუსონი“ 1907 წლის ბოლოს კუნძულ სკილასთან წყალქვეშა ქვებს გამოედო და დაიღუპა. ხომალდი ამერიკაში 1902 წელს ააგეს და იმ კაცის სახელი დაერქვა, რომელსაც დაწერილი აქვს წიგნი სახელწოდებით „პარასკევი, ცამეტი რიცხვი“. ბედის ირონიით, შხუნა პარასკევს, 13 რიცხვში ჩაიძირა.

ძველი დროიდან მეზღვაურებს თოლიებისა და საზოგადოდ ყოველგვარი ზღვის ფრინველის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაუჩნდათ. არსებობდა რწმენა, რომ გარდაცვლილ მეზღვაურთა სულები თოლიებში გარდაისახებოდნენ. მათი ყვირილი დაღუპულთა სურვილად მიაჩნდათ, თითქოს ქრისტიანული წესით დაკრძალვას ითხოვდნენ.

შორეულ მოგზაურობაში მეზღვაურების თანამგზავრი ალბატროსი ძველი რწმენით ზღვაში დაღუპულთა სულების მფარველს წარმოადგენდა. დიდ ცოდვად ითვლებოდა ალბატროსის მოკვლა, რომლის სიცოცხლის ხელყოფისათვის ყოველგვარი უბედურება და გემის დაღუპვაც კი იყო მოსალოდნელი.

დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ ხომალდზე ქალს მხოლოდ უბედურების მოტანა შეეძლო და ამიტომ მას იქ ყოფნა ეკრძალებოდა. ეს დაუწერელი კანონი სათავეს ძველ დროიდან იღებს. ამის მიუხედავად ხომალდებს ქალის სახელებს არქმევდნენ, რათა ზღვის ღმერთების კეთილგანწყობა დაემსახურებინათ.

გავრცელებული შეხედულებით, თითოეულ ხომალდს სული და გული აქვს, ხოლო ბორტზე ქალის ყოფნა ხომალდის ეჭვიანობას გამოიწვევდა და ეკიპაჟს აღარ დაემორჩილებოდა.

გადიოდა საუკუნეები, ხოლო ქალების მიმართ მეზღვაურების დამოკიდებულება არ იცვლებოდა. პირიქით, ზოგჯერ მათი შეურაცხმყოფი კანონებიც გამოდიოდა. „ქალებისა და ღორების შეშვება მისი უდიდებულესობის ხომალდებზე აკრძალულია. თუ ისინი აღმოჩნდებიან ხომალდზე, მაშინ დაუყოვნებლივ ზღვაში უნდა გადაიყარონ“ – კანონი 1562 წელს დანიის მეფემ გამოსცა.

მოგვიანებით დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ ქალებს კაპიტნის ბოგურაზე შესვლა ეკრძალებოდათ და მათი რჩევების გაზიარებაც დაუშვებელი იყო.

არაბი ზღვაოსნები ქალების გადაყვანისთვის წინასწარ ორმაგ საფასურს ითხოვდნენ. ხანდახან აბობოქრებული სტიქიის „დასამშვიდებლად“ და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად რომელიმე მგზავრ ქალს ტალღებს „ჩუქნიდნენ“.

იყო განსხვავებული დამოკიდებულებაც. 1588 წლის 30 მაისს ლისაბონიდან ინგლისისაკენ ესპანეთის ფლოტი დაიძრა, რომელიც ისტორიაში „უძლეველი არმადის“ სახელით არის ცნობილი. მეზღვაურების მომსახურებისათვის ქალებმა თავიანთი ხარჯით ხომალდი იქირავეს და არმადას უკან გაჰყვნენ.

ჰოლანდიური ხომალდების კაპიტნებს შორეულ მოგზაურობაში ცოლებიც მიჰყავდათ, თუმცა მათი ხომალდზე ყოფნა ძალზე არასასურველი იყო.

პორტებში დგომისას ინგლისის ფლოტის ხომალდებზე ქალების ასვლა ოფიციალურად იკრძალებოდა, მაგრამ კანონი სისტემატურად ირღვეოდა. ნელსონის „ვიქტორიაზე“ პორტში დგომისას 500-მდე სუსტი სქესის წარმომადგენელი ადიოდა. 1782 წელს სპიდჰედში ღამით აფეთქდა და ჩაიძირა სახაზო ხომალდი „როიალ ჯორჯი“. დაღუპული 1000 კაციდან 300 ქალი იყო.

საინტერესო ტრადიციები ჰქონდა გემის მშენებლობის დაწყებას. მშენებლობა კილში ოქროს მონეტის ჩადებით იწყებოდა, რომელსაც ბედნიერი ნაოსნობა უნდა მოეტანა. ხომალდს რომ კარგი საზღვაოსნო თვისებები ჰქონოდა, მშენებლობის პროცესში რამდენიმე მოპარული ფიცრის გამოყენება იყო აუცილებელი. თუ ქურდობა წყალში ჩაშვებამდე გამომჟღავნდებოდა, მაშინ გემს დაღუპვა არ ასცდებოდა.

მეზღვაურები ბედს ძალიან ხშირად გემის სახელწოდებას უკავშირებდნენ და მის შეცვლას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ. ეს რწმენა ერთი შემთხვევის შემდეგ უფრო და უფრო განმტკიცდა. გასული საუკუნის დასაწყისში ერთი ბრიტანელი გემთმფლობელი სერ ვილიამ გარტუეტი ათამდე გემს ავსტრალია-სამხრეთ ამერიკის ხაზზე ამუშავებდა. 1919 წელს მან გემებისათვის სახელების შეცვლა განიზრახა, ისე, რომ თითოეულში მისი გვარის ნაწილი „გარტ“ ყოფილიყო. კომპანიონებისა და კაპიტნების თხოვნის მიუხედავად, მან თავისი გაიტანა და შემდეგ სანანებელი გაუხდა.

მალე ავსტრალიისაკენ მიმავალი „გარტფორსი“ კეთილი ნების კონცხთან ღამით აისბერგს დაეჯახა და დაზიანებულმა სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანამდე ძლივს მიაღწია. ერთი თვის შემდეგ, იმავე რაიონში, ძლიერი შტორმისას „გარტურეიმ“ ორი ანძა





ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკარგა და კეიპტაუნამდე ბუქსირით მისვლა გაჭირვებით შეძლო. მესამე გემი „გარტნეილი“ ძლიერ გრიგალში მოხვდა და მელბურნში ბუქსირით შესვლამ მოუწია. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩაიძირა „გარტგერი“, ხოლო 1929 წელს მწვანე კონცხის კუნძულების კლდეებზე „გარტპული“ დაიმსხვრა.

ხომალდის ფორშტევნის ფიგურებით მორთვის ტრადიციები იმ დროიდან იწყება, როცა ადამიანებმა ცხოველები გააღმერთეს. ფინიკიელთა სატვირთო ხომალდების ფორშტევენებს ხისგან გამოჭრილი ცხენის თავი ამშვენებდა. ამ სიმბოლოს ღვთიური ძალის ზემოქმედებისა იმდენად სჯეროდათ, რომ XIX საუკუნის ბოლომდე გროტ-ანძაზე მიჭედებული ცხენის ნალი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ადმირალ ნელსონის ბრძანებით მისი ესკადრის ყველა გემი თილისმად გროტ-ანძაზე მიჭედებულ ცხენის ნალს ატარებდა.

ვიკინგები თავიანთ დრაკერებს გველებისა და დრაკონების ფიგურებს უკეთებდნენ. მათი აზრით, ისინი ომის დროს მოწინააღმდეგეს შეაშინებდა, ხოლო მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებისას ფიგურებს ხსნიდნენ ან შალითით ფარავდნენ.

ხომალდების ფიგურებით მორთვა განსაკუთრებით XVI საუკუნეში გავრცელდა. ესპანელები ხომალდებს წმინდანების სახელებს არქმევდნენ. მათი ფიგურები ხომალდის ცხვირზე მაგრდებოდა.

ბრიტანულ ხომალდებს ქალის ფიგურები უკეთდებოდა. მართალია მაშინდელი რწმენით ქალს ხომალდისათვის უბედურების მოტანა შეეძლო, მაგრამ ქალის ფიგურა გაშლილი ან დავარცხნილი თმით, გვირგვინით ან თავსაფრით თავზე, კაბით ან გაშიშვლებული მკერდით ხომალდის ცხვირზე აუცილებელი ატრიბუტი გახდა.

დღემდე აღინიშნება ეკვატორის გადაკვეთის ტრადიცია. ძველ დროში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ ის მეზღვაურები, ვისაც ეკვატორის გადაკვეთა განედისა და გრძედის ათვლის საწყის ნულოვან გრადუსში უწევდათ, ანუ იმ წერტილში, რომელსაც „დედამიწის ცენტრს“ უწოდებენ.

იალქნიანი ხომალდების ეპოქაში იმ მეზღვაურს, ვინც ეკვატორს ნულოვან გრადუსში გადაკვეთდა, მარცხენა ყურში ოქროს საყურის ტარებისა და ნებისმიერი პორტის დუქანში მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი დაჯდომის უფლება ეძლეოდა.

ვინც ჰორნის კონცხს რამდენჯერმე შემოუვლიდა, მას „ძველი ზღვის მგლების საბჭო“ სპეციალური დიპლომითა და საყურით აჯილდოებდა, რომელზეც ჰორნის კონცხი და სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი იყო გამოსახული. ასეთი მეზღვაური მარცხენა ხელზე ნეკის ფრჩხილს ილებავდა, რაც სხვა მეზღვაურების შურის საგანი იყო ხოლმე.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფლოტში საზღვაო ხომალდების მარჯვენა ბორტი საპარადოა. მარჯვენა ბორტიდან დაშვებული ტრაპით საპატიო სტუმრებს იღებენ, ფლაგმანები და კაპიტნები ხომალდის მარჯვენა ბორტზე დასეირნობენ. ამ საზღვაო ტრადიციის მოთავეები ინგლისელები არიან და მოგვიანებით ის სხვა ქვეყნების ფლოტებშიც გავრცელდა. გამონაკლისია პორტუგალიის ფლოტი, სადაც საპარადოდ მარცხენა ბორტი ითვლება.

ცნობილმა ინგლისელმა ზღვაოსანმა ფრენსის დრეიკმა ჰორნის კონცხს მარჯვენა ბორტით გაუარა და ამის აღსანიშნავად ინგლისელთათვის ხომალდის მარჯვენა ბორტი საპარადოა. პორტუგალიელებმა ბარტოლომეუ დიაშის წინამძღოლობით კეთილი ნების კონცხს მარცხენა ბორტით შემოუარეს და თავიანთი ტრადიცია დაამკვიდრეს.

დროთა განმავლობაში ზოგიერთი საზღვაო ტრადიცია თუ წესჩვეულება დავიწყებას მიეცა, სხვებმა სახე იცვალა, მაგრამ რაც შემორჩა, საზღვაო სამსახურის განუყოფელი ნაწილი გახდა. დამოკიდებულება ძველი ტრადიციებისადმი არ იცვლება და ალბათ სწორედ ეს არის ის რომანტიკა, რომელიც თავგადასავლებისა და ფათერაკების მაძიებლებს ზღვისკენ იზიდავს.

**თემურ ჩაჩანიძე**

# ხუან დომინგო პერონი

## (არგენტინა)



ხუან დომინგო პერონი (8.X.1985 – 1.VII.1974) – არგენტინის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. გენერალი (1946 წ.). მეორე მსოფლიო ომამდე სამხედრო ატაშედ მსახურობდა ჩილეში, იტალიაში. 1941-43 წლებში ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ოფიცერთა ორგანიზაციაში, რომელმაც მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. ეკავა სამხედრო მინისტრის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ვიცე-პრეზიდენტის პოსტები. 1946-55 წლებში – არგენტინის პრეზიდენტი. სამხედრო გადატრიალებისა და მისი მთავრობის დამხობის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა და 18 წელი ესპანეთში გაატარა. მესამე ცოლის ხელშეწყობით კვლავ დაბრუნდა ქვეყნის პრეზიდენტის „კასა როსადაში“, ანუ „ვარდისფერ სასახლეში“ და 1973 წლის 22 სექტემბერს მეორედ გაპრეზიდენტდა, 79-ე წელში გადამდგარი გენერალი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდეგ მისი სავარძლის მემკვიდრე შეიქნა (კონსტიტუციური მოთხოვნის თანახმად), ვიცე-პრეზიდენტი მისი მეუღლე მარია ესტელა (ისაბელა) მარტინეს დე პერონი.

„კუარენტონი“, ანუ ორმოც წელს გადაცილებული, მოწიფული მამაკაცი, რომელსაც არმიელი პოლკოვნიკის სამხრეები ამშვენებდა, ხუან დომინგო პერონი მეორე მსოფლიო ომის წინ სამხედრო კარიერაში მიზანსწრაფული ოფიცერი, ხოლო უკვე ომიანობის პერიოდში არგენტინის საოფიცრო ზედაეშელონის ფარული ლიდერთაგანი ბრძანდებოდა.

პოლკოვნიკ პერონის სამხედრო-დიპლომატიური სამსახური მეზობელ ჩილეში დაიწყო, სადაც 1936-37 წლებში სამხედრო ატაშედ იყო მივლინებული. შემდეგი 3 წლის განმავლობაში ევროპაში

იმყოფებოდა, რომელიც უკვე დენთის კასრზე იჯდა, და იქ ეუფლებოდა, ეცნობოდა არმიული მომზადების მეთოდებს. კერძოდ, იტალიაში სამხედრო ატაშედ იყო გამწესებული... აქეთ — მუსოლინი, იქით – ფრანკო... პერონი აღტაცებული შეჰყურებდა ფრანსისკო ფრანკოსა და ფალანგისტების საქმიანობას (ფალანგისტური, ანუ ფაშისტური პარტია 1933-75 წლებში მოქმედებდა ესპანეთში). ესპანეთი ხომ არგენტინელებისთვის დედასამშობლოდ ითვლება. ეთაყვანებოდა ფაშისტ დუჩეს — ბენიტო მუსოლინისა და მის მიერ იტალიაში დამყარებულ წესრიგს. პერონი პატივს ადოლფ ჰიტლერსა და ნაცისტური გერმანიის სიძლიერეს (სხვათა შორის, ჰიტლერისა და მუსოლინისადმი პატივისცემა მალე დაკარგა და 1945 წელს ომიც კი გამოუცხადა გერმანიას). სამაგიეროდ, პოლკოვნიკს მთელი გულით სძულდა ამერიკის შეერთებული შტატები. ისევე როგორც არგენტინელ ოფიცერთა კორპუსის უმრავლესობა, ისიც აშშ-ს ნომერ პირველ მტრად მიიჩნევდა. ბუენოს-აირესში დიად არგენტინაზე კი ოცნებობდნენ, მაგრამ ისიც კარგად იცოდნენ, რომ დასავლეთ ნახევარსფეროში შეერთებული შტატების ჰეგემონიის გამო ეს შეუძლებელი იყო. ამგვარად, არგენტინელ ოფიცრებში პრონაცისტური დაჯგუფება — ორგანიზაცია „გოუ“ შეიქმნა. ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა, დემოკრატიული ძალები მოღონიერდნენ, მემამულურ-ბურჟუაზიული დიქტატურის რეჟიმი კი შესუსტდა. სწორედ ეს გამოიყენეს თავიანთ სასარგებლოდ სამხედრო თავკაცებმა, გენერლებმა: არტურო როუსონმა, პედრო პაბლო რამირესმა, ედელმირო ფარელმა და პოლკოვნიკმა ხუან დომინგო პერონმა — 1943 წლის ივნისში სამხედრო გადატრიალება მოახდინეს და 1940-ის ივნისიდან დროებით პრეზიდენტად მყოფი რამონ კასტილიო გააძევეს.

ჩამოთვლილი ოთხეულიდან ჯერ გენერლების რიგი იდგა: ივნისივლისში სამხედრო ხუნტის სათავეში როუსონი მოექცა, ივლისიდან 1944 წლის თებერვალამდე რამირესი პრეზიდენტობდა, შემდეგ ფარელი და... დადგა პოლკოვნიკ პერონის ჯერიც, რომელსაც რამდენიმე თანამდებობა ჰქონდა: სამხედრო მინისტრისა, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრისა, ვიცე-პრეზიდენტისა...

არადა, ასე რომ მოხდებოდა, გასაკვირი არც არის. საქმე ის არის, რომ „გოუს“ სათავეში პერონი მყარად იდგა, „გოუ“ კი ის დაჯგუფება გახლდათ, რომელმაც არა მარტო სამხედრო წესრიგი დანერგა, არამედ განსაზღვრავდა კიდეც, ვინ უნდა ყოფილიყო „კასა როსადას“ („ვარდისფერი სახლის“) — პრეზიდენტის სასახლის პატრონი. მის დასაუფლებლად გაფაციცებული პოლკოვნიკი თანამზრახველ გენერლებს ერთმანეთზე აქეზებდა... შრომის მინისტრობის დროს მან ისიც კი მოახერხა, რომ ერთიან ორგანიზმად გადაექცია პროფკავშირები (რომლის ძალაც კარგად შეიგნო) და შეიარაღებული ძალები.

...მაგრამ პრეზიდენტის სკამამდე წინ ჯერ კიდევ ეკლიანი გზა იყო, ამ გზას კი ჯერ ციხის კარამდე უნდა მიეყვანა...

1945 წლის ოქტომბერში სამხედრო რეჟიმი დაამხეს სამოქალაქო პოლიტიკოსებმა, რომლებიც კონსტიტუციური მართლწესრიგის აღდგენას შეეცადნენ. მათ ისიც კი მოახერხეს, რომ პერონი და მისი თანამზრახველები დააპატიმრეს და მარტინ-გარსიას ციხეკუნძულზე უკრეს თავი... ლათინურ ამერიკაში ასეთი რამ ხშირად ხდება!

სწორედ ამ დროს გამოჩნდა სცენაზე ახალგაზრდა და ლამაზი ქალი — მარია ევიტა დუარტე — „რადიო ბელგრანოს“ დიქტორი, რომელსაც საღამოობით მიჰყავდა გადაცემები რუბრიკით „ხუთი წუთი ხალხისათვის“. ევიტას ხმას მილიონობით არგენტინელი სასოებით უსმენდა და ეთაყვანებოდა ღარიბი ფენების მოსარჩლეს, მდიდართა მოძულეს... თავისი რადიოგამოსვლებით მან ასიათასობით არგენტინელი დარაზმა პერონის დასახმარებლად და ციხიდან გამოსახსნელად. მართლაც, პროფკავშირებმა „არა“ სტკიცეს ახალმოვლენილ სამოქალაქო რეჟიმს და სულ რამდენიმე დღეში პერონმა ციხე დატოვა... უკვე ქვეყნის პირველი პირის რანგში... აი, ასეთი რამ კი არც არგენტინაში და არც ლათინურ ამერიკაში მანამდე არც მომხდარიყო და არც არავის ეხილა!


მოსახლეობის გულის მოსაგებად პერონმა მსოფლიოში პირველმა შემოიღო მეცამეტე ხელფასი

17 ოქტომბერს, გათავისუფლების პირველივე ღამეს, ხუან დომინგო პერონი „კასა როსადას“ აივანზე გამოდგა, ხალხის თვალწინ სამოქალაქო კოსტიუმი გაიძრო და პერანგის სახელოები აიკაპიწა:

— მე თქვენიანი ვარ! მე ჩემს ხალხთან ერთად ვარ! მე არგენტინელებს ბედნიერებას მოვუტან! მე თქვენ სამართლიანობას დაგიბრუნებთ!..

პერონს არავინ უსმენდა, ყველა შიშველ მაჯებზე მისჩერებოდა, არგენტინელებისთვის ხომ ქუჩაში უპიჯაკოდ და უჰალსტუხოდ გამოჩენა, თუნდაც სიცხეში, წარმოუდგენელი იყო... არა, ეს უკვე კლასობრივი კუთვნილების რაღაც ნიშანი იყო და მაშინ ყველამ ირწმუნა, რომ პრეზიდენტის სასახლის ახალი მასპინძელი თავიანთი კაცი იყო.

სხვათა შორის, პოლკოვნიკმა პერონმა „პიჯაკის ნომერი“ კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა. იმჯერად კი, პირველი შთაბეჭდილების მოხდენის კვალდაკვალ, რამდენიმე დღეში ჯვარი დაიწერა ევიტაზე, 1946 წლის თებერვალში ტრიუმფულად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში და „კასა როსადაში“ კანონიერი მეუღლის სახით შეაბრძანა. პერონი 50 წლისა იყო, ევიტა — 25-ისა.

მათი ბიოგრაფები ვარაუდობენ, რომ ისინი ერთმანეთს 1943 წლის იანვარში შეხვდნენ, რამდენიმე დღე ერთად გაატარეს და შეყვარებულებად დაშორდნენ. იყვნენ ისეთებიც, დარწმუნებულნი რომ იყვნენ პოლკოვნიკი მინისტრის ჰომოსექსუალობაში და ჩაფლავებული მსახიობის ლესბოსურ ორიენტაციაში. სხვები, პირიქით, ევიტას მეძავად და მოტრფიალე ნიმფად მიიჩნევდნენ, კლანჭებში რომ მოიქცია პერსპექტიული ქვრივი ოფიცერი (პირველი მეუღლე არმინდა ფერკესი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და უდედმამოთა სახლიდან ნაშვილებ გოგონას ზრდიდა). ამიტომ ზოგს მათი კავშირი პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ცივი ანგარიშის შედეგი ეგონა, ზოგიც მასში ლამაზი ქალის რომანტიკულ სასიყვარულო ისტორიას ხედავდა...

...მაშ, ასე: 1946 წელს პერონმა პრეზიდენტის სავარძელიც დაისაკუთრა, მინიატიურული (სიმაღლე — ერთი მეტრი და 55 სანტიმეტრი) ულამაზესი მეუღლეც დაისვა და იმავე წელს პოლკოვნიკის ცისფერი მუნდირიც გადაცვალა გენერლის თოვლივით ქათქათა ფერისაზე.

პრეზიდენტი პერონი და მისი მთავრობა სავსებით შეგნებულად წავიდნენ ზოგიერთ დათმობაზე, რადგან იგრძნობოდა ოპოზიციის გაძლიერება და დემოკრატიული ტენდენციების ზრდა. კერძოდ, პერონმა მოახდინა ეკონომიკის ზოგიერთი დარგის ნაციონალიზაცია, გონივრული ღონისძიებები გაატარა მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, შემოიღო მეცამეტე ხელფასი (პირველად მსოფლიოში!), ანაზღაურებული შვებულება, სამედიცინო დაზღვევა, მათი შრომითი უფლებების საიმედო დაცვა პროფკავშირების მიერ (რაც ამ უკანასკნელის პოზიციას ამყარებდა ქვეყანაში). ცხოვრებაში ამ ყველაფრის გასატარებლად ხუთწლედების შემუშავებასაც ვარაუდობდა.

პრეზიდენტის გეგმებს საფუძვლად ედო დოქტრინა, რომელსაც „პერონიზმი“ ეწოდა. მისი სამოქმედო პროგრამა იმედს უჩენდა მოსახლეობის ღარიბ ფენებს, რადგან ისახებოდა ცხოვრების დონის

ეროვნული ბიბლიოთეკა



„პერონი ასრულებს" — ეს ლოზუნგი ევიტამ მოიგონა

თანდათანობითი ამაღლების ტენდენცია.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს და უფრო კი ომისშემდგომ წლებში არგენტინაში შედინება დაიწყო მილიონობით დოლარის მდინარეებმა. მშიერი და დანგრეული ევროპა არგენტინისაგან ითხოვდა ხორცს, ხორბალს, სამრეწველო ნედლეულს. ეს კი, თავის მხრივ, მხრებში შლიდა და სტიმულს აძლევდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათ ახალი სამუშაო ძალა ესაჭიროებოდათ. ცნება „უმუშევრობა" დავიწყებას მიეცა.

პრეზიდენტი პერონი ანტიიმპერიალისტური და ნაციონალისტური ლოზუნგებით გამოდიოდა. იმ პერიოდში ყველაზე პოპულარული იყო ევიტას მოფიქრებული ლოზუნგი — „პერონი ასრულებს!" რას ასრულებს, როგორ, რატომ? — არავინ იცოდა. მთავარი იყო, ცხოვრება გახალისდა. ასრულებს, ე. ი. ყველაფერი კარგადაა. პრეზიდენტის მიერ შექმნილმა პერონისტულმა პარტიამ ახალი სახელი დაირქვა „ხუსტისიალური" (ესპანური სიტყვიდან „ხუსტისია" — „სამართლიანობა"). პრეზიდენტს, მის მეუღლესა და მათ მომხრეებს ეჩვენებოდათ, რომ ხუსტისიალიზმი რაღაც მესამე, საშუალედო გზა იყო კომუნიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

...ამასობაში მოახლოვდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები: 1951 წლის 11 ნოემბერი. მართალია, ქვეყანა თანდათან ისევ მოიცვა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ღრმა კრიზისმა, ხუთწლიანი გეგმაც შეუსრულებელი დარჩა, მაგრამ პერონმა მაინც „მოახერხა" მეორე ვადით გაპრეზიდენტება. მოახერხა, რადგანაც არმიამ და პოლიციამ ოპოზიციას გადაუარა, მიმდინარეობდა ყბადაღებული ნაციონალისტური პროპაგანდა, დედაქალაქის ქუჩებში გუგუნებდნენ პოლიციის მანქანები და ფეთქდებოდა ცრემლსადენი ყუმბარები... პრეზიდენტის ცრუდაპირებები ნაბოდვარს ჩამოჰგავდა. მართლაც, აბა, ვინ დაუჯერებდა იმას, რომ 1954 წლისათვის ქვეყნის ქალაქების ქუჩებში გამოჩნდებოდა ტრამვაი-ავტომავლები, ხოლო არგენტინის განდიდების გარანტია წყალბადის ბომბი გახდებოდა.

პერონისეული რეჟიმის აგონია მაინც გაჭიანურდა სამწლინახევრის მანძილზე, ბოლოს პიკს მიაღწია და 1955 წლის სექტემბერში დაემხო. პერონმა თავს გაქცევით უშველა და ესპანეთში თან გაიყოლა გასულ წელს მოურჩენელი სენით გარდაცვლილი მეუღლის დაბალზამებული ცხედრის დარდი (სამშობლოში მისი დასაფლავების ნება გამწარებულმა საზოგადოებამ არ მისცა). იქ, მადრიდში, თავისი ბებერი მასწავლებლის, გენერალისიმუსი ფრანკოს სტუმართმოყვარეობით ისარგებლა და თითქმის 18 წელი გაატარა მის კარზე... ემიგრაციაში მძიმე ყოფა ახალმა მეუღლემ, ბალერინა მარია ესტელა მარტინესმა შეუმსუბუქა. ისიც, პირველი მეუღლის დარად, საკმაოდ ენერგიული და შორსმჭვრეტელი ქალბატონი გამოდგა, საიდუმლო მისიით ხშირად ეწვეოდა ხოლმე არგენტინას (ფაქტობრივად, პერონის ემისრობას კისრულობდა) და ნიადაგს ამზადებდა ექსპრეზიდენტი მეუღლის მშობლიურ ქვეყანაში დასაბრუნებლად.

ლტოლვილ პრეზიდენტს ერთხელ საგანგებო მისიით ეწვია არგენტინის ელჩი და გადასცა. სარკოფაგი ყოფილი მეუღლის ცხედრით (პერონის დამამხობელმა სამხედროებმა თავის დროზე განსვენებულის სხეული მარტინ-გარსიას კუნძულზე გადაგზავნეს, სადაც განთავსებული იყო ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური არგენტინული ციხე, რამდენიმე დღით იქ თვით პერონიც გამოამწყვდიეს. სარკოფაგი იქიდან იტალიაში აღმოჩნდა და ასე „მოგზაურობდა", სანამ ჭირისუფალს არ ჩააბარეს). არგენტინელი მორიგი სამხედრო დიქტატორი ამ ჟესტით 76 წლის უკვე დაძაბუნებულ დონ ხუან დომინგოს მიანიშნებდა, რომ შეეძლო დაბრუნებულიყო სამშობლოში და თვით „კასა როსადაშიც" კი.

პერონი მართლაც დაბრუნდა, რათა კვლავ გამხდარიყო არგენტინის პრეზიდენტი 1973 წლის 23 სექტემბერს; ანუ ზუსტად 18 წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც ოლიმპიდან ჩამოაბრძანეს. თუმცა მანამდე, წლის დასაწყისში, 11 მარტს არგენტინაში ჩატარებულ არჩევნებში პერონისტული პარტიის კანდიდატმა ჰექტორ კამპორამ გაიმარჯვა, მაგრამ ივლისში იგი გადადგა და ხელისუფლებისაკენ გზა გაუხსნა ხუსტისიალური ფრონტის ლიდერს, 78 წლის ხუან დომინგო პერონს. არჩევნებში მან ხმათა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა (62% მიიღო).

და ის, რაც ადრე ვერ მოახერხა მარია ევიტა დუარტე დე პერონმა, ამჯერად შეძლო ისაბელამ — ვიცე-პრეზიდენტის პოსტი გამოსტყუა მეუღლეს...

მეორეჯერ გაპრეზიდენტებული პერონი კვლავ შეუდგა ურთულესი აღმართის დაძლევას — ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების მოწესრიგებას, მაგრამ აღმართი ვეღარ დასძლია, რადგანაც ჯანმა უმტყუნა. ერთი წელიც არ გასულიყო, რომ 1974 წლის 1-ელ ივლისს გულის ძგერა შეუწყდა.

პრეზიდენტის გამოთავისუფლებული პოსტი სენიორა ისაბელამ დაიკავა, როგორც კონსტიტუციურმა მემკვიდრემ და ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოების ისტორიაში პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა.

ახალ პრეზიდენტს მუდამ თან სდევდა სამხედრო გადატრიალებათა შიში და ამის გამო ქვეყნის დედაქალაქიდან, ბუენოს-აირესიდან, ფეხს არ იდგამდა, სხვა ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტების დროსაც თავის წარმომადგენლებს გზავნიდა... ესოდენი სიფრთხილისა და მცდელობის მიუხედავად, გენერალი პრეზიდენტის ქვრივი მაინც ვერ გადაურჩა სამხედრო შეამბოხეთა მორიგ გამოხდომას და 1976 წლის მარტში დააპატიმრეს.

სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, რაც მან გაპრეზიდენტებისთანავე მიიღო, ის იყო, რომ ევიტა დე პერონის ცხედრის ესპანეთიდან არგენტინაში გადმოსვენება ბრძანა. სარკოფაგი შემოდგომაზე ჩამოასვენეს... იმჟამად „კასა როსადას" — პრეზიდენტის რეზიდენციას — გარს ერტყა მაღალი, წითელი აგურით ნაგები გალავანი, რომელიც დიდი კარიბჭით მთავრდებოდა, გადაკეტილ შლაგბაუმთან კი ავტომატებით შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ... რეზიდენციის დიდი ეზოს შორეულ კუთხეში მოჩანდა დაბალი, მრგვალი შენობა — ხუან დომინგო პერონისა და მისი მეუღლის მავზოლეუმი. დიდი მოაჯირის ქვემოთ, ღრმა ოვალურ დარბაზში იდგა ორი სარკოფაგი. ერთზე, თავდახურულზე, ეწყო გენერლის პირადი ნივთები — ქუდი და ხმალი, მეორეში კი, თავახდილში, ესვენა ევიტა პერონის დაბალზამებული ცხედარი...

შორსმჭვრეტელი მარია ესტელა ოცნების თვალით ალბათ მესამე განსასვენებელსაც ხედავდა პერონების საოჯახო მავზოლეუმში, მაგრამ... საკითხავია, ცოცხალი თუ გადაურჩა თავისი ხელისუფლების დამამხობლებს.

ისე კი, პერონიზმი აქამდეც ცოცხლობს არგენტინაში. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანას სწორედ პერონისტები მართავდნენ — კარლოს საულ მენემი ზედიზედ ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად. მერე რა, რომ სირიელი ემიგრანტი მუსლიმანის ოჯახში დაიბადა (და მეუღლეც სირიელი ჰყავს). მთავარი ის არის, რომ კათოლიკე მენემი პერონისტია (1976-83 წლების სამხედრო ხუნტამ 5 წელი ციხეში სწორედ პერონისტობის გამო გაატარებინა).

იმედია, პერონისტების დროშა მომავალშიც არაერთხელ აფრიალდება „კასა როსადას" თავზე, არგენტინული მწველი მზით გაჩახჩახებულ ცაში.

მოამზადა
ამირან ტალახაძე

# ქართული არმიის პირველი ავტომობილები

ყველაზე გავრცელებული და მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალების ავტომობილის შექმნას დიდი დრო და ბევრი ნიჭიერი გამომგონებლის დაუღალავი შრომა დასჭირდა. მათ შორის გამორჩეული ადგილი ორ გერმანელს, კარლ ბენცსა და გოტლიბ დაიმლერს უკავია.

კარლ ბენცს შიგაწვის ძრავით აღჭურვილი სამთვლიანი ავტომობილის შექმნისათვის 1886 წლის 29 იანვარს სათანადო პატენტი გადაეცა. გოტლიბ დაიმლერმა 1885 წელს შიგაწვის ძრავით ჯერ მოტოციკლეტი, ხოლო მომდევნო წელს კი ავტომობილი აღჭურვა. ორივემ საკუთარი კონსტრუქციის ავტომობილი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შექმნა, გამოსცადა და ქარხნულად წარმოების დაწყება შეძლო, რაც იმ დროში ცოტას არ ნიშნავდა.

შიგაწვის ძრავამ ავტომობილს მრავალმხრივი გამოყენებისათვის ფართო პერსპექტივა შეუქმნა. სატრანსპორტო დანიშნულებასთან ერთად სათანადოდ აღჭურვილ ავტომობილს მანევრული და ეფექტიანი საცეცხლე საშუალების თვისება მიენიჭა.



სატვირთო ავტომობილი „უაიტი" 1918 წ.

იდეას ინგლისელმა ფრედერიკ რობერტ სიმსმა 1902 წელს შეასხა ხორცი. სიმსმა სატვირთო ავტომობილის შასი ჯავშანფურცლებით შემოსა, ზემოდან, ღია კორპუსში, ორი ტყვიამფრქვევი და ბრძოლის ველის დასაკვირვებლად სპეციალური პერისკოპი დაუყენა.

იმავე წელს ფრანგულმა ფირმამ „შარონ, ჟირარდო და ვუამ" ნაწილობრივ დაჯავშნული და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული ავტომობილების აწყობა დაიწყო. ფრანგული ჯავშანავტომობილები მალე მაროკოში აჯანყებულთა წინააღმდეგ რეალურ პირობებში გამოიცადა, მაგრამ კონსტრუქციული ხარვეზების გამო სამხედროების მოწონება არ დაიმსახურა.

XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და ამერიკაში ყოველწლიურად ათასობით ავტომობილი მზადდებოდა, რუსეთში საავტომობილო მრეწველობა საერთოდ არ არსებობდა. საკუთარი წარმოების განვითარებას რუსეთი ავტომობილების გერმანიიდან, ავსტრია-უნგრეთიდან, საფრანგეთიდან და ბელგიიდან შემოყვანას ამჯობინებდა. თუმცა ენთუზიასტი და ნიჭიერი ადამიანების მონდომებით ტექნიკური პროგრესისათვის კუდში მიყოლა მაინც ხერხდებოდა.

ასეთ ადამიანთა შორის აღმოჩნდა თავადი მიხეილ ნაკაშიძე. 1902 წელს ნაკაშიძემ ვარშავაში დააარსა გარაჟი სახელწოდებით „ინტერნაციონალი" და მძღოლთა მოსამზადებელი სკოლა გახსნა. იმავე წელს გამოსცა წიგნი „ავტომობილი, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის". წიგნი არმიაში ავტომობილების გამოყენების პროპაგანდასთან ერთად კავკასიის პირობებში ავტომობილის უპირატესობას ასაბუთებდა.

მისი, როგორც კონსტრუქტორის შესაძლებლობები რუსეთ-იაპონიის ომში გამოჩნდა. 1904 წელს ციმბირელ კაზაკთა კორპუსის პოდიასაული ნაკაშიძე სამხედრო სამსახურს მანჯურიაში შეუდგა. საომარმა მოქმედებებმა ის დაჯავშნული ავტომობილის აუცილებლობაში დაარწმუნა და ომის დამთავრებისას შესაბამისი პროექტი მანჯურიის არმიის სარდალს, გენერალ ლინევიჩს წარუდგინა.

პროექტი მოიწონეს, მაგრამ რუსეთში მისი დამზადებისათვის საჭირო პირობები არ არსებობდა და შეკვეთა ფრანგულ ფირმა „შარონ, ჟირარდო და ვუას" გადაეცა.

1905 წელს ფრანგებმა ნაკაშიძის კონსტრუქციის ორი დაჯავშნული ავტომობილი დაამზადეს. ერთი საფრანგეთში დარჩა, მეორე რუსეთს გადმოეცა. ავტომობილი 4,5 მმ სისქის ჯავშანფურცლებით იყო შემოსილი, რომელიც ხუთკაციან ეკიპაჟს ტყვიებისა და ყუმბარის ნამსხვრევებისაგან იცავდა. ნაკაშიძემ პირველმა გამოიყენა 360 გრადუსით



ავტომობილმა „სპა"-მ, რომელიც ჯარების მთავარსარდალს ემსახურებოდა, „მოლვაწეობა" სტამბოლში, ტაქსად გააგრძელა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრავი კოშკურა 8 მმ-იანი „გოჩკისის“ სისტემის ტყვიამფრქვევით. გათვალისწინებული იყო მეორე სათადარიგო ტყვიამფრქვევიც. თვლების მანებს დაჯავშნული თალფაქები ფარავდა, ხოლო უკამერო საბურავები მთლიანად რეზინისაგან მზადდებოდა.

1905 წლის დამდეგს ჯავშნავტომობილი რუსეთში ჩაიტანეს და მომდევნო წელს საცდელი გარბენი ჩაუტარდა. გამოცდისას ავტომობილმა რამდენიმე ასეული კილომეტრი მყარსაფარიან გრუნტის გზებსა და მოხნულზე გაიარა. ტყვიამფრქვევი პოლიგონზე მოძრაობის დროს და ადგილიდან სროლაში შემოწმდა.

კომისიამ ჯავშნავტომობილი მოიწონა და ჩათვალა, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდა დაზვერვაში, მეკავშირედ, კავალერისტთა შეტევის შესაჩერებლად და კონტრშეტევაზე გადასვლის დროს.

გენერალურმა შტაბმა ჯავშნავტომობილის კონსტრუქციის გასაუმჯობესებლად შენიშვნები გამოთქვა. პეტერბურგთან მდებარე იჟორის ქარხანაში საცდელი პარტიის 11 ავტომობილის დამზადება გადაწყდა, მაგრამ ქარხანა საზღვაო შეკვეთებით დატვირთული აღმოჩნდა და შეკვეთა ისევ ფრანგულ ფირმას გადაეცა.

ნაკაშიძის ჯავშნავტომობილის ტექნიკური მონაცემებია: საბრძოლო მასა 2,95 ტონა; ბენზინის ოთხცილინდრიანი ძრავა სიმძლავრით 37 ცხ. ძ.; სიჩქარე 50 კმ/სთ-ში; წამყვანი უკანა ხიდი იყო.

1906-11 წლებში ფრანგებმა 11 ჯავშნავტომობილი დაამზადეს, მაგრამ რუსეთამდე მხოლოდ რვამ მიაღწია. სამი მათგანი გერმანიაში დარჩა. ზოგიერთი მონაცემით, ნაკაშიძის ჯავშნავტომობილები რუსეთის არმიამ ბალტიისპირეთში გლეხთა გამოსვლების წინააღმდეგ გამოიყენა.

ქართველი გამომგონებლის ჯავშნავტომობილმა მაშინვე გამოიწვია ესპანეთის, რუმინეთის, თურქეთის, იაპონიისა და არგენტინის მთავრობების დაინტერესება.

ათი წლის შემდეგ, 1915 წლის 15 მარტს, ფერნარდ შარონმა რუსეთის სამხედრო მინისტრს წერილით მიმართა და სთხოვა ეცნობებინა, დაჯავშნული ავტომობილები, რომელთაც რუსეთის არმია წარმატებით იყენებდა, იყო თუ არა ის, რომელიც მან 1905 წელს მანჯურიის ომის დროს დაამზადა. წერილის ბოლოს შარონი წერდა: „ჩვენ მივაწოდეთ რუსეთის მთავრობას რამდენიმე მანქანა, რომლის პირველი ეგზემპლარი გამოცდილი იყო მისი უდიდებულესობის თანდასწრებით. მადლიერი დავრჩებოდით, თუ მაცნობებდით, გამოდგა თუ არა ის მანქანები იმ ჯავშნოსანთა ასაგებ ნიმუშად, რომლებსაც დღეს რუსეთის არმია იყენებს“.

ასეთი ინტერესი ფრანგებს არ გაუჩნდებოდათ, ნაკაშიძის კონსტრუქციის ჯავშნავტომობილი ევროპაში იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო რომ არ ყოფილიყო.

რუსეთის სამხედრო სამინისტრო ყოველ სიახლეს კონსერვატიულად უყურებდა და გამონაკლისი არც ავტომობილებზე გაკეთდა, საავტომობილო ტექნიკის დიდი ნაკლებობა კი სიძნელეებს ისევ არმიას უქმნიდა.

პირველად და საჯაროდ ამ პრობლემაზე რუსეთის არმიის გენერალური შტაბი 1910 წლის 27 მარტის სამხედრო საბჭოსათვის გაგზავნილ მოხსენებაში ლაპარაკობს. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ ჯარებში სიმძიმეების გადასაზიდად მექანიკური ძრავების სწრაფი ტემპებით სრულყოფა-გავრცელება მრავალრიცხოვანი ალალის შეცვლას გამოიწვევდა.

მოხსენების განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ რუსეთის ევროპულ ნაწილსა და კავკასიაში ტრანსპორტით მომსახურებისათვის რკინიგზის ბატალიონებთან 5 საავტომობილო ასეული შეიქმნებოდა. შტატით თითოეულში 4 მოტოციკლეტი, 55 სატვირთო და 14 დამხმარე დანიშნულების ავტომობილი, ხოლო პირადი შემადგენლობა 4 ოფიცრითა და 150 ჯარისკაცით განისაზღვრა. საავტომობილო საქმის განვითარებისათვის პეტერბურგში 1910 წლის 29 მაისს სასწავლო საავტომობილო ასეული ჩამოყალიბდა.

სასწავლო ასეული საავტომობილო ქვედანაყოფების სპეციალისტთა მომზადებასთან ერთად ადგენდა არმიაში მისაღები ავტომობილების ტექნიკურ პირობებს, იღებდა და გამოცდას უტარებდა საავტომობილო ტექნიკას, რითაც ერთგვარად საკვლევ ცენტრს წარმოადგენდა.

ავტომობილების გამოსაცდელად სხვადასხვა კლიმატური პირობების გათვალისწინებით გრძელ მანძილებზე გადარბენები ეწყობოდა. 1914 წლის ზაფხულში დიდი გადარბენა დაიგეგმა, რომელიც სტარტს მოსკოვიდან თბილისის მიმართულებით აიღებდა. შემდეგ ავტომობილები კავკასია-ყირიმის სანაპიროს გაივლიდნენ და მოგზაურობას ოდესაში დაასრულებდნენ. I მსოფლიო ომის მოახლოებამ გადარბენის ორგანიზატორებს ჩანაფიქრის შესრულებაზე უარი ათქმევინა.

მსოფლიო ომს რუსეთის არმია 348 ავტომობილით შეხვდა და საავტომობილო ტექნიკა სასწრაფოდ საზღვარგარეთ შესაძენი გახდა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც 1914 წლის 8 სექტემბრის ლონდონში ჩავიდა.

კომისიის შემადგენლობაში შედიოდა პეტერბურგის სასწავლო საავტომობილო ასეულის სახელოსნოს უფროსი შტაბს-კაპიტანი ვლადიმერ მღებრიშვილი. მისი სამხედრო კარიერა კავკასიის I რკინიგზის ბატალიონის ავტოასეულიდან დაიწყო და როგორც საავტომობილო საქმის კარგმა მცოდნემ და სპეციალისტმა 1912 წლიდან სამსახური პეტერბურგში გააგრძელა.

კომისიამ სხვადასხვა ფირმის 1216 ავტომობილი შეარჩია. მათ შორის იყო 212 „ოსტინი“, 198 „პაკარდი“, 140 „პაროფორდი“, 121 „ნეპირი“ და ა.შ. შედარებით ნაკლები იყო „სიდლეი-ლეზი“, „უაიტი“, „ფიატი“, „რენო“ და სხვები. შესყიდულ ტექნიკაში იყო ტრაქტორები, ცისტერნები, ავტომობილები სანიტარული, სახელოსნო და სამზარეულოს ძარებით. ავტომობილების ერთი ნაწილი კავკასიაში გამოიგზავნა.

რამდენიმე ფირმას ავტომობილების დაჯავშნის თხოვნა გადაეცა, მაგრამ თანხმობა მხოლოდ „ოსტინმა“ გამოთქვა. „ოსტინის“ ქარხანაში დაჯავშნული 48 ავტომობილი რუსეთში 1915 წლის იანვარში ჩამოვიდა.

ჯავშნავტომობილებით რუსეთის არმიის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად პეტროგრადის ქარხნები 1,5 ტონის სატვირთო „ოსტინისა“ და „ფიატის“ 1915 წლის მოდელის დაჯავშნაზე გადავიდნენ. ორივე ჯავშნავტომობილი „მაქსიმის“ 2 ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი. პირველი „ოსტინ-პუტილოვეცის“ სახელით არის ცნობილი. გამოშვებულია 200-ზე მეტი ერთეული, საიდანაც რამდენიმე კავკასიის არმიას გადაეცა.

ამავე პერიოდში ჯავშნავტომობილის საინტერესო კონსტრუქცია შექმნა ვლადიმერ მღებრიშვილმა, რისთვისაც ბაზად „რენოს“ შასი გამოიყენა. „რენო“ ორიგინალური კომპანირებით გამოირჩეოდა. რადიატორი ძრავის უკან თავსდებოდა და ამ თავისებურების გათვალისწინებით ავტომობილის ცხვირის ჯავშანფურცლებს დახრის დიდი კუთხე მიეცა, რითაც ტყვიამედეგობა გაიზარდა. ძირითადი



ყველაზე გავრცელებული ავტომობილი „ფორდ ტ“

ეროვნული ბიბლიოთეკა



სატვირთო „პირს - ეროუ“



ჯავშანავტომობილი „ფიატის“ შასიზე

კოშკურის თავზე დამატებით სპეციალური სამეთაურო კოშკურის დაყენებით ბრძოლის ველის დაკვირვება ბევრად გაუმჯობესდა. წამყვანად ისევ უკანა ხიდი რჩებოდა.

ჯავშნავტომობილს 1915 წლიდან იჟორის ქარხანა უშვებდა. 1916 წლის გაზაფხულზე პირველი პარტია, 16 ავტომობილი გერმანიის ფრონტზე გაიგზავნა.

ტექნიკური მონაცემებია: წონა 3,5 ტონა; ეკიპაჟი 3 კაცი; ბენზინის 4-ცილინდრიანი ძრავა სიმძლავრით 75 ცხ.ძ.; სიჩქარე 40 კმ/სთ-ში; შეიარაღებაში 1 ტყვიამფრქვევი შედიოდა;

მლებრიშვილს ეკუთვნის „უაიტის“ შასზე შექმნილი ჯავშნავტომობილი ორი ტყვიამფრქვევით. მუშაობდა ასევე ტყვიაგამძლე მინის მიღებაზეც. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ადამიანი 1915 წელს ფრონტზე დაიღუპა.

კავკასიაში მიმდინარე ბრძოლების დროს რუსეთის არმია საბრძოლო და უზრუნველყოფის საშუალებათა ტრანსპორტირებისას ბევრ სიძნელეს ხვდებოდა. მთებში ცხენშებმული ალალებით ტვირთის ზიდვა, განსაკუთრებით ზამთარში, 30-40 გრადუსი ყინვის დროს, ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. ხშირი იყო ცხენების დავარდნის შემთხვევები და მაშინ ჯარისკაცებს ტვირთის ხელით გადატანა უწევდათ.

ასეთ პირობებში ავტომობილი შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალება ხდებოდა, თუმცა ნაკლი მასაც ჰქონდა – მაშინდელი ავტომობილები ჯაყჯაყა და მოძრაობის დროს ძალზე ხმაურიანი იყო, ხოლო მართვა დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვდა. კაბინები ხშირ შემთხვევაში ღია ან ნახევრად ღია ტიპის იყო. უამინდობის დროს მძღოლის თავზე ხისტი სახიხი დგებოდა ან ლვედებით ტენტი იჭიმებოდა, უკეთეს შემთხვევაში გადასაწევი სახურავი-გარმონი იშლებოდა. დიდი იყო საწვავისა და ზეთის ხარჯი, ხოლო ცალკეული აგრეგატი არასაიმედო. ავტომობილების მწყობრიდან გამოსვლას გზების ცუდი სავარიც ხელს უწყობდა. მძღოლებს რეკომენდაცია ეძლეოდათ, მყარსავარიანიდან გრუნტის გზებზე უკიდურეს შემთხვევაში გადაეხვიათ, როცა ეს სამხედრო საჭიროებით იქნებოდა გამოწვეული.

რუსეთის არმია კავკასიაში ტვირთის გადასატანად მცირე რაოდენობით სატვირთო „უაიტებსა“ და „ბენცებს“ იყენებდა. მსუბუქი ავტომობილების ნაკლებობის შესავსებად მობილიზაცია გამოცხადდა და არმიას სამოქალაქო პირთა მანქანები დაემატა. მათ შორის აღმოჩნდა „ბრაზიე“, „პრიამუსი“, „სტუდებეკერი“, „ფიატი“, „ადლერი“, „ფორდი“, „ლაურინ და კლემენტი“ და სხვ. ავტომობილები 2-6 კაცს იტევდა და უმაღლესი რანგის სამხედროებს ემსახურებოდა.

ჯავშნავტომობილებიდან ბრძოლებში რამდენიმე „ოსტინ-პუტილოვეცმა“ და შეჯავშნულმა „ბენცმა“ მიიღო მონაწილეობა.

ომის ბოლოს ჯავშნავტომობილებმა ჯარების სრული ნდობა დაიმსახურეს, განსაკუთრებით შეტევის დროს, როცა ქვეით ნაწილებს საცეცხლე მხარდაჭერას უწევდნენ, მაგრამ ავტომობილების სავალი ნაწილი, ჯავშანი და შეიარაღება მეტ საიმედოობას მოითხოვდა.

რუსეთში რევოლუციების შემდეგ კავკასიის არმიის საავტომობილო ტექნიკისა და ჯავშნავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს დარჩა.

ახალშექმნილ ქართულ არმიაში სატექნიკურ-საინჟინრო ჯარების შემადგენლობაში საავტომობილო და ჯავშნავტომობილების ასეულები (გუნდები) ჩამოყალიბდა. სამხედრო მინისტრის ბრძანებით, 1918 წლის სექტემბერში, ორივე ასეულში 25 ოფიცერი დაინიშნა. ასეულები თბილისში განთავსდა.

1918 წლის 10 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე ქართული არმიის პირველ პარადში სხვადასხვა ნაწილთან ერთად საავტომობილო ასეულიც მონაწილეობდა.

პრობლემად რჩებოდა ეროვნული კადრების სიმცირე. ავტონაწილებში ბევრი რუსი, სომეხი, პოლონელი, გერმანელი და ნაკლებად ქართველი მსახურობდა.

საქართველოდან გერმანიის ჯარების გასვლის შემდეგ გერმანელთა საავტომობილო გუნდის უფროსი თეოდორ შირვიცი ქართულ ჯარში გადმოვიდა და საავტომობილო ასეულს სათავეში ჩაუდგა. ქართველი სამხედროები მას კეთილსინდისიერ და საქმის მცოდნე ადამიანად ახასიათებდნენ.

ავტომობილები ჰყავდა საავიაციო გუნდსაც, რომელსაც შტატით 4 სატვირთო, 4 მსუბუქი და თითი-თითო სპეცდანიშნულების, ცისტერნა, სახელოსნო და სანიტარული ავტომობილი, აგრეთვე 4 მოტოციკლეტი ეკუთვნოდა.

ავტოასეულის სათადარიგო ნაწილებითა და სხვადასხვა მასალით მომარაგება მთლიანად გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებაზე იყო დამოკიდებული.

1919 წლის ივნისში გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილებაში ავტოასეულმა 170 დასახელების ნაწილსა და მასალაზე გააკეთა განაცხადი. მათ შორის იყო ალუმინი, აზბესტის ფურცლები, ბაბიტი, ქანჩები, ჭანჭიკები, თუნუქის ფურცლები, ლურსმანი, კანიფოლი, სხვადასხვა მჟავა, საბურავები, კამერები და სხვ.

სამხედროების არაერთი მიმართვის მიუხედავად გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება განაცხადზე ან უარს ეუბნებოდა, ან ნაღდ ფულს მოითხოვდა. თუ რამე გაიცემოდა, ისიც მცირე რაოდენობით. ეს მაშინ, როცა კერძო პირებზე შეუფერხებლად ყიდიდნენ.

პრობლემა მოგვიანებით მოგვარდა, როცა მთავრობის 1920 წლის 7 თებერვლის განკარგულებით სატრანსპორტო საზოგადოებას სამხედრო უწყებისათვის საჭირო საავტომობილო ქონების გადაცემა დაევალა.

განკარგულება არსებობდა, მაგრამ ქონების გადაცემა ჭიანურდებოდა, რაც საავტომობილო საქმეს აზარალებდა.

1919 წლის შემოდგომაზე მიღებულ ქართული არმიის სტრუქტურაში ისევ დარჩა სატრანსპორტო ავტომობილების ასეული მძღოლების სკოლით და ჯავშნავტომობილების რაზმი. ჯავშნოსანი ავტომობილების დანაყოფი გვარდიასაც ჰყავდა.

ავტონაწილების დაფინანსების გასაუმჯობესებლად შემოღებულ იქნა სატვირთო ავტომობილების იჯარით გაცემის წესი. საინტერესოა 1919 წლის 30 აგვისტოს სამხედრო საბჭოს სხდომის დოკუმენტი, სადაც არსენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კოოპერატივის წარმომადგენელს ინჟინერ გიჟიმყრელს „მანქანის ხმარების სამაგიეროდ გამოერთვას 70 ფუთი პური, ბეთ კი 25 ფუთი ხორბალი. პირობაში მოხსენიებული იქნეს, რომ ისინი მოვალენი არიან მანქანა დააბრუნონ უკან დაუზიანებელი და მომუშავე“.

უკვე 1919 წლის სექტემბრიდან საბარგო სამხედრო მანქანების მძღოლებს მივლინებიდან უკან მობრუნებისას კერძო პირების წამოყვანისა და მათი ბარგის წამოღების ნება მიეცათ, ხოლო შემოსავალი საინჟინრო-ტექნიკური ჯარების უფროსისათვის ტექნიკის საჭიროებისდა მიხედვით გამოყენებისათვის უნდა გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ იმ მძღოლებს, მოტორისტებსა და თანაშემწეებს, რომლებიც ავტომობილებს რიგიანად ინახავდნენ, პრემიის მიღება შეეძლოთ.

1920 წლის 25 აგვისტოს მდგომარეობით განსაკუთრებულ საავტომობილო-ჯავშნოსან გუნდს სახეზე 228 მოსამსახურე ჰყავდა, თუმცა შტატი 299 კაცზე იყო გათვლილი.

საავტომობილო ტექნიკის შესაძენად 1920 წლის თებერვალში სატრანსპორტო საზოგადოების წარმომადგენელი ხოშტარია ინგლისში გაიგზავნა. ხოშტარიამ საქართველოში 20 „ფორდი“ გამოაგზავნა. მოგვიანებით კიდევ 20 ავტობუსი, 5 მსუბუქი და 15 სატვირთო ავტომობილი ჩამოვიდა. ეს ტექნიკა სატრანსპორტო საზოგადოებას საშუალებას აძლევდა მოეწესრიგებინა მოძრაობა ყველა იმ ადგილში, სადაც რესპუბლიკისა და მოსახლეობის ინტერესები მოითხოვდა. ავტომობილების ნაწილი სამხედრო სამინისტროს გადაეცა.

1920 წლის 14 ივლისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განცხადებით, საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებამ ავტომანქანებით მიმოსვლა მოაწყო: თბილისი-კოჯორი-მანგლისი, თბილისი-ყაზბეგი, ქუთაისი-ხონი-სამტრედია, ქუთაისი-ბაღდათი, ქუთაისი-ონი, სოხუმი-ახალი ათონი-გუდაუთა-გაგრა, სოხუმი-ოჩამჩირე-ზუგდიდი-სენაკი და ბორჯომი-ახალციხე-აბასთუმანი-ახალქალაქის მიმართულებებზე. დასახელებულ მარშრუტებს 35 ავტომობილი ემსახურებოდა. საგზაო მიმოსვლის ორგანიზება სამხედრო საქმისთვის ცოტას არ ნიშნავდა. მოწესრიგებული გზები და ავტომობილები ჯარების სწრაფი გადაადგილების საშუალებას იძლეოდა.

ავტომობილების შემოყვანა შემდგომშიც გაგრძელდა. 1920 წლის 6 ოქტომბერს ბათუმში ბრიტანეთის დროშით მოცურავე გემმა „ალბატროსმა“ რამდენიმე ავტომობილი ჩამოიტანა.

სამხედრო უწყებას მრავალფეროვანი საავტომობილო პარკის ექსპლუატაცია-რემონტი მრავალ სირთულეს უქმნიდა და ეს პირველ რიგში სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფას შეეხებოდა. ბევრი რამ მომსახურე პერსონალის ცოდნა-გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული.

საავტომობილო პარკში ირიცხებოდა მაშინდელი ისეთი ცნობილი ავტოსამშენებლო ფირმების ავტომობილები, როგორებიც იყო „პირს-ეროუ“, „ლანჩია“, „ოვერლენდი“, „კომნიკი“, „ოპელი“, „მინერვა“, „რუსო-ბალტი“, „ადლერი“, „ფენომენი“, „სპა“, „ფორდი“, „ბრენაბორი“, „გრეჟ უნდ სთრიფთი“ და სხვ. მსუბუქი ავტომობილები ემსახურებოდა მთავარსარდალს, სამხედრო მინისტრს, მის მოადგილეებს, გენშტაბის უფროსს, თბილისის კომენდანტს, დივიზიების მეთაურებს და ა.შ.

საინტერესოა ავტომობილების სანომრე ნიშნები. „სპა“ №1 მთავარსარდლის განკარგულებაში იმყოფებოდა, „პირს-ეროუ“ №2 სამხედრო მინისტრის, „ოვერლანდი“ №5 გენშტაბის, „ოპელი“ №61 სასაზღვრო უწყების და ა.შ.

სატვირთო ავტომობილებიდან ცნობილია „პაკარდი“, „ბენცი“, „ჰარფორდი“, „უაიტის“ 1918 წლის მოდელი და სხვ.

3 ტონა ტვირთამწეობის „უაიტი“ ყველაზე გავრცელებული იყო და მას აშშ-ის, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და კანადის არმიები იყენებდნენ. დიდი რაოდენობით რუსეთშიც შევიდა.

ავტომობილებს ქალაქ კლივლენდში მდებარე ფირმა „უაიტი“ 1915-1923 წლებში აშხადებდა. ბორბლების ფორმულა 4X2; ტვირთამწეობა 3 ტონა; სიჩქარე 20 კმ/სთ-ში; კარბიურატორიანი ძრავა სიმძლავრით 22,5 ცხ.ძ.

1921 წლისათვის ქართული არმიის განკარგულებაში 16 ჯავშნავტომობილი იყო. სატანკო დივიზიონს კიდევ 2 დაჯავშნული ავტომობილი უნდა ჰყოლოდა. სათადარიგო ნაწილებისა და საბურავების ნაკლებობა ტექნიკის დიდი ნაწილის გაუმართაობას იწვევდა. იყო საწვავისა და საპოხი მასალების დეფიციტი, ხოლო აზერბაიჯანში ბოლშევიკების შესვლის შემდეგ მისი შემოტანა საერთოდ შეწყდა.

ავტოასეულს ბოლოს პოლკოვნიკი გოგიტიძე მეთაურობდა. ავტორაზმი ბათუმში იდგა და მისი მეთაური პოლკოვნიკი სიდამონ ერისთავი იყო. რაზმი 2 ოფიცერსა და 6 ჯარისკაცს ითვლიდა.

1921 წელს საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ აგრესიაში წითლების მე-11 არმიის 55-ე ავტოჯავშანრაზმის 4 ჯავშნავტომობილი მონაწილეობდა.

ომის მეორე დღეს ქართული ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ ავტომობილების თაობაზე ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბენზინის მარაგი, სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებისა და პირების ავტომობილები და მოტოციკლეტები სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების განკარგულებაში გადავიდა. საბარგო ავტომობილებით სამხედრო საჭიროებისათვის ყველანაირი ტვირთის გადაზიდვა შეიძლებოდა, სანიტარული ავტომობილებით კი დაჭრილებისა და ავადმყოფების გადაყვანა; მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობა შეეძლო მთავრობის წევრებს, მისიის განსაკუთრებულ რწმუნებულებს, გენერალ-გუბერნატორსა და მილიციის უფროსს. სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების შტაბებს ხუთ-ხუთი ავტომობილი დაუტოვეს. ბრძანება არ ვრცელდებოდა უცხო ქვეყნების მისიებზე.

საომარ მოქმედებებში ავტომობილები შეძლებისდაგვარად გამოიყენეს. შედარებით მრავალრიცხოვანი მსუბუქი ავტომობილები არმიის გენერალიტეტის გადაადგილების ერთ-ერთი მთავარი საშუალება გახდა. სატვირთო ავტომობილებით სარეზერვო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო მასალების ტრანსპორტირებასაც ახერხებდნენ. ცნობილია, რომ 19 თებერვალს თბილისიდან კოჯორის პოზიციებზე მე-5 ქვეითი პოლკის პირადი შემადგენლობა ავტომობილებმა გადაიყვანეს.

ბრძოლებში ჯავშნავტომობილები ეპიზოდურად მონაწილეობდნენ. სადგურ სოღანლუღთან, 18-19 თებერვალს, ქართულმა არმიამ კონტრშეტევისას 2 ჯავშნავტომობილი დაზვერვაში გამოიყენა. გენერალ მაზნიაშვილის მონაცემებით, ჯავშნოსანი ავტომობილების გუნდმა სადგურ სოღანლუღის მიმართულებით, გზატკეცილზე, ხიდისკენ 4 ვერსით (4,3 კმ) წაიწია, მაგრამ წითლებმა ორი ყუმბარა ესროლეს და უკან დაახევინეს.

რუსები ამ ეპიზოდთან დაკავშირებით წერენ, რომ სოღანლუღთან შეტევის დროს ქართველების ჯავშნავტომობილს „რიკარდოს“ ტიპის 3 ტანკიდან ცეცხლი გაუხსნეს და უკან მიაბრუნეს.

მაინცდამაინც არც ბოლშევიკების ჯავშნავტომობილები აქტიურობდნენ. 20 თებერვალს კოჯორთან ქართველების კონტრშეტევის შემდეგ წითლებმა პატარა ჯავშნოსანი ავტომობილი ბრძოლის ველზე მიატოვეს.

ქართული არმიის ავტოასეულის სატვირთო ავტომობილები თბილისში შემოსულ წითლებს დარჩათ, ხოლო გვარდიის ავტოასეულის მძღოლებმა ბოლშევიკების შიშით საქართველოს მთავრობას სამსახურზე უარი უთხრეს.

1921 წლის მარტში, ბათუმიდან საქართველოს ხელისუფლების ევაკუაციასთან ერთად, რუსულმა გემმა „ოლეგმა“ სავარაუდოდ 4-5 მსუბუქი ავტომობილი გაიტანა. მათ შორის იყო მთავარსარდლის, გენერალ კვინიტაძის ავტომობილი „სპა“.

სტამბოლში ავტომობილები გადმოიტვირთა და ემიგრაციაში მყოფი ქართველები ერთხანს ტაქსებად ამუშავებდნენ, მაგრამ საქმე არ გაამართლა. ტაქსი მცირე შემოსავალს იძლეოდა და ალბათ ავტომობილები გაიყიდა.

**თემურ ჩაჩანიძე**

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. დაქირავებული ჯარისკაცი მე-15-17 სს.-ის დასავლეთ ევროპაში; 6. შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის, საომარი მოქმედების შეწყვეტის და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ; 7. წვრილ-წვრილი ტყვიები; 8. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი; 9. მუს. ნოტი; 10. პრივილეგიური ქვეითი ჯარი მე-14-19 ს.ს. ოსმალეთში; 13. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში და ლულიდან გამოსვლის შემდეგ; 17. პარტიზანული რაზმების შეჭრა მტრის ზურგში საბრძოლო მოქმედებისთვის 18. აჩრდილი; 19. აშშ-ს სახმელეთო ჯარების ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი; 20. ფეხის თბილი სამოსი; 21. სახელმწიფო აფრიკაში; 25. სპეციალურად მოწყობილი ნაგებობა მიზანში სროლისთვის; 26. ფიურერი; 27. ნაპოლეონის მარშალი; 28. ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი; 29. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდი; 30. საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა; 32. აბზინდის არაყი. **შვეულად:** 1. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო; 2. საზღვაო ბრძოლა ძველ საბერძნეთში; 3. თოფის სამიზნე; 4. სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემების დიდი შენაერთი; 5. ფეთქებადი ნივთიერება; 7. ტაძარი თბილისში; 11. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი მეორე მსოფლიო ომი დროს; 12. ამერიკული პისტოლეტ ტყვიამფრქვევი; 13. ინგლისური რევოლვერის „უებლის“ მოდელი; 14. ნორვეგიული პისტოლეტი; 15. ამერიკული პისტოლეტის „აივერ ჯონსონის“ მოდელი; 16. მსხვილი სასროლი ტყვია, კარტეჩი; 22. იტალიური სასროლი; 23. კრივის მოედანი; 24. იტალიური ავიაკომპანია; 26. იაპონური პისტოლეტი; 28. მინი-რესტორანი; 31. იაპონური თეატრი.

---

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. ბლიცკრიგი; 6. ლეგიონი; 7. იდიოტი; 9. კომენდატურა; 12. მეკარე; 13. კილერი; 16. მარულა; 18. ტაბიძე; 19. პასატი; 20. დაბური; 23. აიაზმა; 25. პანგა; 26. რამსფელდი; 27. პიკე; 28. გარნიზონი; 30. დინარი; 31. ალიზი. ***შვეულად:*** 1. ბალისტა; 2. იაგუარი; 3. კროლი; 4. იმიჯი; 5. იუპიტერი; 8. დეესკალაცია; 9. კონკისტადორი; 10. მგელი; 11. დერინჯერი; 14. იუდაიზმი; 15. კამიკაძე; 17. ბიჟუ; 21. ბომბარდი; 22. რაფინადი; 23. აგა; 24. ალაზანი; 25. პიონერი; 29. აჩა.




„არსენალი“ გთავაზობთ ივლისის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.

# არსენალის ივლისის კალენდარი



გიორგი ბერიევი (ბერიაშვილი)



ერეკლე II

**1 ივლისი**

1625 წელი — მარაბდის ველზე (მდ. ალგეთის ხეობაში) ქართლ-კახეთის ლაშქარი შეებრძოლა ყიზილბაშ მომხდურებს (ქართველთა ჯარი დამარცხდა...)

1916 წელი — მდ. სომაზე დაიწყო I მსოფლიო ომის პერიოდის უდიდესი ბრძოლა, ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიის ჯარებს შორის.

**3 ივლისი**

1849 წელი — ჯუზეპე გარიბალდი იძულებული შეიქმნა, ქ. რომის დაცვა მოეხსნა და ქალაქი დაენებებინა ფრანგთა არმიის ჭარბი ძალებისათვის.

**4 ივლისი**

1802 წელი — გაიხსნა ვესტ-პოინტის სამხედრო სასწავლებელი — აშშ არმიის ელიტური სამხედრო აკადემია.

1842 წელი — სამხედრო წოდება „გენერალ-ლეიტენანტი“ მიენიჭა ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

**5 ივლისი**

1802 წელი — დაიბადა პეტრე ნახიმოვი — რუსი საზღვაო მხედართმთავარი, ადმირალი.

1943 წელი — დაიწყო ბრძოლა კურსკის რკალზე.

**6 ივლისი**

2003 წელი — საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ უკრაინის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ვიტალი რადეცკი და 16 სამხედრო მფრინავი (აფხაზური კონფლიქტის დროს დევნილი მოსახლეობის ევაკუაციისას გამოჩენილი სამხედრო მამაცობისათვის).

**7 ივლისი**

1307 წელი — შოტლანდიაში მორიგი შეტევითი კომპანიის დროს გარდაიცვალა ინგლისის მეფე ედუარდ I.

1908 წელი — აშშ საზღვაო კაპიტანმა ჩესტერ უილიამ ნიმიცმა (შემდგომში ადმირალმა) მეჩეჩზე დასვა ნალმმზიდი „დეკოტური“ (სამხედრო ტრიბუნალმა მხოლოდ შენიშვნა აკმარა).

1993 წელი — შეიქმნა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები.

**8 ივლისი**

1950 წელი — გენერალი დუგლას მაკარტური (ამერიკული ჯარების სარდალი შორეულ აღმოსავლეთში) დაინიშნა გაეროს ჯარების სარდლად.

**9 ივლისი**

1945 წელი — სამხედრო წოდება „საბჭოთა კავშირის მარშალი“ მიენიჭა ლავრენტი ბერიას.

**10 ივლისი**

1709 წელი — პეტრე I მეთაურობით რუსეთის არმიამ პოლტავის ბრძოლაში გაიმარჯვა შვედებზე.

1895 წელი — დაიბადა პ. სუხოი — რუსი ავიაკონსტრუქტორი.

1941 წელი — დაიწყო ქ. ლენინგრადის თავდაცვა.

**11 ივლისი**

1789 წელი — სოფელ მათხოჯთან (ქუთაისთან) საომრად შეხვდნენ იმერეთის ტახტის მოცილენი, დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე (პირველი დავითი დამარცხდა და ახალციხეს გაიქცა, გამარჯვებული კი ტახტზე აღზევდა სოლომონ მეორის სახელით).

1839 წელი — შამილის წინააღმდეგ სამთო ბრძოლებში თავი გამოიჩინა არტილერიის შტაბს-კაპიტანმა კონსტანტინე მამაცაშვილმა (შემდგომში გენერალ-ლეიტენანტმა).

**12 ივლისი**

100 წელი (ჩვენს ერამდე) — დაიბადა იულიუს ცეზარი — რომაელი დიდი მხედართმთავარი, იმპერატორი, სახელმწიფო მოღვაწე.

1979 წელი — გარდაიცვალა გიორგი ბერიაშვილი — სსრკ საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი, გენერალური ავიაკონსტრუქტორი.

**14 ივლისი**

1789 წელი — შეიარაღებულმა პარიზელებმა შტურმით აიღეს ბასტილიის ციხე-სიმაგრე.

1941 წელი — ქ. ორშთან გამართულ ბრძოლებში რუსებმა პირველად გამოიყენეს რეაქტიული დანადგარები „ბმ-13“ — „კატიუშები“.

1992 წელი — სამაჩაბლოში რუსული სამშვიდობო ჯარები შევიდნენ.

**15 ივლისი**

1764 წელი — დაიბადა ვლადიმერ იაშვილი — გენერალ-მაიორი (ნაპოლეონის წინააღმდეგ ნაბრძოლი გენერალი 51 წლისა გარდაიცვალა 1815 წლის 20 ივლისს).

აღლუმი ვესტ-პოინტში

1829 წელი — ქ. ფოთი გათავისუფლდა ოსმალთაგან.

1948 წელი — გარდაიცვალა ჯონ ჯოზეფ პერშინგი — ამერიკელი გენერალი.

**17 ივლისი**

1936 წელი — მაროკოში განლაგებული ესპანური სამხედრო ნაწილები აჯანყდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ.

1942 წელი — დაიწყო ბრძოლა ქ. სტალინგრადისათვის.

1944 წელი — გერმანიის ვერმახტის სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ მიენიჭა შალვა მაღლაკელიძეს.

1945 წელი — გაიხსნა პოტსდამის კონფერენცია.

**18 ივლისი**

1909 წელი — დაიბადა ჰან მუჰამედ დაუდი — ავღანეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი.

**19 ივლისი**

1941 წელი — სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრკ-ს თავდაცვის სახალხო კომისრად დაინიშნა იოსებ სტალინი.

**20 ივლისი**

1757 წელი — დაიბადა გარსევან ჭავჭავაძე — გენერალ-ადიუტანტი, დიპლომატი (პოეტისა და გენერლის ალ. ჭავჭავაძის მამა).

1786 წელი — შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გამოჩნდა თურქეთის ფლოტი, რომლის 15-მა სატრანსპორტო და 2 სამხედრო გემმა ქ. ფოთში 40, ხოლო ქ. ბათუმში 30 ზარბაზანი, დიდძალი სურსათი და სამხედრო საჭურველი შეიტანა (თურქებმა ორივე ქალაქი ხელახლა გაამაგრეს და რიონსა და პალიასტომს შორის სანგარი ააგეს. ამ პერიოდში, ქუჩუკ-კაინარჯის შეთანხმების გამო, რუსეთი დასავლეთ საქართველოზე თურქთა პრეტენზიებს აშკარა ძალას ვეღარ უპირისპირებდა).

1944 წელი — გერმანელ გენერალთა ჯგუფმა შეთქმულება მოაწყო ადოლფ ჰიტლერის წინააღმდეგ.

**21 ივლისი**

1944 წელი — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა ვიქტორ ლესელიძეს.

1954 წელი — ქ. ჟენევაში ხელი მოეწერა შეთანხმებას ვიეტნამის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ.

**2 ივლისი**

1941 წელი — ფაშისტური გერმანიის 250-ზე მეტმა ბომბდამშენმა მასირებულად პირველად დაბომბა ქ. მოსკოვი.

**23 ივლისი**

1883 წელი — დაიბადა ალან ბრუკი — ინგლისელი ფელდმარშალი (II მსოფლიო ომის პერიოდში ბრიტანეთის იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი, პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილის მთავარი სამხედრო მრჩეველი).

1911 წელი — გარდაიცვალა გიორგი თარხან-მოურავი — გენერალ-მაიორი.

1992 წელი — ქართველმა მესანგრეებმა სამაჩაბლოში გააუვნებელყვეს პირველი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი (ეს დღე ითვლება ქართული საინჟინრო ჯარების შექმნის საწყის ეტაპად).

**24 ივლისი**

1783 წელი — დაიბადა სიმონ ბოლივარი — სამხრეთ ამერიკის განმათავისუფლებელი (მისი სამხედრო მოღვაწეობის შედეგად ესპანელებისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა კოლუმბიამ, ვენესუელამ, პერუმ, ეკვადორმა, ბოლივიამ).

1820 წელი — ამიერკავკასიის სამხედრო სარდლობის მიერ იმერეთ-გურიაში გაგზავნილმა სამხედრო ექსპედიციამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება: გენერალმა ემელიანოვმა სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ შემოქმედის ციხე დაიკავა და მიწასთან გაასწორა, მახლობელი სოფლები გადაწვა...

1885 წელი — დაიბადა ულის სიმფსონ გრანტი — ამერიკელი მხედართმთავარი, აშშ-ის არმიის სრული გენერალი, ქვეყნის მე-18 პრეზიდენტი (1869-77 წლებში).

1902 წელი — დაიბადა ნიკოლოზ კუზნეცოვი — საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი (მისი სახელი დაერქვა რუსულ ავიამზიდ კრეისერს, რომელსაც მანამდე „თბილისი“ ეწოდებოდა).

**25 ივლისი**

1815 წელი — გარდაიცვალა სპირიდონ ჯავახიშვილი — გენერალ-მაიორი (ნაპოლეონის წინააღმდეგ ნაბრძოლი 12 გენერალთაგანი).

1942 წელი — დაიწყო თავდაცვითი ბრძოლები კავკასიის მისადგომებთან (საბრძოლო ოპერაციამ გასტანა 1943 წლის შუა ნოემბრამდე).

**26 ივლისი**

1857 წელი — ჰაიდ-პარკში გაიმართა ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას მიერ წინა წელს დაარსებული უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი — „ვიქტორიას ჯვრით“ დაჯილდოების I ცერემონიალი (წახალისდა 85 სამხედრო მოსამსახურე).

1993 წელი — სამხედრო წოდება „გენერალ-მაიორი“ მიენიჭა ჟიული შარტავას.

**27 ივლისი**

1675 წელი — გერმანულ-ჰოლანდიური ალიანსის წინააღმდეგ წარმატებული საზამთრო კამპანიის შემდეგ ფრანგი მთავარი სამეფო მარშალი ტურენი შემთხვევითი საქვემეხო გასროლით დაიღუპა ჩვეულებრივი შემოვლის დროს.

1751 წელი — ქართლ-კახეთის მეფემ, ქართული ჯარის მთავარსარდალმა, ერეკლე II-მ ქ. ერევანთან, ყირხბულახთან, გამართულ ბრძოლაში ხერხიანი მანევრით გაანადგურა აზოტ-ხანი.

**29 ივლისი**

1883 წელი — დაიბადა ბენიტო მუსოლინი („დუჩე“) — იტალიის ფაშისტური პარტიისა და მთავრობის მეთაური (მისი დიქტატურა დაამხეს 1943 წლის 25 ივლისს).

1914 წელი — მოხდა I მსოფლიო ომის I საჰაერო ბრძოლა: ავსტრიულმა საჰაერო აპარატებმა ქ. ბელგრადი დაბომბეს.

2002 წელი — ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დაიწყო საქართველო-თურქეთ-აზერბაიჯანის სამეთაურო-საშტაბო კომპიუტერული წვრთნები „ეთერნით-2002“.

**30 ივლისი**

1876 წელი — ქ. პლევნაზე (ბულგარეთი) შეტევისას თავი ისახელა გენერალმა ალექსანდრე ბაგრატიონმა.

**31 ივლისი**

1944 წელი — ავიაკატასტროფაში დაიღუპა ანტუან სენტ-ეგზიუპერი — ფრანგი მწერალი და სამხედრო მფრინავი.

1970 წელი — თურქეთის რესპუბლიკაში მიიღეს კანონი „გენერალური შტაბის უფროსის უფლება-მოვალეობების შესახებ“.

*შეადგინა ამირან ტალახაძემ*


ბენიტო მუსოლინი


ანტუან დე სენტ ეგზიუპერი


ჩესტერ ნიმიცი

# ტრადიციული

# MITSUBISHI Pajero Sport







ავტომანქანებს, რომლებიც დრომ გამოსცადა, თავიანთი ენერგეტიკა აქვს. თითქოს „პაჯერო სპორტის“ ერა დასასრულს მიუახლოვდა, თანამედროვე „ჯიპების“ ზღვაში ჩაძირულს თითქოს აღარც გახსოვს მისი არსებობა. არადა შემთხვევით შეხვდები ძველ ნაცნობს და ხვდები, რომ არც ისე ყოფილა საქმე, როგორც გეგონა. ისევ ძველებურად მყარად დგას ფეხზე, უფრო მეტი დახვეწილობა და პეწი შეუძენია მის კლასიკურ გარეგნობას. მიუხედავად სოლიდური გაბარიტისა, უფრო მსუბუქი და მოხდენილი გეჩვენება. მისი კონსტრუქციიდან გამოსჭვივის ის კეთილი და ღირსებით აღსავსე დამოკიდებულება, რომელიც მისმა შემქმნელებმა ჩააქსოვეს ავტომობილში. ჩარჩო საკმაოდ მოქნილია, სამლიტრიანი ბენზინის ძრავა, ტრანსმისია — „იზისელექტი“, წინა ხიდთან მყარად მიერთებული, დამხმარე ელექტრონიკის გარეშე; შედეგი? იგი ნამდვილი „მებრძოლია“, რომელიც განსაკუთრებით უგზოობის პირობებში გრძნობს ამაყად თავს.

გარეგნული კოსმეტიკური ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველია — წარსულს ჩაბარდა ძარის ორფეროვნება, დაემატა

არსენალი




Mitsubishi Pajero Sport




მილისებური საფეხურები. ინტერიერში სიახლის პოვნაც გაგიჭირდებათ — ისეთივე მკაცრი, სადა სალონი, იგრძნობა კონსტრუქტორთა და დიზაინერთა მცდელობა, მაქსიმალურად გაემარტივებინათ ამა თუ იმ გადამრთველი ბერკეტის ფუნქცია. თვალს არაფერი გჭრის და გაოცებს, ყოველივე მარტივია და გასაგები. ამიტომაცაა, რომ თავიდანვე კომფორტულად გრძნობ თავს. კარგად მორგებული საჭე, რომელიც მხოლოდ სიმაღლეში რეგულირდება; მგრძნობიარე პედლები; გამანაწილებელი კოლოფის ლოგიკური და მარტივი „ავტომატის“ ბერკეტები; განახლებული წინა პანელი, მაჩვენებელ მოწყობილობათა მანათობელი სკალებით; მოზრდილი სავარძლების კომბინირებული შალითები და საკმარისზე გაცილებით მეტი თავისუფალი სივრცე. გადაატრიალებ გასაღებს და გრძნობ, როგორ გაიღვიძა მოტორში ჩაბუდებულმა ყველა ცხენის ძალამ. ავტომობილი რბილად, ძალდაუტანებლად იძვრის ადგილიდან და თქვენს ნებისმიერ მოქმედებას ემორჩილება.

ასფალტზე ავტომობილი რბილად და უხმაუროდ მოძრაობს. გადიხართ გზატკეცილზე და სიჩქარეს თანდათან უმატებთ, სპიდომეტრის ისარი უკვე 100 კილომეტრს უჩვენებს. თუ ამ დროს ფანჯრის მინასაც ჩამოსწევთ, მაშინვე სხვა სამყაროში

**Mitsubishi Pajero Sport-იც და უბრალო Pajero-ც გადასარევად გრძნობს თავს ნებისმიერ გზაზე, როგორც ზაფხულის...**




**... ისე ზამთრის პირობებშიც**



მოხვდებით — ერთბაშად შემოიჭრება ქუჩის ხმაური, სალონში საკუთარი მანქანის ბორბლების ხმასაც გაიგონებთ. რომ არაფერი ვთქვათ, ექვსცილინდრიანი V-მაგვარი ძრავას ხმაურზე და მაშინ მიხვდებით, რაოდენ კომფორტულად გრძნობდით თავს ფანჯრის გაღებამდე, ანუ თბოიზოლაციისა და ხმაურიზოლაციის დარღვევამდე.

მართალია, გამწევუნარიანი ძრავა სასწაულებს არ ახდენს ასფალტზე მოძრაობისას, მაგრამ თავის საქმეს კარგად ასრულებს. უგზოობისთვის განკუთვნილი საკიდრები, თავის კვალობაზე, კომფორტს უნარჩუნებენ ძარას.


ხშირად, Mitsubishi-ს ყველაზე დიდი ნაკლი მისი მძღოლის ზედმეტი თავდაჯერებულობაა

და აი, მთავრდება ასფალტი და იწყება უგზოობა, გამანაწილებელი კოლოფის ბერკეტი „LWD“ აღნიშვნაზე გადაგვყავს (ტრანსმისია მოძრაობის დროს გადართვის საშუალებას იძლევა). მანქანას სიდინჯე და თავდაჯერება ემატება, მარშრუტი კი თანდათან რთულდება, ხშირდება ორმოები, სატვირთო მანქანების მიერ გაღარული და უკვე გაყინული ნაკვალევი. ასეთ ადგილებში ცხადი ხდება საკიდრების ენერგოტევადობა, რომელიც ძარას გვარიანად კი ანჯღრევს, სამაგიეროდ საგზაო კოლიზიებს კარგად უმკლავდება.



მოულოდნელად, დროებით, ისევ ასფალტზე აღმოვჩნდით და მაშინვე საინტერესო ფაქტის წინაშე ვართ — შენელებული სიჩქარეების პირობებში მოძრაობისას ადაპტირებადი კოლოფის ფირფიტები იმდენად დაშორდა ერთმანეთს, რომ აქსელერატორზე მანქანა უხალისოდ რეაგირებს. რამდენიმეჯერ აჩქარება-გაქანება და „სპორტი“-სა და მძღოლის ურთიერთდამოკიდებულება ლოგიკურ



მდგომარეობას უბრუნდება. ისევ უგზოობა, ბუჩქები და ეკალბარდები ძარას ფხაჭნიან, ტყის სიღრმეში გაყვანილ ღრმა ნაკვალევს დინჯად მივუყვებით, სიჩქარეთა შემანელებლის ბერკეტი დიდი ხანია ბოლო ნიშნულამდეა დაწეული. არცთუ ისე უმნიშვნელო აღმართებზე ავტომობილი დინჯად და თავდაჯერებით მიბობღავს. წინ კიდევ წყლიანი წინაღობების წყება გველოდება, რომელსაც „პაჯერო“ თავისუფლად, თამაშ-თამაშით დასძლევს. აქ ის თავის სტიქიაშია. ბამპერი და კაპოტი ყინულის ფენით დაიფარა, წყალთან შეხლისას მანქანის ნომერი დაიჭყლიტა, ავტომობილი კი, თითქოს არაფერიაო, ახალი წინაღობებისკენ მიიწევს. ეს თვისება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანთაგანია, როცა ადამიანი მკაცრ ბუნებასთან პირისპირ რჩება.

# СВД

თითქმის ნახევარსაუკუნოვანი სნაიპერული „დრაგუნოვი“ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შეიარაღებაში რჩება

# ლეგენდა სნაიპერებისათვის





ყველაზე მოულოდნელი, რასაც მკითხველი ახლა წაიკითხავს ის არის, რომ ლეგენდარული СВД-დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა თურმე სულაც არ ყოფილა ტრადიციული სნაიპერული იარაღი.

თავის დროზე, გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს საბჭოთა არმიის გენშტაბის მთავარმა საარტილერიო-სარაკეტო სამმართველომ კონკურსი გამოაცხადა ისეთი შაშხანის შექმნაზე, რომელიც მოტომსროლელი დანაყოფის ეფექტიანი ცეცხლის მანძილს 600 მ-მდე გაზრდიდა. ის, რომ მომავალი СВД ახლო ბრძოლებისთვისაც იყო გათვლილი, სხვა რამეც მიუთითებს – СВД-ს ხიშტ-დანა უყენდება, რაც დასავლური „წმინდა სისხლის“ სნაიპერულ შაშხანებზე წარმოუდგენელია.

ასე იყო თუ ისე, 1962 წელს საბჭოთა არმიამ СВД შეიარაღებაში მიიღო, რის შემდეგ ის ერთადერთ საშტატო ოპტიკურ-სამიზნიან ცეცხლსასროლ იარაღად იქცა, რომელიც „კალაშნიკოვისგან“ განსხვავებით 400-500 მ-ის დისტანციაზე ბევრად უფრო ზუსტად ისროდა.

სტატიის ავტორს ამ სნაიპერული შაშხანიდან არაერთხელ უსვრია, თუმცა „არსენალისთვის“ СВД სპეციალურად ხელახლა გამოვცადეთ.

გამოსაცდელ ეგზემპლარს საშტატო ხის კონდახის ნაცვლად სამონადირო „ტიგრის“ პლასტმასის კონდახი ჰქონ-



СВД-ს არასრული დაშლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



СВД-ს ნაკლად დიდი ხანი გასაშლელი საყრდენი ფეხების არარსებობა ითვლებოდა. იარაღის ბოლო მოდიფიკაციებში ეს ნაკლი აღმოფხვრილია...

და. ვინც СВД-დან სროლას აპირებს, პირველ რიგში მისი ოპტიკური სამიზნე ПСО-1 უნდა გაასწოროს იმ მანძილზე, რაც სამიზნემდეა. მსროლელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გვერდითი ქარის სიჩქარეც.

სხვათა შორის, ოპტიკური სამიზნე ПСО-1, რომელიც 4,3-ჯერ ადიდებს მიზანს, საშუალებას იძლევა ლაზერული მანძილმზომის გარეშეც გაარკვიოს, რა სიშორეზეა მიზანი. ამისთვის სამიზნის ოპტიკაში ჩახატულია სპეციალური ბადე, რომლის მიხედვითაც ადამიანის სილუეტზე გათვლით იგებს სამიზნემდე მანძილს, ასევე ქარის ძალას.

როდესაც ოპტიკური სამიზნის გამოყენებით ისვრი, სჯობია, კონდახს სპეციალური სამაგრი ჰქონდეს ლოყის დასაფიქსირებლად. ღია სამიზნე მოწყობილობის (მექანიკური სამიზნის) გამოყენების შემთხვევაში კი სამაგრი აუცილებელი არ არის.

ღამით სროლისას СВД-ზე ПСО-1-ის ნაცვლად ღამის სამიზნე НСПУ ან მისი მოდიფიკაციები მაგრდება.

სტატიის ავტორს ახსენდება 1992 წლის გაზაფხული თამარაშენში, როდესაც ქართველი სნაიპერი ღამის ხედვის სამიზნის სპეციალური ელემენტების უქონლობის გამო СВД-სთან ერთად რამდენიმეკილოგრამიან აკუმულატორის ბატარეებს დაათრევდა.

СВД-დან სპეციალური სნაიპერული ტყვიებით ისვრიან, თუმცა სროლა ჩვეულებრივი, ტრასირებადი და ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი ტყვიებითაც შეიძლება. ისე კი, თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, რეკომენდებული არ არის ტრასირებადი და ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენი ტყვიების სროლა, რადგან ისინი ლულაში გავლისას ქიმიურად აგრესიულ აირებს გამოყოფენ და ლულას აფუჭებენ.

სპეციალისტები გვირჩევენ, თუნდაც ერთი გასროლის შემდეგ СВД გაუწყლოებული ნავთით გაიწმინდოს. დაუშვებელია, შაშხანის რკინის შომპოლით გაწმენდა ალჩამქრობის (ლულის გამოსასვლელის) მხრიდან, ეს შლის ლულის ხრახნს და შაშხანა სიბურჯღლეს კარგავს.

საზოგადოდ, ნებისმიერი სნაიპერული შაშხანა რაღაცით ვიოლინოს ჰგავს — ისიც ზუსტი ხელსაწყოა და უკეთესია, თუ ერთი მომხმარებელი ეყოლება. ქართულ არმიაში СВД მთავარ სნაიპერულ იარაღად დღესაც რჩება.

თბილისში იარაღის მაღაზიებში СВД-ს სამოქალაქო ვარიანტი სამონადირო „ტიგრი“ დაახლოებით 3200 ლარი ღირს.

*ირაკლი ალადაშვილი*

**ჩვენი დოსიე:** დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა — СВД-ს ავტომატიკა დენთის აირების ლულის არხიდან გამოსვლის ხარჯზე მუშაობს. შაშხანიდან მხოლოდ სათითაოდ შეიძლება გასროლა. მისი მასა ვაზნებისა და ოპტიკური სამიზნის გარეშე 4,2 კგ-ია, სიგრძე 122 სმ; ლულის სიგრძე 62 სმ-ს აღწევს; სავაზნე კოლოფში 7,62X54მმ კალიბრის 10 ვაზნა ჩადის; ტყვიის საწყისი სიჩქარეა 830 მ/წმ; ეფექტიანი ცეცხლის მანძილი 400-600 მ-ია; ოპტიკური სამიზნით 1,3 კმ-მდე შეიძლება ზუსტი დამიზნება, ღამის ხედვის სამიზნით კი მხოლოდ 300 მ-მდე.

**იარაღის გამოცდაში დახმარებისთვის მადლობას ვუხდით მესაზღვრეთა სწრაფი რეაგირების რაზმის მებრძოლებს.**



სპეციალურ შესანიღბავ სამოსში ქართველი სნაიპერი




არსენალი
СВД